

პროფესორ სერგი დანელიას საზოგადოება  
სოფ. ბანძის სერგი და გიორგი დანელიების  
სახლ-მუზეუმი

იგორ კეკელია

ბონდო კარტოზია  
(ცხოვრების გზა და მეცნიერული მემკვიდრეობა)

ქუთაისი  
2024

ნაშრომში გადმოცემულია ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის, პროფესორ ბონდო კარტოზიას (1923-2000 წწ.) ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ღვაწლი თეორიული ფილოსოფიის, განსაკუთრებით სოციოლოგიის პრობლემების შესწავლაში. ნათლადაა წარმოდგენილი ბ. კარტოზიას, როგორც პედაგოგისა და მეცნიერის, ადგილი XX საუკუნის II ნახევრის ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში.

წიგნში მოცემულია მარქსისტული დოგმატური თეორიებით ნაკარნახევი შეხედულებების კრიტიკული ანალიზი. ამასთანავე, ნაშრომი ფილოსოფიის პრობლემებით დაინტერესებულ სპეციალისტებს, მკვლევრებს, სტუდენტებსა და არა მხოლოდ მათ, დაეხმარება ბონდო კარტოზიას ფილოსოფიურ ნააზრევში ღირებულების დანახვასა და სწორი ორიენტაციის ჩამოყალიბებაში. ნაშრომს ერთვის ფილოსოფოსის მიერ შესრულებული ძირითადი სამეცნიერო შრომების სია.

წიგნი გამოდის მეცნიერის დაბადებიდან მე-100 წლისთავის აღსანიშნავად.

**რედაქტორი** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი **ნაპო კვარაცხელია**

**რეცენზენტები:** ფილოსოფიის დოქტორი,  
პროფესორი **მეჩი ლობჯანიძე**  
ფილოსოფიის დოქტორი,  
პროფესორი **ეთერ ორმოცაძე**

**ISBN 978-9941-8-7302-7**

© ი.მ. „მარიამ იოზაძე“

# ქართული ფილოსოფიური აზრის კვლევის მიმართულაზანი XX საუკუნის II ნახევარში და პროფესორი ბონდო ქარტოზია

## (ზოგადი მიმოხილვა)

მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების, თანამედროვე და სამომავლო მოვლენებისა და პროცესების, ქვეყნის ან საერთაშორისო მასშტაბის გამოცდილების ახლებური ანალიზისა და განზოგადების მისია გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში უზურპირებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის I მდივანს<sup>1</sup>. სოციალური მოვლენებისა და პროცესების მეცნიერული კვლევა უნდა დაფუძნებოდა წინასწარ აკვიატებულ თეორიულ დოგმებს, ტრაფარეტულ შეხედულებებს, მარქსიზმ-ლენინიზმის სრულყოფის მიზნით მეცნიერული კომუნიზმის თეორიულ ჩარჩოებში მოქცეულ და შემუშავებულ პრაქტიკულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

50-იანი წლების შუა ხანებიდან ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში იგრძნობა პარტიულ-ადმინისტრაციული დიქტატის შემსუბუქება და გაბედული შემოქმედებითი კვლევა-ძიება. აღნიშნული პერიოდის წიგნებსა და ცალკეულ გამოკვლევებს ახასიათებს თეორიული საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომა, ლოგიკური წესების დაცვა, დასკვნების დასაბუთება და დამაჯერებლობა, თუმცა ზოგიერთი ავტორის ნაშრომში ჯერ კიდევ საკმაოდ ვხვდებით ციტატების უხვად დამოწმებას მარქსიზმის კლასიკოსთა პირველწყაროებიდან.

ზემოთ აღნიშნულის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ ვრცელ ამონარიდს პროფ. რ. გოლეთიანის ნაშრომიდან, რაც, ვფიქრობთ, იმდროინდელი საზოგადოებრივი პროცესებისა და მოვლენების ზუსტ შეფასებას წარმოადგენს: „მარქსიზმის ფუძემდებლების მიერ ასი წლის წინათ გამოთქმული დებულებე-

---

<sup>1</sup> რ. გოლეთიანი, ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრი: მიმართულებები, თავისებურებანი. 1918-2000. ქუთ., 2001, გვ. 88-89

ბი ისტორიულ-ფილოსოფიურ პრობლემებზე, კომუნისტთა ნე-  
ბით, ფაქტობრივად მკაცრ და გადაულახავ საზღვრებს უწე-  
სებდა საბჭოთა პერიოდის ფილოსოფიურ და ისტორიულ მეც-  
ნიერებას, რომლის იქით გადახედვაც კი ანტიმარქსიზმად  
აღიქმებოდა. ისტორიული მასალის განზოგადების ყოველი  
ახალი ცდა პროკრუსტეს სარეცელს ვერ ასცდებოდა. ამიტომ  
აზრი დაეკარგა ისტორიულ-ფილოსოფიური განზოგადებები-  
საკენ სწრაფვას მსოფლიო ისტორიის, თუნდაც ერთი რომე-  
ლიმე ქვეყნის ისტორიის ცოდნის საფუძველზე.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების ცალკეულმა  
მცდელობებმა შემდგომში ვერ ჰპოვა აქტიური მხარდაჭერა  
ვერც ისტორიკოსების, ვერც ფილოსოფოსების მეცნიერულ  
კვლევა-ძიებაში. ისტორიკოსებს აკლდათ ისტორიულ-ფილო-  
სოფიური განზოგადებანი, ფილოსოფოსებს – ისტორიის სა-  
ფუძვლიანი ცოდნა<sup>2</sup>.

იღვა „ხანი უნდობარი“, როდესაც სახელმწიფო იდეოლო-  
გიად ნაკურთხი თეორიული პოსტულატებისადმი აშკარად  
კრიტიკულად დამოკიდებული მეცნიერი, „ვინც კი შეეცდებო-  
და თუნდაც უმნიშვნელო სიახლის შეტანას მარქსისტულ თე-  
ორიაში, რევიზიონისტად და სექტანტად ინათლებოდა, ხოლო  
თუ ვინმეს არ ეპარებოდა ეჭვი დიდი ხნის წინათ გამოთქმული  
მარქსისტული აზრის ჭეშმარიტებაში და თავგამოდებით იცავ-  
და მას, – ასეთი ქმედება დოგმატიზმსა და მედავითნეობასთან  
იყო გაიგივებული. ამ კატეგორიაში შემავალ ადამიანებს ბრა-  
ლად ედებოდათ თეორიის მოწვევტა პრაქტიკისაგან, სოცია-  
ლისტური ცხოვრების წესისაგან განდგომა და სხვა მსგავსი  
მანკიერებანი. რა უნდა ექნათ ამ დროს ღრმა, შემოქმედებითი  
ფილოსოფიური კვლევა-ძიების უნარით დაჯილდოებულ ქარ-  
თველ მოაზროვნეებს? თავს ზევით ძალა არ იყო. არ ჰქონდა  
აზრი აშკარა კრიტიკულ დამოკიდებულებას მარქსიზმის ფი-  
ლოსოფიისადმი...

---

<sup>2</sup> რ. გოლეტიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85

ქართველ ფილოსოფოსთა იმდროინდელი თეორიული მემკვიდრეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კვლევა-ძიების მეთოდოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ ამოსავალს, რასაკვირველია, მარქსიზმის ფილოსოფია წარმოადგენდა, მაგრამ მათრივ შემთხვევებში თავისებურად ესმოდათ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პრინციპები, ზოგიერთ პრინციპს კი საერთოდ ჰქონდა გვერდი ავლილი.

ვფიქრობთ, ობიექტური ვიქნებით, თუ ქართველ ფილოსოფოსთა კვლევა-ძიების საბოლოო შედეგებს გამოვხატავთ ფორმულით: **მარქსისტული ფილოსოფიის ფარგლებიდან გასვლის ცდები მარქსიზმის პრინციპებზე დაყრდნობით**<sup>3</sup>.

ქართველი ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების, ისტორიკოსების, ეკონომისტების, რელიგიათმცოდნეების, ეთიკოსების, ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წარმომადგენლების შემოქმედებითი ნააზრვეი მოექცა მკაცრი იდეოლოგიური და პარტიულ-ცენზურული ზედამხედველობის ქვეშ.

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რეტროგადები ანტიმარქსისტული ხასიათის ბრალდებებით თავს ესხმოდნენ თავისუფალი აზროვნებით გამორჩეულ ქართველ ფილოსოფოსებს. პროფესორ-მასწავლებლებს ეკრძალებოდათ ლექციების კითხვა და საჯარო გამოსვლები სტუდენტი ახალგაზრდობის წინაშე. სამეცნიერო ძალთა მწვავე დაპირისპირება დიდ დაბრკოლებებს ქმნიდა ქართული ფილოსოფიური აზრის აღმავლობის გზაზე. იკრძალებოდა მარქსისტული თარგისაგან განსხვავებული წიგნებისა და ცალკეული ნაშრომების გამოქვეყნება. პარტიული ცენზურა მკაცრ პასუხისმგებლობას აკისრებდა ყოველ პირს, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად გვერდს აუვლიდა მარქსისტულ თეორიას. „მარქსიზმის არცოდნაც ცოდვად ცხადდებოდა“<sup>4</sup>.

---

<sup>3</sup> რ. გოლეთიანი, ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრი: მიმართულებები, თავისებურებანი. 1918-2000. ქუთ., 2001, გვ. 89

<sup>4</sup> რ. გოლეთიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50

იდეოლოგიურად სულისშემხუთველ სოციალისტურ პირობებს საფუძვლად ედო ქართველი ბოლშევიკის, რევოლუციონერისა და საბჭოთა პარტიული მოღვაწის, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის ერთ-ერთი შემოქმედის – ფილიპე მახარაძის მიერ XX ს-ის 30-იან წლებში მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციების განსამტკიცებლად შეთითხნილი მოწოდება: „სწორია კაცობრიობის განვითარების მხოლოდ ის გზა, რომელიც გვასწავლეს მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა“.

XX საუკუნის I ნახევარი და, განსაკუთრებით, 20-30-იანი წლები, ქართულ სინამდვილეში იყო ხანა ორ მხარედ გაყოფილი საზოგადოებისა: ერთ მხარეს იდგა კომუნისტურ სასწავლებლებში აღზრდილი ახალგაზრდა მარქსისტების თაობა, რომელმაც გამოავლინა ფანატიკური რწმენა და ერთგულება მარქსიზმის იდეებისადმი, და მეორე მხარეს იყვნენ ხელისუფლებისათვის აბსოლუტურად მიუღებელი, თავისუფალ აზროვნებას მოწყურებული ფილოსოფოსები, სოციალურ-ფილოსოფიურ პრობლემებზე შექმნილი მნიშვნელოვანი გამოკვლევებით. შურისძიების ჟინით შეპყრობილი მარქსიზმის მიმდევრები ყველა საშუალებას იყენებდნენ მათი უსაფუძვლო კრიტიკის, შევიწროებისა და დევნისათვის. არ ერიდებოდნენ მათგან იდეოლოგიური მტრის ხატის შექმნას; მათთვის მიუღებელ მოაზროვნეთა ნაწერებში ეძებდნენ ანტიმარქსისტულ წინადადებებს. ორთოდოქსი მარქსისტების მიერ ანტიმარქსისტებად შერაცხულ პროფესიონალ მოაზროვნეებს ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდათ უნდობლობისა და დამამცირებელი დამოკიდებულების გარემოში. ნიჭიერ, კეთილსინდისიერ, საკუთარი მრწამსისადმი ერთგულ ადამიანებზე იწერებოდა და იბეჭდებოდა შემადრწუნებელი კრიტიკული წერილები და რეცენზიები; ჩეკისტურ მაგიდებზე ხვავდებოდა ანტიმარქსისტული ბრალდებების დამადასტურებელი დოკუმენტები, რაც ადამიანთა დაპატიმრების, წარმოუდგენელი წამების, სამსახურიდან გათავისუფლებისა და სულაც ფიზიკური განადგურების მიზე-

ზიც ხდებოდა.

ამ პერიოდში მოღვაწე ქართველი მოაზროვნეებიდან მეცნიერული კვლევის „აკრძალულ ზონას“ მიაკუთვნეს ქართველი ერის ღირსეული შვილები – შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, დიმიტრი უზნაძე, კონსტანტინე კაპანელი, კოტე ბაქრაძე, საგლე წერეთელი და სხვ. იდეოლოგიურ-ადმინისტრაციული რეპრესიებით შევიწროებული პროფესორ-მასწავლებლების ერთი ნაწილი იძულებული გახდა, დაეტოვებინა დედაქალაქი და რეგიონებში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში (გორი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი) გაეგრძელებინა თავისი მოღვაწეობა, ზოგიერთი კი, მაგალითად, პროფესორი სერგი დანელია, 1949 წელს საერთოდ ჩამოშორდა უნივერსიტეტს და 1953 წლამდე უმუშევარი იყო<sup>5</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, 50-იანი წლებიდან აშკარად იკვეთება ქართული ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზროვნების აღმავლობის გზით სვლა და ცალსახა მნიშვნელობით დამკვიდრებული მარქსისტული შეხედულებების ახლებური გააზრებისკენ სწრაფვა, თუნდაც იდეოლოგიურად დასაშვებ ფარგლებში. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან კი დიდად გაფართოვდა ქართული სოციოლოგიური აზროვნების კვლევითი არეალი. მარქსიზმის ზოგადსოციოლოგიური მოძღვრების – ისტორიული მატერიალიზმის პრობლემების დამუშავებასთან ერთად თანდათანობით ძალას იკრებს კვლევა-ძიება გამოყენებითი სოციოლოგიის დარგში. თუმცა უნდა ითქვას, რომ კვლევა-ძიების ფართოდ გაშლას ხელს უშლიდა შემორჩენილი შიში თეორიული სიახლეების ძიების მოსალოდნელ გართულებათა გამო, ჯერ კიდევ არსებული შეუხელებელი სისატიკე იდეოლოგიური თავისუფლების მიმართ და სხვ.<sup>6</sup> ამის მიუხედავად, აღნიშნავს რობერტ გოლეთიანი, „თავისუფლე-

---

<sup>5</sup> იხ. ბ. ურიდია, სერგი დანელია, თბ., 1990, გვ. 33

<sup>6</sup> რ. გოლეთიანი, ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრი: მიმართულებები, თავისებურებანი. 1918-2000. ქუთ., 2001, გვ. 147

ბისკენ სწრაფვა ტოტალიტარიზმის ტყვეობაში მოქცეული ქართული აზროვნების შინაგან მოთხოვნილებას შეადგენდა. იგი მარქსიზმის განუყოფელი ბატონობის ამ წლებშიც ჰპოვებდა გამოვლენას თავისებური ფორმებითა და საშუალებებით, ქართველი ერის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში<sup>7</sup>.

ასე გვესახება, ზოგადად, ქართული ფილოსოფიური კვლევის მიმართულებანი და თავისებურებანი XX საუკუნის II ნახევარში, ანუ საბჭოთა იდეოლოგიის მსოფლმხედველობრივი ბატონობის ზეობის ხანაში, როცა ქართულმა ფილოსოფიურმა და სოციოლოგიურმა აზროვნებამ არსებობისა და ტრანსფორმირების მეტისმეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა გაავლო.

ქართველ მოაზროვნეთა შორის, რომლებიც გასული საუკუნის 50-იან წლებში იწყებენ სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლას, მოკრძალებული ადგილი უჭირავს დეაწლმოსილ მეცნიერსა და უმაღლესი სკოლის დამსახურებულ პედაგოგს, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატს, პროფესორ **ბონდო კარტოზიას**. თვალსაჩინოა მისი დეკადიანი თეორიული ფილოსოფიის, განსაკუთრებით სოციოლოგიის პრობლემების შესწავლაში. იგი თითქმის ნახევარი საუკუნე ჩუმად, უხმაუროდ ემსახურებოდა ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრის წინსვლას.

წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილია ბონდო კარტოზიას, როგორც ცნობილი პედაგოგისა და მეცნიერის, ადგილი XX საუკუნის II ნახევრის ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში<sup>8</sup>.

---

<sup>7</sup> იქვე, გვ. 147

<sup>8</sup> წინამდებარე მონოგრაფიის ავტორმა ბ. კარტოზიას ცხოვრებისა და შემოქმედების ანალიზს მიუძღვნა აგრეთვე ორი გამოკვლევა. იხ.: ი. კეკელია, ქართული ფილოსოფიის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი (პროფესორ ბონდო კარტოზიას დაბადების 100 წლისთავის გამო). სამეცნიერო კრებული „პავლე ინგოროყვა 130“, ქუთ., 2024, გვ. 152-160; მისივე, ქართული სოციალურ-ფილოსოფიური



# ბონდო კარტოზია – ქართული სოხიალურ- ფილოსოფიური აზრის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი

## I. ცხოვრების გზა

ბონდო ნიკოლოზის ძე კარტოზია დაიბადა 1923 წლის 18 ოქტომბერს (ბ. კარტოზიას დაბადების მოწმობაში მითითებულია 1924 წლის 23 იანვარი, რაც არასწორია), სოფელ ბანძაში (ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი). მისი ფიზიკური და სულიერი ძალების მომწიფების წლები სისხლხორცეულად უკავშირდება მშობლიურ სოფელს. ბავშვობა და ყრმობა შინაურ, ოჯახურ ატმოსფეროში გაატარა. სოფლის ცენტრის მახლობლად, ტაბაკურში, XXI საუკუნის დასაწყისამდე იდგა ქვის ბოკონებზე შემდგარი, მცირე ზომის, ხის სამოთახიანი ოდა და ასევე სამზადი სახლი, ე. წ. კუხნა, სადაც დაიბადა და სიცოცხლის ბოლო ათწლეული გაატარა ბონდო კარტოზიამ.

მისი მშობლები უბრალო, შრომისმოყვარე და პატიოსანი ადამიანები იყვნენ. მამა – ნიკო (ნიკოლოზ) თეიმურაზის ძე კარტოზია წარმოშობით მეზობელ სოფელ ჯოლოდან იყო. I მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთის ჯარიდან დაბრუნებულს ბანძაში, აზნაურ გაბუნების ყოფილ საცხოვრისში, ბარდლა გაბუნისაგან მიწის ნაკვეთი შეუძენია, სახლი დაუდგამს და ვაჭრობა დაუწყია. ურიაკარში ჰქონია სავაჭრო დუქანი. ამასთანავე, კავშირი არ გაუწყვეტია სოფლის მეურნეობასთან, უვლიდა ვენახს, ყანას. დედა – ანა (ხეთა) ბიჭიას ასული ჯდარკავა ნავგაზაოელი იყო, წარმოსადეგი, ფიზიკურად და ზნეობრივად გამორჩეული სოფლის ქალებს შორის. მისი საუკეთესო ადამიანური თვისებები ყველამ დაინახა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მეუღლე გარდაეცვალა ფილ-

---

აზრის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი. გაზ. „მარტვილი“, ოქტომბერი, 2023

ტყეების ანთებით, 1930 წლის იანვარში.

სოფელი, სადაც ბონდო კარტოზია დაიბადა და ყმაწვილკაცობის წლები გაატარა, ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი მდიდარი ისტორიული წარსულითა და კულტურული ტრადიციებით, არა მხოლოდ სამეგრელოში, არამედ – საქართველოში. ბანძაში შემორჩენილია V საუკუნის აბანოსა და ოთხაფსიდიანი ეკლესიის, X საუკუნის რვააფსიდიანი ტაძრისა და გვიანი შუა საუკუნეების ციხე-დარბაზის ნანგრევები, აგრეთვე ებრაელთა სინაგოგა (1914 წ.).

„ღიხთ-იმერეთის” 1737 წლის რუკაზე დატანილია „ბანძა-ფაღაოს” სასახლე, სათანადო პირობითი ნიშნით. „ცხენის-წყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი”, – წერს ვახუშტი ბატონიშვილი. ბანძა წარმოადგენდა ოდიშის სამთავროს ერთ-ერთი წარჩინებული გვარის – ფაღავების სათავადოს ცენტრს („საფაღავო”), თუმცა, არცერთი ამ გვარის წარმომადგენლის საცხოვრებელ ნაგებობებს – XVIII-XIX საუკუნეებისას, ჩვენამდე არ მოუღწევია. XIX ს-ის 80-90-იან წლებში სოფ. ბანძაში, სამოთხის უბნის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, იყო ცნობილი ვექილისა და საზოგადო მოღვაწის, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორის – მელქისედეკ (მექი) გიგოს ძე ფაღავასა და მისი მეუღლის, ცნობილი ქველმოქმედი მანდილოსნის – დარია მურზაყანის ასულ ფაღავას შესანიშნავი კარ-მიდამო – „მახორობა”. სასახლე და სხვა დამხმარე ნაგებობები გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისამდე არსებობდა. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ამ სახლში სკოლა იყო განთავსებული. შემდეგ მისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ და დაუწვავთ. მექი ფაღავას სახლში სტუმრად ყოფილან საქართველოს სახელოვანი შვილები – რაფიელ ერისთავი, სოფრომ მგალობლიშვილი, ილია ჭავჭავაძე, იონა მეუნარგია და სხვები.

სენაკის მაზრის ბანძის სოფლის საზოგადოება საკმაოდ დიდი მოცულობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთე-

ულს წარმოადგენდა XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მესამედში. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ 1838 წლის დოკუმენტში სამეგრელოს ეპარქიის სოფლებს შორის დასახელებულია სოფ. ბანძა, მთავარანგელოზის ეკლესიით. ეს უნდა იყოს ამჟამინდელი ვედიდკარის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია. იქვე დასახელებულია კარის წმ. გიორგის ეკლესია, რაც, სავარაუდოდ, ჯეგეკარის, ან შაურკარის ეკლესია უნდა იყოს (ორივე ბანძაში შედიოდა)<sup>9</sup>. 1864 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გაბუნას საბლადოჩინოში შედიოდა სოფელი ბანძა, ურიასკარის წმ. გიორგის ეკლესია, სადაც მღვდლები ყოფილან მარკოზ და საბა გაბუნები, ხოლო „პრიჩეტნიკები“ – სიმეონ კეკელია და დიმიტრი გაბუნია. იქვე დასახელებული არიან ბანძა-ვედიდკარის მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდლები – იოანე ფოჩხუა და მოსე ურიდია, ხოლო „პრიჩეტნიკებად“ – იოანე ფანცულაია და ნიკოლოზ ურიდია<sup>10</sup>.

XIX საუკუნის შუა ხანებში დავით დადიანის (1840-1856 წწ.) მიერ ოდიშ-ღვინოში რვა მაზრად დაიყო. მაზრებისა და მათში გაერთიანებული სოფლების შესახებ ცნობებს გვაწვდის გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია. მისი ცნობით, ბანძა სუჯუნის მაზრაში შედიოდა<sup>11</sup>. 1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებში სენაკის მაზრის სოფლებს შორის დასახელებულია ს. ბანძა (ბონზო, ბანზო), ერთი ეკლესიით<sup>12</sup>.

---

<sup>9</sup> ს. ც. ს. ა., ფონდი 489, აღწერა 1, საქმე 65509.

<sup>10</sup> დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010, გვ. 67.

<sup>11</sup> ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939, გვ. 112.

<sup>12</sup> დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010, გვ. 76.

ბანძის შაურკარის წმ. გიორგის ეკლესიის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „ეკლესია აქაც ახალია, ქვისა, წმიდის გიორგის სახელზედ აშენებული. ხატი წმიდა გიორგისა, 27+21 სანტიმეტრი, ვერცხლის არის, ქართულის ხელობისა. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი, ვეშაპს გმირავს შუბით... ხატს უზის ცხრა ძვირფასი ქვა ზემო ნაწილზე.

მეორე გვერდზე მხედრული წარწერაა:

„წელსა ჩემზ-სა ივლისის კზ-სა. წმინდა გიორგი, ჩვენ მოსავმან შენმან თავადმან ფაღავამ კაციამ და მეცხედრემან ჩემან ზეფისშვილის ასულმან ელისაბედმან გავაჭედინეთ ხატი ესე შენი საფასითა ჩვენითა სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა ჩვენთა წარსამართებლად“.

ეკლესიას დიდი ეზო აქვს ჩვეულებრივი დიდრონი ხეებით შემკობილი... ფაღავას გვარი უმეტესად ეხლაც ბანძაში ცხოვრობს”<sup>13</sup>.

XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესასწავლად საინტერესო მონაცემებია დაცული რუსეთის იმპერიის მიერ 1888 წელს განხორციელებულ ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის მასალებში, რაც 1893 წელს რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა. აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ ამ პერიოდისათვის არსებობდა სენაკის მაზრის ნაქალაქევის უბანში გაერთიანებული 11 საზოგადოება, 43 სოფლით. ბანძის სოფლის საზოგადოებაში შედიოდა ოთხი სოფელი: ბანძა, ვედიდკარი, მახათი და მუხურჩა. ოთხივე სოფელში კომლთა რაოდენობა შეადგენდა 588-ს, სულთა რაოდენობა – 3559-ს.

საქართველოს სსრ 1925 წლის ადმინისტრაციული დაყოფის ცნობარის მიხედვით სენაკის მაზრაში შემავალი ბანძის თემი აერთიანებს შემდეგ სოფლებს: ბანძას, ვედიდკარს, მუ-

---

<sup>13</sup> ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. კრ. „ძველი საქართველო“, ტ. III, ტფ., 1913-1914, გვ. 38-39.

ხურჩას, ორქას, მახათს, ლევახანეს და ლეფოჩხუეს. თემის ფართობი მოიცავდა 28,08 კმ<sup>2</sup>-ს, ხოლო რადიუსი – 5,01 კმ-ს. კომლთა და სულთა რაოდენობის მიხედვით ცალკეულ სოფლებში შემდეგი სურათია ნაჩვენები: ბანძა – 711 კომლი, 3484 სული, ვედიდკარი – 232 კომლი, 1067 სული, მუხურჩა – 133 კომლი, 593 სული, ორქა – 89 კომლი, 368 სული, მახათი – 30 კომლი, 152 სული, ლევახანე – 52 კომლი, 250 სული, ლეფოჩხუე – 111 კომლი, 508 სული<sup>14</sup>.

საქართველოს სსრ 1930 წლის ადმინისტრაციული დაყოფის ცნობარის მიხედვით არსებობს ბანძის სასოფლო საბჭო, ხუთი სოფლით: ბანძა – 574 კომლი; ვედიდ-კარი – 263 კომლი; ლევახანე – 49 კომლი; ლეფოჩხუე – 108 კომლი; მუხურჩა – 134 კომლი; ორქა – 89 კომლი<sup>15</sup>.

გასული საუკუნის 20-იან წლებში სენაკის მაზრაში შეიქმნა ოთხი რაიონი: სენაკის, აბაშის, დიდი ჭყონისა და ბანძისა. მარტვილის თემი ამ პერიოდში შედიოდა ბანძის რაიონში<sup>16</sup>. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 30 ივლისის №230 დადგენილების საფუძველზე საქართველოში გაუქმდა ოლქები და მაზრები. 15 აგვისტოს მოხდა სენაკის მაზრის ლიკვიდაცია, ხოლო დიდი ჭყონისა და ბანძის რაიონების გაერთიანებით შეიქმნა მარტვილის რაიონი<sup>17</sup>.

ბანძა, როგორც სამეგრელოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი, XIX ს-ის II ნახევრიდან აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული ბაზრის განმტკიცების, ძირითადად ქვემო სამეგრელოს

---

<sup>14</sup> სსსრ დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფ., 1925, გვ. 95.

<sup>15</sup> საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ტფ., 1930, გვ. 143.

<sup>16</sup> შსს პოლიციის აკადემიის არქივი, ყოფილი პარტიის ისტორიის არქივი, ფ. 31, ანაწ. 1, საქმე №144, ფურც. 194

<sup>17</sup> პარტიის ისტორიის არქივი, ფ. 31, ანაწ. 1, საქმე №207

სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის საქმეში. ბანძის სავაჭრო ცენტრად გარდაქმნას ხელს უწყობდა მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. იგი სენაკის მაზრის შუა ადგილზე მდებარეობდა, რისი წყალობით აქ ბაზრობას საფუძველი ჩაეყარა XIX ს-ის 60-იანი წლებიდან. 70-90-იან წლებში იგი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ყურადღების ცენტრში მოექცა. აქვე იყო სამამასახლისო ცენტრი, 1875 წლიდან აქვე მოქმედებდა საშინაო სკოლა, სადაც დადიოდნენ ბავშვები ბანძის საზოგადოების სოფლებიდან. ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანამდე ბანძაში გაჩაღებული ვაჭრობა აქაურ მედუქნეებს დიდ შემოსავალს აძლევდა. სოფლის ცენტრში, სახმელეთო გზის გასწვრივ ჩამწკრივებული იყო სავაჭრო და საბაზრო ნაგებობანი. ბანძა წარმოადგენდა ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ცენტრს, სახელოსნო და სავაჭრო საწარმოებით, ბაზრით, მწკრივად განლაგებული ფიცრული ნაგებობებითა და ათეულობით კერძო მობინადრეთა შენობებით. სოფელი თვალსაჩინო როლს თამაშობდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ბანძას სიცოცხლეს ჰმატებდა საკვირაო ბაზრობა. აქ იყო ახლომახლო სოფლების მცხოვრებთა სავაჭრო ადგილი. აქ მოდიოდნენ ვაჭრები სენაკიდან, მარტვილიდან, აბაშიდან, ხონიდან, სუჯუნიდან და სხვ.

XIX ს-ის მიწურულიდან ბანძაში ჩამოსახლებას იწყებენ ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი. ასე, მაგალითად, ნაჯახუდან ჩამოსახლებულმა იოსებ ჯოლოს ძე დანელიამ (დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ სერგი დანელიას მამამ) „საორინჯოს“ განაპირა ადგილას შეიძინა მიწის ნაკვეთი, ააგო ორსართულიანი სახლი, დაიწყო უნაგირების დამზადება და მეუნაგირეობით ოჯახის რჩენა. მის გვერდით გასული საუკუნის 10-იან წლებში ორსართულიანი, აგურის მოზრდილი შენობა დადგა ლევახანედან ჩამოსახლე-

ბულმა შევასტი მათეს ძე ვახანიამ. შენობის პირველ სართულზე მას გახსნილი ჰქონდა სავაჭრო დუქანი, ხოლო მოგვიანებით, XX ს-ის II ნახევარში ავეჯისა და ავტონაწილების მაღაზია გახსნეს (აქვე განთავსებული ყოფილა რაიკავშირის საწყოები). ეს სახლი დღესაც შემორჩენილია. აქვე, ვახანიას სახლიდან ასიოდუ მეტრზე, 1913 წელს ონოლიეღმა დუტუ შანგუამ ააშენა აგურის ორსართულიანი სახლი, რომლის პირველ სართულზეც სავაჭრო დუქანი ჰქონია გახსნილი. 1913 წელსვე ურიაკარის ცენტრში, აგურისავე, ორსართულიანი, ღამაზი და საკმაოდ დიდი ზომის სახლი ააგო ებრაეღმა დიდვაჭარმა ელო აჯიაშვიღმა.

ბანძის ცენტრში, ბაზართან, მინდორს ეწოდება ელოიაშ ცუდე („ელოიას სახლი“). აქ იღვა ბანძელი ებრაელი დიდვაჭარის – ელო აჯიაშვიღის ორსართულიანი აგურის სახლი, რომელიც იშვიათი არქიტექტურული გემოვნებით იყო აგებული ჯერ კიდევ 1913 წელს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეპატრონისთვის სახლი ჩამოურთმევიათ და სოფელსაბჭო გაუხსნიათ. „მე მახსოვს ელო, – იგონებს პროფ. ბონდლო კარტოზია, – ღრმად მოხუცი, მიხრწნილი, ღარიბ-ღატაკი, „ჭითა აბრამის“ სახლის წინ მზესუმზირას რომ ყიდდა და შორიდან შეჰყურებდა თავისი ფულით აგებულ შენობას, რომელშიც საქმიანობდნენ აღმასკომის თანამშრომლები – დათიკო გიგაშვიღი, ილაკრია პუხა, მერე ივანე კეკელია, საშა წულეისკირი, ქსენია პატარაია და სხვები“.

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან საცხოვრებელი სახლების სოფლის ცენტრში კონცენტრაცია იმით უნდა აიხსნას, რომ უშუალო მწარმოებელი, როგორც ხელოსნური წარმოების მესაკუთრე, დაინტერესებული იყო საკუთარი ნაწარმის რეალიზაციით. ამიტომ ცდილობდა იგი თავისი საცხოვრებელი და სახელოსნო ფართის იქ მოთავსებას, სადაც მომხმარებელთან დაკავშირების უკეთესი საშუალება იქნებოდა. ცხადია, საამისოდ ყველაზე ხელსაყრელი პირობები ბაზრის გარშემო მდებ-

ბარე გზებზე იყო შექმნილი და ვაჭარ-ხელოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა ასეთი ადგილები ურიაკარში დროულად დაეკავებინათ.

ბანძაში სავაჭრო ცხოვრების ისტორიის შესახებ თავის მოგონებებში საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბ. კარტოზია. მოგვყავს ამონარიდი: „მამაჩემის გარდაცვალების წლებს დაემთხვა ვაჭრობის გაუქმება საბჭოთა კავშირში. იგი თავიდანვე იყო განზრახული (1917 წ., 1921 წლებიდან), მაგრამ ქვეყანა, რუსეთი, უკრაინა და სხვა განაპირა რესპუბლიკები შიმშილობამ მოიცვა, ჩაკვდა აღებ-მიცემობა, ათასობით ადამიანი კვდებოდა შიმშილისაგან. ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ამოძრავება და ლენინი იძულებული გახდა, დაეშვა კერძო ვაჭრობის თავისუფლება. ამას ეწოდებოდა *ნეპი* („ნოვია ეკონომიჩესკაია პოლიტიკა“). ქვეყანამ ცოტა სული მოითქვა. ისე, რომ ბანძაში ებრაელებს და ჩვენს ხალხსაც, მიეცა უფლება, ჰქონოდათ დუქნები, მოეტანათ საქონელი ქუთაისიდან, ხონიდან, თბილისიდან, რუსეთიდანაც და გაეჩადებინათ აღებ-მიცემობა. ბანძის ცენტრში, ორივე მხარეზე ჩამწკრივებული იყო დუქნები. რა გინდოდა, რომ აქ არ ემოვნა ადამიანს. ვაჭრობა ყოველდღე იყო, ცხვებოდა პური, მუშაობდა სასადილოები, კვირა დღეს კი განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო. ამას ხელს უწყობდა ბანძის მდებარეობა. იგი გარშემო არსებული სოფლების (ჯოღლევი, აბელათი, ნოქალაქევი, ლევახანე, ვედიდკარი, ზანათი, მუხურჩა, ორქა, ონოღია, სამიქაო, მაიდანნი, ნაგებერაო, ნაჯახაო, ლეხაინდრაო, ნაგვაზაო, სერგიეთი და სხვ.) ცენტრშია მოქცეული. ამ სოფლებში ბაზარი არცერთში არ არის. ვაჭრობის გაცხოველებას ხელს უწყობდა ებრაელების არსებობა ბანძაში. ბანძის ცენტრს ურიაკარს ეძახდნენ...

ნეპის პერიოდი მიმდინარეობდა 1921-1927 წლებში. ვაჭრობა სასტიკად აიკრძალა. იგი კოოპერაციის ხელში გადავიდა. ხალხს მაინც უჭირდა... ვაჭრებს ჩამოართვეს დუქნები, ჩემს ბი-



ძებსაც – კოწიას და ვანოს. მათი დუქნები ჩვენს გვერდიგვერდ იყო. ჩვენ დაგვიტოვეს, რადგან დედაჩემი ქვრივი იყო. ვაჭრობა კი არ გაუგრძელებია დედაჩემს, უბრალოდ დუქანი-ნაგებობა არ ჩამოართვეს. მას ვაჭირავებდით. იქ დიდხანს მუშაობდა ზეინკალი აპოლონ ფანცულაია. ჯერ მთავრობას ჰქონდა დაქირავებული. მახსოვს, ბარდლა დიხამინჯია იყო გამყიდველი. ბოლოს დუქანი ა. ფანცულაიას მიეყიდეთ. ახლა იქ, იმ ადგილზე სასადილოს შენობაა. უკან საბოსტნე მიწაც გექონდა. თავდაპირველად, ჯოღვევიდან რომ გადმოსახლებულან ჩემი მშობლები, მარტო ჩემი უფროსი და ჰყოლიათ. დუქანი ორი თვალი ყოფილა: წინ – სავაჭროდ, უკან – საცხოვრებლად. მერე შეუქმნიათ სამოსახლო. მიწა უყიდიათ ოქროს ფულით გაბუნებებისაგან იქ. სადაც ახლა დგას ჩემი სახლი... დუქანი ჩამოართვეს აგრეთვე ეფრემა ურიას, რომელიც იდგა ამჟამინდელი ფოსტის ადგილას. დუქანში კომუნისტებმა გახსნეს ჯერ პურის საცხობი, ხოლო შემდეგ – საწყობი, სადაც გამკვედ მუშაობდა გრიგოლ (უფი) პატარაია<sup>18</sup>.

კარტოზიების ოჯახში ოთხი შვილი აღიზარდა, რომელთაგან ბონდო ყველაზე უმცროსი იყო. იგი იმთავითვე გამოირჩეოდა მშვიდი, გაწონასწორებული ხასიათით. მთელი ოჯახის, ოთხი მცირეწლოვანი შვილის მოვლა და გაზრდა, მათ სწავლა-განათლებაზე ზრუნვა დედას დაეკისრა.

„მე რომ სკოლაში შემეყვანეს, მამაჩემი ცოცხალი არ იყო. სიზმარივით მახსოვს მისი დასაფლავების დღეც. მამაჩემს, როგორც კეთილ, პატიოსან, სამართლიან პიროვნებას, დღემდე იხსენებენ სოფლის უხუცესნი. ჩემი მშობლების კეთილშობილების შესახებ მე უამრავი კონკრეტული ფაქტის დასახელება შემიძლია, მაგრამ მას იმდენი ფასი არ ექნება. უფრო მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში ჩვენს სოფელში გამორჩეული პიროვნების, ერუდირებული ექიმის, მე ვიტყვოდი, უანგარო

---

<sup>18</sup> ბ. კარტოზია, რაც გამახსენდა, 1999. ხელნაწერი ინახება ჩვენთან

მოდგაწის – გრიგოლ (გრიშა) ანტონის ძე კეკელიას აზრი. იგი მამაჩემს, რომელიც მის ხელში გარდაიცვალა, სიკეთის განსახიერებად თვლიდა, ხოლო დედაჩემს „ოთარაანთ ქვრივს“ უწოდებდა. „არაფერია ამქვეყნად ნამდვილი და სამუდამო, სიკეთისა და გულისხმიერების გარდა. ადამიანური სიკეთის გარდა სხვა ყველაფერი წარმავალია, ვითარცა სიზმარი“ (დ. უზნაძე). მამაჩემის მიერ დათესილი სიკეთე დიდხანს გვინათებდა ცხოვრების გზას, ჩვენ, მის შვილებს. ჩვენც ეს თვისება გამოგვეყვა და ალბათ ამ შემკვიდრობითობაშია სიკეთის მუდმივობაც. დედაჩემი როცა დაქვრივდა, 32 წლისა იყო. მომდევნო 33 წელი მას საკუთარი ცხოვრება არ ჰქონია. ის ჩვენთვის, შვილებისთვის ცხოვრობდა. ბავშვობაში ასე მეგონა, რომ დედაჩემს თავისი საკუთარი ცხოვრება უკვე დამთავრებული ჰქონდა და ამიერიდან მხოლოდ ჩვენთვის უნდა ეცხოვრა. თურმე არც მანამდე უცხოვრია საკუთარი ცხოვრებით. 16 წლისა გაუთხოვებით მამაჩემზე. 17 წლისას უკვე შვილი ჰყოლია, ჩემი უფროსი და ქეთევანი (დაბადებულია 1913 წელს), მერე მარგალიტა (მაგო, დაბადებულია 1919 წელს), შოთა (1922 წ.) და მე – ნაბოლარა. დედას ჩვენზე ფიქრსა და ზრუნვაში გაუტარებია თავისი ტანჯული ცხოვრება. გარდაიცვალა 1962 წელს, 64 წლისა. ახლა და ახლა უფრო, როცა სიბერეში შევდივარ, ვგრძნობ მის ამაგს, მის თავდადებას შვილებისათვის. დამით დედაჩემი ისე არ დაწვებოდა, რომ დმერთისათვის არ ეთხოვა – შვილების სიმწარეს ნუ მომასწრებო. მართალია ანა დრანსე (ავტორი წიგნისა – „შამილის ტყვე ქალები“, 1987), როცა ამბობს: „რაც უფრო მეტხანს ცხოვრობს ადამიანი, მით უფრო მეტი შემთხვევა ეძლევა, უკეთ შეაფასოს დედის სიბოლო, სიყვარულისა და თავდადების განსახიერება, რაც აკენიდან იწყება და მთავრდება მხოლოდ და მხოლოდ სამარესთან“.

სკოლამდელი პერიოდიდან ბევრი არაფერი მახსოვს. მახსოვს საბავშვო ბაღი. ანეტა და გიორგი გაბუნების სახლი და ქირავებული ჰქონდა სოფლსაბჭოს ბაღისათვის. მე, შოთა და

მეზობელი ოთარი, ოთარ ქაჯაია, შემდეგში პროფესორი, ერთად დავდიოდით ბაღში. გადავდიოდით ჩვენი სახლების უკან მდებარე ყანით. ერთხელ ტალახში ჩავრჩით და სამივემ ხმამაღლა დავიწყეთ ტირილი. ჩვენმა მშობლებმა გაიგონეს და ამოგვიყვანეს ტალახიდან. დედას ხშირად ზურგით დაგყავდი ბაღში.

სკოლამდელი პერიოდიდან მეხსიერებაში ღრმად ჩამრჩა ერთი კვირა, რაც გავატარე ბანძის ერთ-ერთ უბანში – ლევანხანეში. იქ ცხოვრობდა მამაჩემის მეგობარი ნიკო პატარაია. იგი კვირა დღეს დუქანში, როცა ხალხმრავლობა იყო, მამაჩემს ესმარებოდა, მეთვალყურეობდა დუქანში შემსვლელ-გამომსვლელთ. მამაჩემი საღამოს გაატანდა თევზს, შაქარს, პურს და ა. შ. ერთ კვირა დღეს მეც წამიყვანა ნიკომ და მისმა ცოლმა მატრონამ. ერთი კვირა ვიყავი სტუმრად. მახსოვს მათი სახლის უკან დიდი ეზო. ეზოს ბოლოში პატარა მდინარე ჩამოდიოდა. როცა მდინარისკენ გავრბოდი, ძაღლიც თან მომდევდა და გადამფრენ ჩიტებს უყევდა. ეს მე ძალიან მიხაროდა”<sup>19</sup>.

ბ. კარტოზიამ პირველდაწყებითი და საშუალო განათლება ბანძაში მიიღო. 1930 წელს სწავლა დაიწყო სოფლის ოთხწლიან სკოლაში (ე. წ. ებრაელთა სკოლა), ხოლო 1940 წელს დაასრულა ბანძის საშუალო სკოლა. სწავლის პერიოდსაც მეცნიერი განსაკუთრებული სიყვარულით იგონებს.

ბანძის საშუალო სკოლა იმ პერიოდში მარტვილის რაიონში ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებელს წარმოადგენდა. მისი დაარსება დაკავშირებულია ცნობილი განმანათლებლისა და მოღვაწის, დეკანოზ ანტონ კეკელიას (1856-1920 წწ.) სახელთან. ამ სკოლაში გასული საუკუნის 30-იან წლებში საქმიანობდნენ მოწინავე იდეების მატარებელი პედაგოგები, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს მომავალი მეცნიერის მეხსიერებაში და მყარი ბალავარი შექმნეს მისი ინტელექტუალუ-

---

<sup>19</sup> ბ. კარტოზია, რაც გამახსენდა. მოგონებები (ხელნაწერი).

რი წრთობისათვის. „1930-1940 წლები ჩემს ცხოვრებაში საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდია. მას ვერცერთი შემდეგდროინდელი ათწლეული ვერ შეედრება. ჩვენს უბანს სოფელ ბანძაში „ტაბაკური“ ეწოდება. აქ ებრაელთა ბევრი ოჯახი იყო<sup>20</sup>. მოქმედებდა ოთხწლიანი სკოლა. მას „ებრაელთა სკო-

---

<sup>20</sup> ქართულ-ებრაული ურთიერთობების შესახებ, ბანძის მაგალითზე, ბონდო კარტოზია ერთ საგაზეთო სტატიაში წერდა: „გადმოცემით ვიცი, რომ ბანძაში ებრაელები კულაშიდან ფაღავეებს – სამეგრელოს ცნობილ თავადებს – გადმოუსახლებიათ ალებ-მიცემობის განვითარებისათვის. იმ ადგილს სოფლის ცენტრში, სადაც დამკვიდრდნენ ისინი, „ურიაკარს“ ეძახდნენ. ებრაელები ვაჭრობდნენ თავიანთი საცხოვრებელი სახლების წინ გამართულ დუქნებში.

ბანძელი ებრაელები მდიდრები არ ყოფილან. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისინი მეწვრილმანეები იყვნენ. ყველაზე მდიდრად ელო აჯიაშილი ითვლებოდა. სოფლის ცენტრში ახლაც დგას მისი ორსართულიანი აგურის სახლი, აგებული 1913 წელს. 1913 წელსვე ბანძელ ებრაელებს საერთო სახსრებით აუშენებიათ დიდი სინაგოგა, მანამდე მოქმედი პატარა სალოცავის ნაცვლად.

...აღბათ, მიკერძოებად არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვი, რომ ბანძაში განსაკუთრებული გულთბილი დამოკიდებულება სუფევდა ჩვენს შორის. ყველა ებრაელმა იცოდა მეგრული. დომი და სულგუნი ყველა ებრაული ოჯახის სასიამოვნო საჭმელი იყო. არც ჩვენთვის იყო უცხო ხილი მაცა და ყალია. ჩვენც მოწიწებით შევდიოდით სინაგოგაში „დაბადების“ ზეიმზე, ჭირსა და ღხინში ერთად ვიყავით... ბანძის მკვიდრნი ებრაელებთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების ისეთ ფაქტს დაგისახელებენ, რომლის მსგავსი სხვაგან, აღბათ, არ ყოფილა. მხედველობაში მაქვს ე. წ. „მორდულის“ ინსტიტუტი. მისი მნიშვნელობა ოჯახების, გვარების დაახლოება-დამოყვრების საქმეში საყოველთაოდ ცნობილია... სწორედ ბანძამ იცის რამდენიმე უნიკალური შემთხვევა, როცა ებრაელ ბავშვს „სისატურა“ უმდერა და ძუძუ აწოვა მეგრელმა დედამ, ხოლო ძუძუმტეები სიკვდილამდე განუყრელ და-ძმებად დარჩნენ. ეს იყო ჰუმანიზმის, კეთილშობილების უმაღლესი გამოსატყულება. ბანძელები ამაყობენ ამით“. იხ. ბ. კარტოზია, მოგვენატრეთ, მეზობლებო! ღია წერილი ბანძიდან წასულ ებრაელებს. გაზ. „სამშობლო“, აპრილი, 1990, გვ. 6

ლას” უწოდებდნენ, ხან კიდევ „ამროსის სკოლას”. ამბროსი ოდიშარია, ყოფილი მღვდელი, იყო ამ სკოლის გამგე. შემდეგ მე და ჩემი კლასელები – ლენა გაბუნია, მინდა ფაღავა, რაფიელ შამელაშვილი, ძმები – მიშა და რაფო შამელაშვილები (რუთოს შვილები), ვახტანგ ურიდია, შალვა ხუხაშვილი და სხვები, გადავედით სოფელ ბანძის ცენტრში, მთავარ სკოლაში. 1937 წელს დავამთავრე ბანძის საშუალო სკოლის შვიდი კლასი, ფრიადი ყოფაქცევით და ყველა საგანში ასევე ფრიადი შეფასებით<sup>21</sup>. მეცნიერის არქივში ინახება ორი ატესტატი – შვიდწლედისა და 1940 წელს საშუალო სკოლის დამთავრებისა. შვიდწლედის დირექტორი იყო ვალოდია ხაინდრავა, ხოლო საშუალო სკოლისა – ვასო გაბუნია.

ბანძის საშუალო სკოლაში ბ. კარტოზიას თანაკლასელები ყოფილან აგრეთვე მიტუმარჯია ზარქუა, ვალიკო პატარაია, ლულუნი კეკელია, დავით ესვანჯია, სოლომონ და იცხაკ აჯიაშვილები და სხვ. ყველა გრძნობდა, რომ მე რაღაცნაირად გამორჩეული მოსწავლე ვიყავი. ყველა საგანი, განსაკუთრებით მათემატიკა, შემეძლო მესწავლა ფრიადზე. მიყვარდა თუ არ მიყვარდა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. სიყვარულით და გატაცებით კი მხოლოდ ქართულ ენასა და ლიტერატურას, აგრეთვე ისტორიას, ვსწავლობდი. აქ დიდ როლს თამაშობდნენ ამ საგნების მასწავლებლები – იოსებ ჯიქია და რაჟდენ ქუთელია. არა მგონია, თუ საქართველოს საშუალო სკოლებში, სადმე, სოფლად თუ ქალაქად, უკეთესი მასწავლებლები ყოფილიყვნენ. საერთოდ ბანძის საშუალო სკოლის ისტორიაში 30-იან წლებს კლასიკური პერიოდი უნდა ვუწოდოთ, იმდენი სახელოვანი ადამიანი გამოვიდა ამ სკოლიდან. აგრეთვე იმის გამო, რომ ამ დროს აქ მოღვაწეობდა მასწავლებელთა ბრწყინვალე თანაგვარსკვლავედი: მიხა კეკელია (მათემატიკა), იოსებ ჯიქია (ქართული ენა და ლიტერატურა), რაჟდენ ქუთელია (ის-

---

<sup>21</sup> ბ. კარტოზია, რაც გამახსენდა. მოგონებები (ხელნაწერი)

ტორია), ტონია ოდიშარია (ბიოლოგია), ივლიანე გაბუნია (რუსული ენა და ლიტერატურა) და სხვები. ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, რომ მე ვინმესთან, – ან სკოლის ამხანაგთან, ან უფროსებთან, – მივსულიყავი დახმარებისთვის. ყოველთვის დამოუკიდებელი გზით მივდიოდი. არავისთვის არ მიმიბაძავს, მე თავად კი ბევრი მყოლია მომბაძველი”<sup>22</sup>.

მისი განსაკუთრებული ნიჭიერება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ პედაგოგებს, რომლებიც სკოლის გამორჩეულ მოსწავლეს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ბ. კარტოზიას არქივში ინახება აგრეთვე „ქების სიგელი”, სადაც აღნიშნულია: „ექლვეა ბანძის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეს ბონდო კარტოზიას, ფრიადი წარმატებისა და სამაგალითო ყოფა-ქცევისათვის. სკოლის დირექტორი (გამგე) ვ. ხაინდრავა, კლასის ხელმძღვანელი შ. დანელია. №289, 6 ივლისი, 1936 წ.” მისივე ბიბლიოთეკაში დაცულია დანიელ დეფოს წიგნი „რობინზონ კრუზო”, შემდეგი წარწერით: „სწავლაში მუყაითობისა და წესრიგის საუკეთესოდ დაცვისათვის – ბ. კარტოზიას. 2 თებერვალი, 1936 წ.” ხელს აწერს სკოლის დირექტორი ი. ჯიქია. სწორედ ბანძის საშუალო სკოლაში ჩამოყალიბდა ბ. კარტოზიას შემოქმედებითი საქმიანობის უნარი.

ოჯახის წევრები ინახავენ აგრეთვე ბ. კარტოზიას X კლასის საკლასო წერის რვეულს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. იოსებ ჯიქია, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა ბონდო კარტოზია, ყოველთვის აღტაცებული იყო თავისი მოწავის ნიჭიერად დაწერილი რეფერატებით, რომლებშიც ბონდო საკუთარ შემოქმედებასაც ჩაურთავდა ხოლმე. თემები – „ტარიელ გოლუას დახასიათება”, „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების პირველი პერიოდი”, „არსენას დახასიათება” და სხვ., ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიერ შეფასებულია ფრიალზე. რეფერატებს აშკარად ატყვია მოწავის

---

<sup>22</sup> ბ. კარტოზია, რაც გამახსენდა. მოგონებები (ხელნაწერი)

ფართო განათლება და შემოქმედებითი ნიჭი.

საკლასო რვეულში ინტერესს იწვევს ის, რომ ბ. კარტოზია ზოგჯერ ამა თუ იმ თემას საკუთარი ლექსით ასრულებდა. მაგალითად, „არსენას დახასიათება“ ასე მთავრდება: „გამარჯვებული ხალხის ბედნიერი ცხოვრების მომდერალი, მესტვირე მხიარულ კილოზე უმღერის გმირულად დაღუპულ არსენას:

იყავ ხალხის შვილი პირმშო,  
შენს საქმეზე მღერის სტვირი,  
დღეს მშრომელი ცრემლებს იშრობს,  
სამარაბლოც აღარ სტირის”.

როგორც უკვე აღინიშნა, ბ. კარტოზიას განსაკუთრებით იტაცებდა ქართული ენა და ლიტერატურა. მკვლევარი დიდი სიყვარულით იგონებდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს – იოსებ ჯიქიას (1902-1954 წწ.): „30-იან წლებში ძალიან ცოტა იყო ლიტერატურა ჩვენი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების შემოქმედების შესახებ. იყო მხოლოდ მ. ზანდუკელის წიგნი, მაგრამ იგი ყველას არ ჰქონდა. ამიტომ იოსებ ჯიქია დასვენების დღეს, კვირას, სკოლაში დაგვიბარებდა მოწინავე მოსწავლეებს და აქ გვაწვრინებდა ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის, გალაკტიონისა და სხვების შესახებ საკლასო წერისათვის საჭირო ლიტერატურას, ე. წ. გარჩევებს. მას ხელთ არაფერი ეჭირა. იჯდა მაგიდასთან და ზეპირად მოგვითხრობდა მათი შემოქმედების შესახებ. ციტატებს ამა თუ იმ ნაწერებიდან შემდეგ ჩვენ დავუმატებდით. მასწავლებელი გვავალებდა, რომ ციტატები შეგვედარებინა დედნებისათვის. ეს ყველაფერი უანგაროდ ხდებოდა. იოსებ ჯიქია იყო საოცრად ერუდირებული და უაღრესად სპეტაკი პიროვნება. იგი ტრაგიკულად დაიღუპა 1954 წელს. მისი წყალობით ჩვენ გაცნობილი ვიყავით ტაბუდადებულ ლიტერატურასაც. წაკითხული გვქონდა მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ტიცი-

ანი, ტერენტი გრანელი და სხვ.”<sup>23</sup>.

ბ. კარტოზიას ბავშვობის საუკეთესო წლები დაკავშირებულია ბანძასთან – ისტორიული ოდიშის ამ გამორჩეულ სოფელთან. ურიაკარი, ოხვამეკარი, საორინჯო, ტაბაკური, ბანძაშ მინდორი, აბაშის ჭალა, – ეს ადგილები იყო მისი თავშესაქცევი, ფიზიკური და სულიერი წრთობის ემბაზი. სწავლა, წიგნის კითხვა დღე და ღამე, საჯარო ლიტერატურული გასამართლებანი სოფლის კლუბში და მათში აქტიური მონაწილეობა მოსწავლის ცხოვრების თანამდევი გახდა. „გარდა ამისა, იგონებს მეცნიერი, დედაჩემს ვეხმარებოდი ყანაში, ვენახში, სამუშაოზე. აქ უფრო ჩემს ძმას – შოთას ეხერხებოდა მოქმედება. ეს მე მიადვილებდა იმას, რომ სწავლისთვის მეტი დრო დამეთმო, ვიდრე ფიზიკური შრომისათვის. შოთას მიუხაროდა ყანისკენ, მე – სკოლისკენ წასვლა”.

ბ. კარტოზიასათვის უცხო იყო გართობა, გარდა ფეხბურთისა. როგორც თვითონ წერს, სიამოვნებას ორი რამ ჰგვრიდა – წიგნთან მუშაობა და ბურთის თამაში. სპორტული ჟინით შეპყრობილ თანატოლებთან დადამებამდე თამაში სანუკვარ მოგონებად დარჩა მომავალი მეცნიერის ცხოვრებაში. მოგონებებში იგი გვიამბობს სპორტით, განსაკუთრებით – ფეხბურთით გატაცებაზე. „ფეხბურთის ისტორია სოფელ ბანძაში ჩემი თაობიდან იწყება. მანამდე ყოფილა ლელობურთის თამაში, რასაც მე არ მოვსწრებივარ. თავდაპირველად თამაში იმართებოდა ოხვამეკარზე მდებარე მინდორში. ეს ის ადგილია, სადაც ახლა ეკლესია შენდება. მაშინ, 30-იანი წლების დასაწყისში, იქ ტრიალი მინდორი იყო, არცერთი ხე არ იდგა. იქვე იყო საპარკო, სამხრეთით – კვაჯია გაბუნიას ეზო. მას „ბანძა-მინდორსაც” ეძახდნენ. შაბათ-კვირას აქ იმართებოდა ჯარობა. მუშაობით დაღლილი ხალხი – მოხუცებიც, ახალგაზრდები – თავს იყრიდა, იყო სიმღერა-თამაში, გართობა, ჭიდაობა და ბო-

---

<sup>23</sup> ბ. კარტოზია, რაც გამახსენდა. მოგონებები (ხელნაწერი)



ლოს ფეხბურთი. ორივე მხარეზე ქვებს დავდებდით კარების მაგიერ. ბურთები ჩამოჰქონდათ ქალაქიდან ჩამოსულ ბანძელებს. ვთამაშობდი გატაცებით, დავრობდი სწრაფად. თავით, ორივე ფეხით ვურტყამდი კარებში ძლიერად. ჩემი სახლი ოხვამეკარიდან ახლოსაა. როგორც კი ბურთზე ფეხის დარტყმის ხმას გავიგებდი, ხუთ წუთში იქვე გავჩნდებოდი. წიგნი და ბურთი – ეს იყო ორი საგანი, რაც მიტაცებდა. ბანძა-მინდორზე მახსოვს სოხუმელი მირუშა კორძახიას თამაში, განსაკუთრებით – ბურთის ტარება ბასასებურად. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ზაფხულის პერიოდში განსაკუთრებით ბევრს ვთამაშობდით. შემეძლო დიდიდან საღამომდე თამაში... ხშირად მეხეოდა ფეხსაცმელი და შარვალი. შარვალი, რა თქმა უნდა, უბრალო ტილოსი იყო და მიწაზე დაცემისას მუხლისთავზე იხეოდა ხოლმე. ფეხსაცმელს ვიხდიდით და ფეხშიშველა ვთამაშობდით. ან სად იყო ზაფხულში ჩასაცმელი!.. 12-13 წლის ბიჭებიც კი (ბავშვები ხომ ისედაც), ფეხშიშველები დავდიოდით სოფლად. მარტო მე კი არა, მამებიც რომ ჰყავდათ, ისეთებიც”<sup>24</sup>

ბანძას ამშვენებს ცენტრალური სტადიონი ბაზრის მახლობლად. გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულამდე აქ შეშის ბაზარი და კოოპერაციისთვის განკუთვნილი საბოსტნე ადგილი ყოფილა. 1936-1937 წლებში ბ. კარტოზიას თანატოლებს სწორედ ამ ადგილზე გადაუწყვეტიათ სტადიონის მოწყობა ბურთის სათამაშოდ. „ვაჭრობის მუშაკის, ჩვენზე 5-6 წლით უფროსის – ჟორჟი წულაიას მეთაურობით ჩვენი თაობის ბიჭებმა: ანტონ და ოქრო კეკელიებმა, ხუტა კოკაიამ, ოთარ ქაჯაიამ, ხუტა კეკელიამ, ჩვენზე უფროსებიდან ბიჭიკო (ბიძინა) და გივი ოდიშარებმა, სიმონ (ბუტუა) კეკელიამ, ბონია წულაიამ, ასევე ჩემმა კლასელებმა – ჟორჟი სიგუამ, ნიკო ცინცაძემ, შადვა (ბაჭი) პატარაიამ, ლულუნი კეკელიამ, ვახტანგ

---

<sup>24</sup> ბ. კარტოზია, მოგონებები.

ურიდიამ, ვალიკო კუციაშვილს, რაფიელ და ილუშა შამელაშვილებმა და სხვებმა, ყველა არ მაგონდება, – ბარებით, თოხებით „მოვიტაცეთ“ ეს საბოსტნე ადგილი, მოვასწორეთ, მოვიტანეთ აკაციის ძელები, ავზომეთ და გადავზომეთ მინდვრის სიგრძე-სიგანე და გავაკეთეთ სტადიონი, რომელიც ახლაც საუკეთესოა სოფლის მოედნებს შორის. ამის შემდეგ ფეხბურთის თამაში აქ გადმოინაცვლა. მერე ბადეებიც გაჩნდა, ფორმებიც შევიძინეთ და დაიწყო ბანძაში ნამდვილი ფეხბურთის ისტორია... აქ უთამაშიათ ფოთის, სენაკის, აბაშის, სამტრედიის, ზუგდიდის, ხონისა და ვანის გუნდებს. რაიონის შიგნით ხომ არცერთი სოფელი არ დარჩენილა, რომ ჩვენთან არ ეთამაშა და ჩვენც – მათთან... რაიონის შიგნით ძლიერები იყვნენ ონოლიელები, სერგიეთელები და ჩვენ. თვითონ რაიონის ცენტრს სუსტი გუნდი ჰყავდა. ცოტა გვიან რაიონის მთავარ გუნდში, თითქმის ჩვენ – ბანძელები ვიყავით. მე შენახული მაქვს რაიონული გაზეთი, სადაც სენაკის გუნდთან თამაშის დროს ჩამოთვლილია ჩვენი გუნდის შემადგენლობა მთლიანად. 30-იან წლებში ბანძის სტადიონზე უთამაშიათ ბასა დოღობერიძეს, მიშა ჯოჯუას. აქ აიდგა ფეხი მსოფლიოში ცნობილმა ფეხბურთელმა მურთაზ ხურცილავამ. მე გუნდში მუდმივად მქონდა №9. ცენტრალური თავდამსხმელი ვიყავი, თამაში ყველა ადგილზე შემეძლო... ჩვენი გუნდის ჩამოყალიბებაში დიდი როლი აქვს ბიძინა (ბიჭიკო) ოდიშარიას. ჯერ ერთი, თვითონ კარგად თამაშობდა; მეორეც, ჩვენი მწვრთნელი იყო და ბოლოს – მსაჯი, იმდენად წესიერი, ობიექტური, რომ სხვათა სტადიონებზეც მოწინააღმდეგეები თვითონ მოითხოვდნენ, რომ ჩვენთან თამაშის დროს ბიჭიკოს ემსაჯა. 30-იანი წლების ბოლოს ბანძის ფეხბურთელთა გუნდში თამაში დაიწყეს ვალიკო კუციაშვილმა, ქაქუცა ხაჭაპურიძემ, შორჟი გოგინავამ, ბონია კიკალიშვილმა და სხვებმა”<sup>25</sup>.

---

<sup>25</sup> ბ. კარტოზია, მოგონებები.

„ძალიან ბევრს ვკითხულობდი კლასგარეშე ლიტერატურას, გაკვეთილების მომზადების შემდეგ ვაკეთებდი ამონაწერებს. განსაკუთრებით პოეზია მიყვარდა. მეც ვწერდი ლექსებს. რამდენიმე გამოქვეყნებულიც მაქვს”, – იგონებს მეცნიერი,<sup>26</sup>. ჩემს არქივში ინახება კონსპექტი იოსებ გრიშაშვილის წიგნისა – „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა” (1940 წ.). ამ წიგნმა შემაყვარა თბილისი, მისი ძველი უბნები, თვითონ იოსებ გრიშაშვილი და მისი პოეზია... შენახული მაქვს აგრეთვე 1939 წელს გაკეთებული ამონაწერები სიმონ გუგუნიას „თამარიანიდან”, „ძველი მწერლობის ანთოლოგიიდან”, ალექსანდრე ბარამიძის წიგნიდან – „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (1940 წ.)”, პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილიდან”, ვალტერ სკოტის „აივენგოდან”, რაჟდენ გვეტაძის წიგნიდან – „ლაშაური სადამოები”, სერვანტესის „დონ კიხოტიდან”, ვასილ ბარნოვის „გიორგი სააკაძიდან” და სხვ.”

საოჯახო არქივში ჩვენი ყურადღება იქცევს აგრეთვე საქართველოს სახალხო პოეტის – იოსებ გრიშაშვილის (1889-1965 წწ.) მიერ ბ. კარტოზიასთან გამოგზავნილი ორი ღია ბარათი. „გრიშაშვილის პოეზია მოწაფეობის წლებში შევიყვარე, – იგონებდა ბ. კარტოზია, – გამიტაცა მისმა პოეზიამ. 1939 წელს გამოვიდა მისი ლექსების პატარა კრებული, რომელშიც მოთავსებულია ლექსი თბილისზე: „ეს რა ხეა აქ დარგული, ეს რა ქვები აღაგია, ეს თბილისი – ქართლის გული, გორგასანლის ქალაქია” და სხვ. 1940 წელს, როცა უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, იოსებ გრიშაშვილს გავუგზავნე ფოსტით ლექსი, მისდამი მიძღვნილი. პასუ-

---

<sup>26</sup> ბ. კარტოზიას გამოქვეყნებული ლექსებიდან აქვე დავასახელებთ რამდენიმეს: „გამარჯვების წელი” (დაიბეჭდა მარტვილის რაიონულ გაზეთ „სოციალისტურ სოფელში”, 1945 წლის 4 იანვარს), „სადამოს ბინდში” (დაიბეჭდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში”, 1945 წლის 20 სექტემბერს), „წერილი „ნიანგს” პავლოვის ქუჩიდან” (დაიბეჭდა ჟურნალ „ნიანგში”, 1986 წლის №18-ში).

ხი მაღლე არ მიმიღია. მეგონა, ალბათ დაიწუნა-მეთქი. პასუხი მივიღე 1940 წლის 7 ნოემბერს:

„შენი ლექსი, პოეტო ბონდო, მივიღე. დაგვიანებით გიპასუხებთ. ცოტა უქეიფოდ ვიყავი. მშვენიერი ლექსია, გულწრფელად ამონათქვამი. გეტყობათ პოეტური ადლო და პოეზიის შეგრძნობა გქონიათ: უნდა ბევრი იკითხოთ. გისურვებთ გამარჯვებას“. ეს ჩემთვის დიდი გამარჯვება, ხოლო ქება გადაჭარბებული იყო. კიდევ უფრო მეტი ქებაა მეორე ბარათში. მეორე ლექსი 1944 წელს გავუგზავნე სოფლიდან. ლექსი ეხებოდა ჩემს სოფელში ამუშავებულ ჩაის ფაბრიკას. იოსებ გრიშაშვილს ვთხოვდი, რომ იგი რომელიმე გაზეთის, ან ჟურნალის რედაქციისათვის გადაეცა დასაბეჭდად. მან მიპასუხა, რომ დამწყები მწერლებისათვის სათანადო ჟურნალი არ გამოდისო, თორემ... ტყუილად მაქებდა აქაც. ეს ბარათი იმითაა საინტერესო, რომ ამ წლებში უკვე აღარ გამოდიოდა ჟურნალი „ჩვენი თაობა“, ხოლო „ცისკარი“ შექმნილი არ იყო“<sup>27</sup>.

1940 წელს ბ. კარტოზია ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. აქ მას ლექციებს უკითხავდნენ გამოჩენილი მეცნიერები, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს ბ. კარტოზიას ფილოსოფიურ გონებაზე და მას კიდევ უფრო გაუღვივეს ფილოსოფიის შესწავლის ინტერესი. 1948-1951 წლებში სწავლობდა ფილოსოფიის კათედრის ასპირანტურაში. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო მარქსისტული ფილოსოფიის კათედრის გამგე, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი, დოც. ალექსანდრე ქუთელია (1909-1974 წწ.). ბ. კარტოზია ჩემთან პირად საუბრებში ყოველთვის თბილად იგონებდა ალექსანდრე ქუთელიას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში და კიდევ უფრო გაუღვივა ფილოსოფიის ღრმად შესწავლისა და გააზრების ინტერესი. ჯერ კიდევ ასპირანტურის პირველ კურსზე ირიცხებოდა, აღ.

---

<sup>27</sup> ბ. კარტოზია, რაც გამახსენდა. მოგონებები.

ქუთელიამ ფილოსოფიის ფაკულტეტზე სასემინარო საათები რომ დაუთმო. შემდეგ, 1951 წლის 19 სექტემბრიდან, მისივე ნებით ჩარიცხეს შტატში, თსუ-ის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე. აქ გაიარა ბ. კარტოზია გრძელი გზა ასისტენტობიდან პროფესორობამდე. ამიერიდან მისი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირდა თბილისის უნივერსიტეტს, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, რომელსაც იგი, როგორც საყვარელ პროფესიას, გარდაცვალებამდე პირნათლად ემსახურებოდა. 1956 წელს გადაიყვანეს უფროსი მასწავლებლის, ხოლო 1959 წელს – დოცენტის თანამდებობაზე. უნივერსიტეტში სწავლისა და მუშაობის პერიოდში გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა მისი მეცნიერული მოღვაწეობის პროფილი. პირველი ნაშრომი – „ეფრემ მცირის სქოლასტიკური აზროვნებისათვის“ – გამოაქვეყნა თსუ სტუდენტთა IX სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისებში, 1947 წელს. 1953 წლის 29 ივნისს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თსუ სამეცნიერო საბჭოს 1992 წლის 28 სექტემბრის დადგენილებით მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება, თეორიული ფილოსოფიის სპეციალობით. მისი კვლევის მთავარი თემა იყო XX საუკუნის ქართული ფილოსოფიურ-სოციოლოგიური აზრის ისტორია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა 1995 წლამდე. 1995 წლიდან გარდაცვალებამდე ლოგიკისა და ფილოსოფიის კურსს კითხულობდა სოხუმის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის უნივერსიტეტში (ქ. ფოთი), სოხუმის ცოტნე დადიანის სახელობის ჰუმანიტარულ ინსტიტუტსა (ქ. სენაკი) და სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში.

ბ. კარტოზია დაჯილდოებული იყო პედაგოგისათვის საჭირო ყველა თვისებით – მაღალი პროფესიონალიზმითა და მომთხოვნელობით, რასაც საოცრად კარგად უხამებდა დიდ ჰუმან-

ნურობასა და გულისხმიერებას თავისი კოლეგებისა და სტუდენტების მიმართ. ცალკე აღსანიშნავია ის პრინციპულობა, რაც ეხებოდა მეცნიერის პროფესიულ საქმიანობას.

მეცნიერი 1995 წლიდან მშობლიურ სოფელში ცხოვრობდა. დაუბრუნდა იმ გარემოს და კერას, სადაც თავისი ბავშვობისა და ყრმობის საუკეთესო წლები ჰქონდა გატარებული.

გვახსენდება ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის – მოსე გოგიბერიძის (1897-1949 წწ.) სიტყვები: „სამშობლოს სიყვარულის ქართველური განცდა სახიერდება აგრეთვე ქართველის სპეციფიკურ სიყვარულში ქართული ფაცხისა, ბანისა, ოდის, საერთოდ ქართული სახლის მიმართ. სიყვარული სახლისადმი არის განვითარებული ფორმა სამშობლო მიწისა და კერიისადმი სიყვარულისა. ეს გრძნობა საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე არის წარმოშობილი და განუყრელი თანმხლებია ქართული პატრიოტიკის, სამშობლოს სიყვარულის ქართველური განცდისა. ქართველს უყვარს სახლი, რომელშიაც იგი, თუ მისი წინაპარი დაბადებულია... ქართულ პატრიოტიკაში სახლის სიყვარულს საპატიო ადგილი უჭირავს“<sup>28</sup>.

სოფლის კარ-მიდამოსადმი სიყვარული არასოდეს განელეგბია ბ. კარტოზიას. მისი ოდა-სახლის რიკულებით დამშვენებული აივანი და სტუმრებისთვის განკუთვნილი ოთახი იყო სოფლის ინტელიგენციის შეკრების, მეცნიერებისა და ლიტერატურის პრობლემებზე ბჭობის ადგილი და ერთგვარი ლიტერატურული სალონი. აქ ვიკრიბებოდით ბატონ ბონდოს მეგობრები, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვარლამ კეკელია (ავტორი ასევე რომანისა „ამაღლებამდე“), ცნობილი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, პროფესორი ოთარ ქაჯაია (გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ), დოცენტი ანტონ (მუ-

---

<sup>28</sup> მ. გოგიბერიძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი. ტ. IV, თბ., 1978, გვ. 220-221

ცუ) კეკელია, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები (ჯემალ ცაგარეიშვილი, გიგლა გაბუნია, ნაზი ბუღაძე, ნელი წოწორია, მისხილ ზედანია, რომული ჯიქია...) და სხვ.

ეს იყო მღელვარე 90-იანი წლების მეორე ნახევარი, უშუქობის, შიმშილის, ქაოსისა და განუკითხაობის მძიმე წლები. ბონდო კარტოზია ყოველთვის მხარში მედგა, მამხნევებდა... მასთან არცთუ ისე ხანგრძლივი პერიოდის ნაცნობ-მეგობრობიდან ჩემ მეხსიერებას არაერთი ცინცხალი მოგონება შემორჩა. იცოდა დინჯი, აუჩქარებელი საუბარი. გვახალისებდა ყოველთვის სასიამოვნო, მისეული იუმორით შეზავებული საინტერესო ამბების მოყოლით. დიდი სითბოთი იგონებდა ბანძაში გატარებულ ბავშვობის წლებს. სიყვარულით ახსენებდა ხოლმე თანასოფლელებს: ცნობილ ფილოსოფოსს, ლიტერატურათმცოდნესა და მთარგმნელს, პროფესორ სერგი დანელიას, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, აკადემიკოს იური კაჭარავას, ენათმეცნიერს, პროფესორ რაფიელ შამელაშვილს, დრამატურგს, კრიტიკოსსა და პოეტს – გიორგი (გიგლა) ხუნაშვილს, ექიმსა და პოეტს – ემელიან ქურდიანს... მადლიერების სიტყვებს არ იშურებდა გულგახსნილი და სიკეთით აღსავსე მეზობლების – ერვანდ თოშხუას, მედული ჯანჯღავას, ალექსანდრე (საშა) წოწონავას, კაკო წულაიას, ჟენია მახათაძისა და სხვების მიმართ. იცოდა ყველა თანასოფელი ებრაელის მეტსახელი (მიშა-პახვალა, სიმონ-ჩიტა, კვარკვალიტა...). ერთ-ერთი სტუმრობისას, 1998 წლის მიწურულს, ვთხოვე, რომ დაეწერა და მოგონებების სახით აეკინძა განვლილი ცხოვრების გზა. მეცნიერმა ეს თხოვნა შეგვისრულა. ბ. კარტოზიას მოგონებათა ფურცლები ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს თვით ავტორის ბიოგრაფიის ცალკეული დეტალების დასაზუსტებლად, ასევე სოფელ ბანძის უახლესი ისტორიის შესასწავლად<sup>29</sup>. მე გახლდით მისი არა მხოლოდ უმცროსი მეგობარი,

---

<sup>29</sup> მოგონებების რვეული ინახება ჩემთან და მზადდება გამოსაცემად

არამედ მეცნიერული მოღვაწეობის ნამდვილი მონაწილე და წამქეზებელი. ამ მეგობრობამ გვიბიძგა, რომ დაგვეწერა წიგნი ჩვენს თანასოფელზე, XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პროფესორ სერგი დანელიას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებზე, მისი დაბადებიდან 110 წლისთავის აღსანიშნავად. ნაშრომის ცალკეული თავები იწერებოდა 1998-1999 წლებში, ხოლო ცალკე წიგნად გამოცემა მოხერხდა მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, 2008 წელს.

ბონდო კარტოზია ბანძის საშუალო სკოლაში ჩემ მიერ იმ პერიოდში დაგეგმილ-განხორციელებული არაერთი შეხვედრის აქტიური მონაწილე ყოფილა, რომელთაგან გამოვყოფდი 1998 წლის 10 ოქტომბერს მწერლის, მთარგმნელის, ეთნოგრაფის, ლექსიკოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის – თედო სახოკიას დაბადების 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს; იმავე წლის 27 ოქტომბერს დიდი ქართველი მოაზროვნის, ფილოსოფოსის, ლიტერატურათმცოდნისა და მთარგმნელის, პროფესორ სერგი დანელიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციას; 1999 წლის 23 აპრილს გამართულ „გრიშაშვილობას“. იმავე წლის ნოემბერში ბატონი ბონდო, დოცენტი ვარლამ კეკელია, საშუალო სკოლის დირექტორი დ. ძაგანია და მე, ვეწვიეთ ბანძის (ნაჩილაჩაოას) არასრულ საშუალო სკოლას, სადაც მოკრძალებით აღვნიშნეთ ტერენტი გრანელის დაბადების 100 წლისთავი. ჩვენთვის ძალისხმევით 1999 წელს ბანძაში აღინიშნა ცნობილი ქველმოქმედი მანდილოსნის, ბანძის სასოფლო ბიბლიოთეკის დამაარსებლის – დარია ფაღავას დაბადების 130 და გარდაცვალების 100, აგრეთვე 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან 75 და ბოჩა წულაიას დაბადების 80 წლის საიუბილეო თარიღები. ამ შეხვედრების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ძირითადი მომხსენებელი პროფესორი ბონდო კარტოზია იყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სადაც თითქმის



ნახევარი საუკუნე მოღვაწეობდა, სათანადოდ დააფასა მეცნიერის ღვაწლი: 1984 წელს, რექტორის, აკად. ვ. ოკუჯავას ბრძანების საფუძველზე, ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების 60 წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული მატერიალიზმის კათედრის დოცენტი ბონდო ნიკოლოზის ძე კარტოზია დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის მედლით (№357/056, 25 იანვარი, 1984 წ.).

1999 წლის 20 თებერვალს ბანძის საშუალო სკოლაში ბ. კარტოზიას დაბადების 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი აღინიშნა. იმავე წლის 25 სექტემბერს მიენიჭა მარტვილის რაიონის სოფელ ბანძის საპატიო მოქალაქეობა (მოწმობას ხელს აწერს ბანძის საკრებულოს გამგებელი ბ. ვახანია).

ბონდო კარტოზიას, მისი ოდა-სახლის ფოტოსურათის უკანა მხარეზე, 1965 წლის 20 ივნისს, თავისი ხელით მიუწერია ამონარიდი ცნობილი ბულგარელი მწერლის – მარკო მარჩევსკის რომანიდან – „კუნძული ტამბუქტუ“: „ადამიანი თავისი სურვილის გარეშე იბადება და სურვილის გარეშე კვდება, მაგრამ როდესაც სამშობლოს მოშორებულია და სიკვდილი უახლოვდება, იგონებს იმ ადგილს, სადაც დაიბადა, როგორც მერცხალი, არ ივიწყებს თავის ძველ ბუდეს. სიკვდილი ადამიანს მშობლიური ადგილებისაკენ იზიდავს...“ მასშიც ხომ ხანდაზმულობის ჟამს ძალუმად იგრძნობოდა მშობლიური სოფლისადამი გამძაფრებული სიყვარული, ბავშვობისა და ყრმობის წლების ნოსტალგია... „აქ უნდა დავიმარხო, აქაა ჩემი ძვალთშესალაგით“, – იტყოდა ხოლმე. შვილებმა და შვილიშვილებმა ანდერძი შეუსრულეს – 2000 წლის 22 იანვარს თბილისში, 77 წლის ასაკში გარდაცვლილი მეცნიერი ბანძაში ჩამოასვენეს და სოფლის ცენტრში, შაურკარის სასაფლაოზე, მშობლებისა და მეუღლის – ვენერა ცანავას გვერდით დაკრძალეს. ბატონ ბონდოს ცხოვრებისა და ღვაწლის, მისი დამსახუ-

რების შეფასება თანასოფელებს – მე და დოცენტ ვარლამ კეკელიას გვერგო წილად გამოსათხოვარ სიტყვაში.

სიტყვა „ფილოსოფია” (Φιλοσοφία, philosophia) ბერძნულია და „სიბრძნის მოყვარეს” ნიშნავს. ბატონი ბონდო კარტოზია თავად იყო სიბრძნის სიყვარულზე უსაზღვრო და თავდავიწყებული სიყვარულით შეყვარებული ადამიანი, რომელმაც თავისი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობით მოკრძალებული ადგილი დაიმკვიდრა XX საუკუნის II ნახევრის ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში.

## II. მეცნიერული მემკვიდრეობა

ბ. კარტოზიას სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ნახევარ საუკუნეს გრძელდებოდა. მისი მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროს XX საუკუნის პირველი მესამედის ქართული ფილოსოფიის ისტორია შეადგენდა. ამ და სოციოლოგიური პრობლემების, აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სტატია და რეცენზია. მეცნიერის ფილოსოფიური შეხედულებანი განიცდიდა გარკვეულ ცვალებადობას, ხდებოდა მათი დახვეწა და დაზუსტება.

მსოფლმხედველობის თვალსაზრისით ბ. კარტოზიას ფილოსოფიურ მოღვაწეობაში შეიძლება გამოვყოთ **ორი ძირითადი პერიოდი**: პირველი პერიოდია XX ს-ის 50-იანი წლების დასაწყისიდან ვიდრე 1990 წლამდე, როცა მეცნიერი იძულებული იყო, რომ კვლევის პროცესში გამოეყენებინა შეფასების მარქსისტული კრიტერიუმები, და მეორე – იმავე საუკუნის ბოლო ათწლეული, – როცა საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა კუმინისტური, ტოტალიტარული იდეოლოგიის შეუქცევადი უარყოფის პერიოდი საზოგადოებრივი მეცნიერებების, მათ შორის სოციოლოგიისა და ფილოსოფიის დარგებში მომუშავე მეცნი-

ერების მიერ. ესაა ქართული ფილოსოფიის თავისუფალი და შემოქმედებითი სოციალურ-ფილოსოფიური აზროვნების ლიანდაგებზე გადასვლის, XX საუკუნის გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეთა – დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძის, სერგი დანელიას, მოსე გოგიბერიძის, კონსტანტინე კაპანელის, კოტე ბაქრაძისა და სავლე წერეთლის ფილოსოფიური მემკვიდრეობის, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ტეშმარიტად ობიექტური ანალიზისა და შეფასების პერიოდი.

ბონდო კარტოზიას ცალკეული გამოკვლევებიდან აქვე დავასახელებთ რამდენიმეს: „საზოგადოება და პიროვნება“<sup>30</sup>; „ხელოვნების თეორიის საკითხები შ. ნუცუბიძის შემოქმედებაში“<sup>31</sup>; „ქართული ფილოსოფიური აზრი სოციალისტური რევოლუციის პირველ ეტაპზე“<sup>32</sup>; „ს. დანელიას პედაგოგიური შეხედულებანი“<sup>33</sup>; „დ. უზნაძის სოციოლოგიური შეხედულებები“<sup>34</sup>; „სოციოლოგიის საკითხები დ. უზნაძის შრომებში“<sup>35</sup>; „რევოლუცია და ენა“ [ს. დანელიას დაბადებიდან 90 წლისთავის გამო]“<sup>36</sup>; „დიმიტრი უზნაძე ყოფნა-არყოფნის პრობლემის შესახებ და ქართული ხალხური პოეზია“<sup>37</sup>; „ჯოგი თუ ჯორი?“ [„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის შესახებ]“<sup>38</sup> და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ბ. კარტოზიამ 1953 წელს დაიცვა დისერტაცია. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მას წარდგენილი ჰქონდა გა-

---

<sup>30</sup> თსუ შრომები, ტ. 97, 1961

<sup>31</sup> შ. „ცისკარი“, №2, 1970

<sup>32</sup> შ. „მნათობი“, №7, 1970

<sup>33</sup> შ. „სკოლა და ცხოვრება“, №2, 1973

<sup>34</sup> თსუ შრომები, ტ. 169, 1975

<sup>35</sup> შ. „განთიადი“, №2, 1977

<sup>36</sup> შ. „ცისკარი“, №5, 1980

<sup>37</sup> შ. „ცისკარი“, №8, 1986

<sup>38</sup> შ. „კრიტიკა“, №4, 1988

მოკვლევა, თემაზე – „ისტორიული მატერიალიზმის საკითხები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომაში – „გერმანული იდეოლოგია“, რაც შედგება შესავლის, სამი თავისა და გამოყენებული მიტერატურის სიისაგან. ბ. კარტოზიას აზრით, სადისერტაციო შრომის ამოცანას შეადგენს მარქსიზმის წარმოშობის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ, მარქსისა და ენგელსის მიერ ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენა და ამ საფუძველზე ახალგაზრდა ჰეგელიანელთა (ლ. ფოიერბახი, ბ. ბაუერი, მ. შტირნერი, კ. გრიუნი...) იდეალისტური ფილოსოფიურ-ისტორიული თეორიების კრიტიკა, რაც პირველად განხორციელდა მარქსისა და ენგელსის შრომაში – „გერმანული იდეოლოგია“.

აქვე შევნიშნავთ, რომ ჰეგელიანელობა გულისხმობს ჰეგელის მოძღვრების შინაგან წინააღმდეგობათა გამოვლენის შედეგად XIX საუკუნის 30-40-იანი წლების გერმანიაში წარმოშობილ მიმდინარეობას. ჰეგელიანელები იყოფოდნენ ორ – მემარცხენე და მემარჯვენე ფრთად. მემარცხენე ანუ ახალგაზრდა ჰეგელიანელების წარმომადგენლები იყვნენ დ. შტრაუსი, ბ. ბაუერი და სხვანი. ისინი მემარჯვენე ანუ ძველი ჰეგელიანელების (კ. გემელი, ჰ. ჰინრიხსი, გ. გაბლერი და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს უჭერდნენ ჰეგელის დიალექტიკას, აკრიტიკებდნენ ქრისტიანულ რელიგიას. მემარჯვენე ჰეგელიანელები კი, პირიქით, ჰეგელის ფილოსოფიის მიზნად მიიჩნევდნენ რელიგიურ და ფილოსოფიურ სიმბიოზს, უარყოფდნენ დიალექტიკას. შინაარსობრივად ეს ბრძოლა შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც პოლიტიკური ბრძოლა ახალი იდეების მატარებელ იდეოლოგებსა და პოლიტიკაში რეაქციონერებს შორის. მემარცხენე ჰეგელიანელებს ეკუთვნოდნენ ადრეულ პერიოდში ლუდვიგ ფოიერბახი, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. თუმცა ეს ორი უკანასკნელი 1844 წლიდან იწყებს ჰეგელიანელობის კრიტიკას და ახალი, მატერიალისტური მსოფლმხედველობის შემუშავებას. XIX საუკუნის II ნა-

ხევარში ჰეგელიანელობა კვლავ აღორძინდა ევროპაში. XX საუკუნის დამდეგს ჰეგელიანელობა ნეოჰეგელიანობაში გადაიზარდა<sup>39</sup>. ნეოჰეგელიანელობა, როგორც XIX-XX სს. იდეალისტური ფილოსოფიის მიმდინარეობა, ცდილობდა შეექმნა მთლიანი მსოფლმხედველობა ჰეგელის ფილოსოფიის განახლებული ინტერპრეტაციის საფუძველზე.

დისერტაციის I თავში ბ. კარტოზია წარმოადგენს ახალგაზრდა ჰეგელიანელთა პოლიტიკური და ისტორიული შეხედულებების წინააღმდეგ მარქსისა და ენგელსის ბრძოლის ისტორიის საკითხებს. II თავში გადმოცემულია ისტორიის მეცნიერული ახსნის ძირითადი პრინციპები, მარქსისა და ენგელსის მოძღვრება საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის შესახებ; განხილულია საზოგადოებრივი ცნობიერებისა და მისი პროდუქტების წარმოშობისა და ბუნების საკითხი. III თავში ნაჩვენებია, თუ როგორ გამოიყენეს მარქსმა და ენგელსმა ისტორიული მატერიალიზმის პრინციპები სოციალიზმის დამყარების აუცილებლობის დასასაბუთებლად. ბ. კარტოზიას დისერტაციის მიზანს შეადგენს ჩვენება იმისა, თუ როგორი იყო მარქსისა და ენგელსის თვალსაზრისი ცალკეულ საკითხებზე 1845 წლამდე და როგორ განვითარდა და დამუშავდა ეს თვალსაზრისი მათ შემდგომ, მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის შრომებში<sup>40</sup>.

აღნიშნული დისერტაციაც, ისევე როგორც იმ დროის ფილოსოფიური ლიტერატურა, მიზნად ისახავს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გაიდუალებას. მარქსიზმის წარმოშო-

---

<sup>39</sup> მ. ჭელიძე, ჰეგელიანელობა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, თბ., 1987, გვ. 612

<sup>40</sup> ბ. კარტოზია, „ისტორიული მატერიალიზმის საკითხები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომაში – „გერმანული იდეოლოგია“. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. 1952, გვ. 18 (ხელნაბეჭდი). ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ბას ბ. კარტოზია უწოდებდა „ნამდვილ ადმოჩენას“, „რევოლუციას ფილოსოფიაში“. დისერტანტი მიიჩნევდა, რომ მარქსიზმის წარმოშობით დაიწყო ფილოსოფიის ისტორიის სრულიად ახალი პერიოდი. „ამიერიდან ფილოსოფია მასების კუთვნილება იქცა. მარქსიზმი ბოლომდე თანმიმდევრული მეცნიერული მსოფლმხედველობაა, რომელიც იცავს ჩაგრული მასების, პროლეტარიატის ინტერესებს. მისი წარმოშობა დაკავშირებული იყო ბოლომდე თანმიმდევარი რევოლუციური კლასის, პროლეტარიატის წარმოშობასა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მის კლასობრივ ბრძოლასთან“<sup>41</sup>. ისტორიის მატერიალისტურმა შემეცნებამ, მკვლევრის აზრით, მოსპო ძველი, იდეალისტური ფილოსოფიურ-ისტორიული თეორიები. ბონდო კარტოზია მას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გარკვეული ისტორიული საფეხურის პროდუქტად მიიჩნევს<sup>42</sup>. „მარქსმა და ენგელსმა, – დანძენს ბ. კარტოზია, – განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მატერიალიზმის თანმიმდევრულად გატარებას საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროზე... ბუნების მატერიალისტური შეცნობის გავრცელებამ ადამიანთა საზოგადოების შესწავლაზე ნათელი გახადა ის, თუ რა იწვევს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, როგორ ხდება გადასვლა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი წყობიდან მეორეზე. ისტორიის მატერიალისტური ახსნით, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესახებ მთლიანი და მწყობრი მეცნიერული თეორიის წარმოშობით, იდეალიზმი განდევნილი იქნა მისი უკანასკნელი თავშესაფრიდან, ისტორიის, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროდან, ბოლო მოეღო იმ ქაოსსა და თვითნებობას, რაც ბატონობდა ადამიანთა საზოგადოების შესახებ მარქსიზმის წარმოშობამდე არსებულ შეხედულებებ-

---

<sup>41</sup> იქვე. გვ. 3

<sup>42</sup> იქვე. გვ. 10

ში<sup>43</sup>.

1955 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის თანამშრომლებმა მოამზადეს და გამოსცეს სახელმძღვანელო „ისტორიული მატერიალიზმი“. მისი ერთ-ერთი ავტორია ბონდო კარტოზია (თანაავტორები: კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, პ. გუჯაბიძე, შ. ბიწაძე, ბ. ლუტიძე, გ. ასათიანი, ვ. კალანდარიშვილი და სხვები). სახელმძღვანელომ საქართველოს უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტროს I ხარისხის პრემია დაიმსახურა.

სახელმძღვანელოს გამოცემას, თეორიული და მეთოდური ხასიათის მრავალი ნაკლის მიუხედავად, როგორც საბჭოთა კავშირის სახელმძღვანელოების ალტერნატიულ წიგნს და დამოუკიდებელი აზრის დემონსტრირებას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით, როგორც ქართული ზოგადმსოფლმხედველობრივი და სოციალურ-ფილოსოფიური აზრის უპრეცედენტო გამოვლენას. ამ სახელმძღვანელოს ცალკეულ თავებსა და პარაგრაფებში გვხვდება თეორიული საკითხების გააზრებულ, ახსნა-განმარტებითი, არგუმენტირებული განხილვა, თუმცა სახელმძღვანელოს ზოგიერთ ნაწილში მარქსიზმის კლასიკოსების პირველწყაროებიდან ციტატების უხვად დამოწმების წესი იმაზე მიუთითებს, რომ პარტიის მიერ დადგენილი ნორმიდან თავის დაღწევა არცთუ ისე ადვილი იყო... ისტორიული მატერიალიზმის სახელმძღვანელო სტუდენტებში აღვივებდა პატივისცემას შემოქმედებითი აზრისადმი, ლოგიკური წესების დაცვისადმი, დასკვნების დასაბუთებისა და დამაჯერებლობისადმი. აღნიშნული სახელმძღვანელოს თავისებურებად რ. გოლეტიანი მიუთითებს იმას, რომ იგი გარკვეულწილად სცილდებოდა ისტორიული მატერიალიზმის იმდროინდელ სასწავლო-სავალდებულო პროგრამას. ამის მაგალითად მკვლევარს დამოწ-

---

<sup>43</sup> იქვე, გვ. 5

მეზუღი აქვს ის გარემოება, რომ ნაშრომის შესავალ ნაწილში ფართოდ და მიმზიდველად არის წარმოდგენილი XVII-XVIII საუკუნეების მექანიკური, XIX საუკუნის დამღვეისა და XX საუკუნის დამღვეის ნეოკანტიანური, აგრეთვე ბიოლოგისტური მიმართულებანი სოციოლოგიაში, რასაც არ ითვალისწინებდა ისტორიული მატერიალიზმის მაშინდელი, ცენტრალიზებული სასწავლო პროგრამა. ასევე სახელმძღვანელოში დიდი ადგილი ეთმობოდა საზოგადოების განვითარების კანონების ურთიერთმიმართების საკითხის განხილვას. ქართული და რუსული სახელმძღვანელოები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ შინაარსობრივად, პრობლემების დაყენებისა და გადაჭრის თავისებურებებით, გადმოცემის სტილით და სხვ. მოსკოვეური სახელმძღვანელოსგან განსხვავებით, აღნიშნავს რ. გოლეტიანი, ქართულ სახელმძღვანელოში მეტი ყურადღება ექცეოდა ისტორიული მატერიალიზმის ცნებების განსაზღვრებას. რიგ შემთხვევებში გვხვდება ავტორთა მიერ ჩამოყალიბებული ორიგინალური განსაზღვრებებიც (მაგალითად, მორალი, მხატვრული სახე, საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების, სახელმწიფოსა და სხვა ცნებანი. „შეიძლება დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ დეფინიციებს. ეს სხვა საკითხია. მაგრამ თვითსწრაფვა სოციოლოგიური ცნებების თავისებურ განსაზღვრებათა ფორმულირებისაკენ, უნდა შეფასდეს, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი სოციოლოგიური პრობლემებისადმი შემოქმედებითი მიდგომის გზაზე“<sup>44</sup>.

1969 წელს გამოიცა ბ. კარტოზიას წიგნი – „კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია და თანამედროვეობა“. XIX ს-ის 40-იანი წლებიდან მტკიცედ დამკვიდრებული მეცნიერულ-მა-

---

<sup>44</sup> რ. გოლეტიანი, ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრი: მიმართულებები, თავისებურებანი. 1918-2000. ქუთ., 2001, გვ. 83



ტერიალისტური თვალსაზრისის თანახმად, აღნიშნავს მკვლევარი, საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების განმსაზღვრელ ძალას ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის, საარსებო საშუალებათა წარმოება წარმოადგენს. საზოგადოების ისტორია წარმოების, მწარმოებელ ინდივიდთა, ხალხის ისტორიაა, მაგრამ ხალხი, საზოგადოება, პირველყოფილ-თემური წყობილების გამოკლებით, ყოველთვის შეიცავდა ორ ან მეტ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ჯგუფებს, კლასებს და, ამდენად, საზოგადოების ისტორია სხვა არაფერია, თუ არა კლასთა ბრძოლის ისტორია. კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორია ახალ ისტორიულ პირობებში განავითარა და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ვლადიმერ ლენინმა, რომლის ნაშრომებშიც ყურადღება გამახვილებულია კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორიის მნიშვნელოვან საკითხებზე (კლასების განსაზღვრა, პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი, კლასების საბოლოო მოსპობა და ა. შ.). ბ. კარტოზიას აზრით, კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ ლენინური თეორია მარქსისტული სოციოლოგიის რაიმე დამოუკიდებელ სფეროს კი არ წარმოადგენს, არამედ ეს იგივე მარქსისტული თეორიაა, აყვანილი ახალ საფეხურზე<sup>45</sup>.

წიგნში განხილულია შემდეგი საკითხები: კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია, ნარქსამდელ სოციოლოგთა შეხედულებები კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის საკითხებზე, მარქსისა და ენგელსის ფუძემდებლური შეხედულებანი და მათი შემდგომი განვითარების გზები, კლასობრივი ბრძოლის თეორიის აქტუალური მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე კა-

---

<sup>45</sup> ბ. კარტოზია, კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია და თანამედროვეობა, თბ., 1969, გვ. 3-6

პიტაღლისტურ ქვეყნებში, კლასობრივი ბრძოლის საკითხები საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა მიხედვით, კლასობრივი ბრძოლის ფორმებია როლი და მნიშვნელობა, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ბანაკის ურთიერთობა, მათი თანაარსებობა, როგორც კლასობრივი ბრძოლის თავისებური ფორმა. გაშუქებულია გარდამავალი პერიოდის თავისებურებანი, კლასობრივი ბრძოლის ფორმების მრავალგვარობა და ურთიერთდამოკიდებულება და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ბ. კარტოზიას ამ წიგნის გამოცემას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა<sup>46</sup>.

ავტორი ცდილობს იმის დასაბუთებას, რომ კლასების განსაზღვრების, კლასობრივი ბრძოლისა და მისი ფორმების, პოლიტიკური ბრძოლის როლის დადგენისა და სხვა საკითხების შესახებ მარქსისტული მოძღვრების შემდგომი განვითარება და წინ წაწევა ვ. ლენინის დამსახურებაა, რომელმაც მოგვცა კლასების დამთავრებული და სრული ცნება. ამ დებულების საილუსტრაციოდ მკვლევარი იმოწმებს და აანალიზებს მრავალრიცხოვან სტატისტიკურ მასალას და დაასკვნის, რომ კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია თავის ძალას ინარჩუნებს თანამედროვე ეტაპზეც და მიმართულია დასავლეთის სოციოლოგთა მტკიცებულებების წინააღმდეგ.

ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ეტაპები და გზები, მისი თავისებურებანი გარდამავალ პერიოდში (XX ს. 20-30-იანი წლები), ქართველ მოაზროვნეთა ფილოსოფიური მემკვიდრეობის ანალიზის საფუძველზე, განხილულია ბ. კარტოზიას წიგნში – „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული ფილოსოფიური აზრი“ (1971 წ.). წიგნის შესავალში აღნიშნულია, რომ XIX ს-ის 90-იანი წლებიდან საქარ-

---

<sup>46</sup> იხ. ს. არგველაძე, საყურადღებო ნაშრომი ლენინური თეორიის საკითხებზე. გაზ. „ქუთაისი“, 18 მარტი, 1970

თველოში გავრცელებული მარქსიზმი გაბატონებულ იდეოლოგიად მხოლოდ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იქცა. ესაა პერიოდი მწვავე იდეოლოგიური ბრძოლისა და ქართული ფილოსოფიური აზრის მარქსისტულ-ლენინური, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებზე გადასვლისა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ XX ს-ის 20-იან წლებში ქართველი მოაზროვნეები – შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, კ. კაპანელი და სხვები არამარქსისტული ფილოსოფიური იდეებით უპირისპირდებოდნენ მატერიალიზმს. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაიწყო შეურიგებელი ბრძოლა იდეალიზმის წინააღმდეგ და დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების პროპაგანდა ფილიპე მახარაძის, მიხა ცხაკაიას, მალაქია ტოროშელიძის, შ. დუდუჩავას, კ. გორდეღაძის, ი. ვაშაყმაძის, გ. მუშიშვილისა და სხვა იდეოლოგების მიერ, რომელთა შემოქმედებითი მოღვაწეობის ძირითად მიზანს მარქსიზმის დაცვა. მის საფუძველზე ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი კონკრეტულ-ისტორიული მოვლენების ახსნა შეადგენდა „ქართული ფილოსოფიური აზრი ძირითადად იდგა იდეალიზმის ნიადაგზე. ამიტომ მარქსისტული ფილოსოფიის გავრცელება შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩვენში არსებულ იდეალისტურ შეხედულებებთან მწვავე თეორიული ბრძოლის გზით“<sup>47</sup>.

ქართველ მოაზროვნეთა მიერ შექმნილ ფილოსოფიურ თეორიებს შორის შედარებით უფრო დამუშავებული და გავრცელებული იდეალისტური მოძღვრება, ბ. კარტოზიას შეხედულებით, იყო ალეთოლოგია. ალეთოლოგიის სახით ფილოსოფოსობის ახალი კონტურების მოხაზვა უკავშირდება აკად. შაღვა ნუცუბიძის სახელს. ორიგინალურ მოძღვრებაში ალეთოლოგიური რეალიზმის შესახებ შ. ნუცუბიძეს განხილული

---

<sup>47</sup> ბ. კარტოზია, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული ფილოსოფიური აზრი, თბ., გვ. 5

აქვს თანამედროვეობის აქტუალური საკითხები. ალეთოლოგია ორ ფენომენს – ყოფნასა და აზროვნებას შორისაა განთავსებული. ალეთოლოგია იგივეა, რაც ჭეშმარიტების თეორია, ანუ ორიგინალური გნოსეოლოგიური მოძღვრება ჭეშმარიტების შესახებ.

ბ. კარტოზია შენიშნავს, რომ შალვა ნუცუბიძე თავის თეორიას ალეთოლოგიურ რეალიზმის უწოდებს, განსხვავებით ჩვეულებრივი რეალიზმისაგან, ე. ი. მატერიალიზმისაგან (ბ. კარტოზია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 9, სქოლიო 1). აღნიშნული ფილოსოფიური მოძღვრების თანახმად, ფილოსოფია შეისწავლის ჭეშმარიტების სახით არსებულ სინამდვილეს. რა არის ჭეშმარიტება? ჭეშმარიტება გარკვეულობაა, რაც სინამდვილესთან განუყრელად თანაარსებობს. ჭეშმარიტება ჩაქსოვილია სინამდვილეში, როგორც მისი გარკვეულობა. სინამდვილე ყოველთვის მოცემული, გარკვეული, ე. ი. ჭეშმარიტი სინამდვილეა. იგი ყოველთვის არსებობს ამგვარად და არა სხვაგვარად. ჭეშმარიტება ანუ ჭეშმარიტი სინამდვილე სწორედ ამგვარად არსებობას გულისხმობს. ფილოსოფიის ამოცანას ობიექტური ჭეშმარიტების შესწავლა შეადგენს. ფილოსოფიური ძიების ობიექტია სპეციალური მეცნიერებანი, რამდენადაც ისინი სწავლობენ არსებულს, ე. ი. იმას, რაზეც ჭეშმარიტებაა ამოტვიფრული, როგორც გარკვეულობა. ჭეშმარიტება, როგორც ფილოსოფიური კვლევის მასალა, მოცემულია მეცნიერებაში. ფილოსოფია მეცნიერებათა მეცნიერებაა, შემეცნების შემეცნებაა<sup>48</sup>.

ალეთოლოგიის ფუძემდებლის მოსაზრებების საფუძველზე ბ. კარტოზია შენიშნავს: მეცნიერების დასასრული ფილოსოფიის დასაწყისია, ფილოსოფიური რეფლექსია მოქმედებას იქ იწყებს, სადაც თავდება სფერო ინტუიციის გამოყენებისა<sup>49</sup>. არ-

---

<sup>48</sup> იქვე. გვ. 9-10

<sup>49</sup> იქვე. გვ. 11

სებულის, როგორც ჭეშმარიტებად არსებულის შემეცნება, შალვა ნუცუბიძის კვლევის საგანს წარმოადგენდა. შემეცნება ფილოსოფიური პრობლემაა, რაც ჭეშმარიტებასთანაა დაკავშირებული. ჭეშმარიტება წინ უსწრებს შემეცნებას, როგორც მისი ტრანსცენდენტური პირობა. შემეცნება მიმართულია ჭეშმარიტებისაკენ. ჭეშმარიტებაა შემეცნების პირობაც და მიზანიც. შ. ნუცუბიძის აზრით, შემეცნების პროცესის განხორციელებისათვის პირველ და აუცილებელ პირობას შესამეცნებელი საგნის არსებობა შეადგენს. მეორე აუცილებელ პირობად მკვლევარი შესამეცნებელი საგნის გარკვეულობას, ხოლო მესამე და უკანასკნელ პირობად შემეცნებასა და შესაცნობს შორის საერთო მომენტის არსებობას მიიჩნევს. შემეცნება ნიშნავს თავისთავად არსებული ჭეშმარიტების გადაქცევას ჭეშმარიტებად ჩვენთვის<sup>50</sup>.

ბ. კარტოზიას შეფასებით, შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიური მოძღვრება წმინდა წყლის იდეალიზმია და დასძენს, რომ მეცნიერის მთელი შემდგომი მოღვაწეობა თითქოს ფაქტობრივად მისი თავდაპირველი ფილოსოფიური მრწამსის უარყოფას წარმოადგენს. ბ. კარტოზია შეეცადა ალეთოლოგიური რეალიზმის კრიტიკოსების – მარქსისტებისა და არამარქსისტების, მატერიალისტებისა და იდეალისტების შეხედულებების ანალიზის საფუძველზე შ. ნუცუბიძის ფილოსოფიური მოძღვრების დადებითი და უარყოფითი მხარეების, ალეთოლოგიური რეალიზმისა და მისი ავტორისადმი თანამედროვეთა (კ. ბაქრაძე, ს. დანელია, კ. კაპანელი, გრ. მუშიშვილი) დამოკიდებულებების ჩვენებას<sup>51</sup>.

ალეთოლოგიის ძირითადი დებულებებისა და თანამედროვეთა შეფასებების გათვალისწინებით ბ. კარტოზიას შემდეგი დასკვნები გამოაქვს: 1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლე-

---

<sup>50</sup> იქვე, გვ. 9-13

<sup>51</sup> იქვე, გვ. 14-22

ბის დამყარების პირველ წლებში შ. ნუცუბიძე გვევლინება როგორც იდეალისტი, ხოლო ალეთოლოგიური რეალიზმი შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც იდეალიზმის თავისებური ფორმა. „მისთვის აზრია პირველადი, ისაა აბსოლუტი, თვითმყოფი და დამოუკიდებელი ძალა, რომელიც გარკვეულობას ანიჭებს ობიექტურ რეალობას, ქმნის და განაგებს მას. ალეთოლოგიური რეალიზმი იდეალისტურად წყვეტს ფილოსოფიის ძირითად საკითხს. მისი გნოსეოლოგიური თეორიაც იდეალისტურია. ობიექტური ჭეშმარიტება სუბიექტის ცოდნის, წარმოდგენის ის შინაარსი კი არაა, რომელიც დამოუკიდებელია მისგან და მთელი კაცობრიობისაგან... არამედ რეალური სინამდვილის აზრისეული დანამატია, ობიექტად ქცეული აზრია, რომელიც შემეცნების შედეგად კვლავ სუბიექტის კუთვნილებად უნდა იქცეს. არ არსებობს ჭეშმარიტების ობიექტური კრიტერიუმი, ჭეშმარიტება სუბიექტურია“<sup>52</sup>; 2. ამის მიუხედავად, XX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისისათვის შ. ნუცუბიძის მოღვაწეობას გარკვეული მნიშვნელობა აქონდა ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისათვის<sup>53</sup>.

ცნობილი ქართველი მოაზროვნის – კონსტანტინე კაპანელის ძირითადი თეორიული პრინციპებიც, რევოლუციის პირველ ეტაპზე ბ. კარტოხიას მიერ იდეალისტურად არის აღიარებული. მას კანტიანური ფილოსოფიის მიმდევარს, ხოლო მეცნიერის მსოფლმხედველობას პესიმისტური იდეებით გამსჭვალულს უწოდებს. „კ. კაპანელმა მიზნად დაისახა ახალი სიტყვა ეთქვა ფილოსოფიაში, გადაეღაზა მატერიალიზმისა და იდეალიზმის, ფილოსოფიაში ცნობილი ორი მიმართულების „ვიწრო“ საზღვრები და მათზე მალდა დამდგარიყო. იგი ფილოსოფიურ სისტემებში გამოხატულ სულისა და მატერიის ურთიერთდამოკიდებულებას ისტორიულ-მეშქანურ პარალლო-

---

<sup>52</sup> იქვე. გვ. 22-23

<sup>53</sup> იქვე. გვ. 23

გიზმს უწოდებს და ცდილობს მის მოხსნას საერთოდ<sup>54</sup>. მკვლევარი აცხადებს, რომ კ. კაპანელის სოციოლოგიურ თეორიას „საფუძვლად უდევს ის იდეალისტურ-აგნოსტიკური თვალსაზრისი, რომელსაც იგი იზიარებდა სოციალისტური რევოლუციის წინ და რევოლუციის პირველ წლებში“; „კ. კაპანელის თვალსაზრისის იდეალისტურ-აგნოსტიკური არსის ამოცნობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს თანამედროვე მკითხველისათვის. იგი აშკარადაა მიმართული ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიური მატერიალიზმის წინააღმდეგ“<sup>55</sup>.

სოციოლოგიური ორგანოტროპიზმის მთავარ ნაკლად ბ. კარტოზია იმ გარემოებას ასახელებს, რომ კ. კაპანელი გამორიცხავს საზოგადოების განვითარებაში ობიექტურ კანონზომიერებას და საზოგადოებას მთლიანად წარმოაჩენს, როგორც შემთხვევითობის ასპარეზს. ეს თვალსაზრისი ეფუძნება კ. კაპანელის შემდეგ ციტატას, წიგნიდან – „სული და იდეა“: „შემთხვევა გვათამაშებს ყოველ წუთს: შემთხვევა ქუჩაში, შემთხვევა რკინიგზაზე, შემთხვევა ზღვაზე, შემთხვევა ჭამის დროს, შემთხვევა წყლის დაღვევაზე, შემთხვევა დღით, შემთხვევა ღამით – წუთისოფელი შემთხვევათა შეუწყვეტელი დენაა“<sup>56</sup>. „კაპანელმა ვერ მოიშორა თავისი პირვანდელი მცდარი თვალსაზრისი ბუნებასა და საზოგადოებაში შემთხვევითობის ბატონობის შესახებ. ისტორია მისთვის შემთხვევითობათა ასპარეზია, სადაც ადგილი აქვს მარადიულ ხეტიალსა და სახეცვლილებას, რომელსაც თავი და ბოლო არ

---

<sup>54</sup> იქვე, გვ. 23; მისივე, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XX ს. 10-30-იანი წლები), თბ., 1986, გვ. 162

<sup>55</sup> ბ. კარტოზია, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან, გვ. 161, 164

<sup>56</sup> კ. კაპანელი, სული და იდეა, ტფ., 1923, გვ. 101

უჩანს”, – აღნიშნავს ბ. კარტოზია<sup>57</sup>.

ბ. კარტოზიას შეხედულებით, კ. კაპანელის მიერ ახალ თეორიად მიჩნეული ორგანოტროპიზმი შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია. ამ თეორიით იგი ცდილობს მარქსისტულ სოციოლოგიასთან დაახლოებასა და მასთან შეგუებას. ფაქტობრივად ის ვულგარიაზაციას უწევს მარქსიზმის ძირითად დებულებას საზოგადოებრივი ყოფიერების პირველადობისა და განმსაზღვრელი როლის შესახებ. კ. კაპანელი დგას რელატივიზმის ნიადაგზე. მისთვის განმსაზღვრელია გეოგრაფიულ-ტერიტორიული მდგომარეობა. იგი მიდის ობიექტური აუცილებლობის, ისტორიული კანონზომიერების უარყოფამდე. კ. კაპანელის აზრით, შემთხვევითობა განაგებს სამყაროს, საზოგადოების მატერიალურ და სულიერ პროცესებს. სამყაროს ყოველ კუთხეში ისეთი ორგანული, სოციალური, სულიერი მოვლენები არსებობს, როგორცაა იქაური გეოგრაფიული, გეოლოგიური, კლიმატური და სხვა პირობები. სულები ისე სხვადასხვაობენ, როგორც მათი მდგომარეობანი. კ. კაპანელი აშკარად იხრება გეოგრაფიული მატერიალიზმისაკენ. ბუნება და საზოგადოება მკვლევარს დახასიათებელი აქვს მდგომარეობისა და არსის ურთიერთობით. მდგომარეობაში კი გულისხმობს ზემოთდასახელებულ გეოგრაფიულ, გეოლოგიურ, კლიმატურ თუ სხვა პირობებს, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკურ მხარეს. ბ. კარტოზიას აზრით, კ. კაპანელი ვერ ხედავს განსხვავებას მარქსიზმ-ლენინიზმსა და ორგანოტროპიზმს შორის და ცდილობს გაიზიაროს მარქსისტული სოციოლოგიის ძირითადი პრინციპი საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულების

---

<sup>57</sup> ბ. კარტოზია, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან. XX ს. 10-30-იანი წლები. თბ., 1986, გვ. 175



შესახებ<sup>58</sup>.

კ. კაპანელის სოციოლოგიური მოძღვრების ნაკლოვანებად ბ. კარტოზია მიიჩნევს აგრეთვე გეოგრაფიული მიმართულებით გატაცებას. „გენეტიზმის პრინციპი, – წერს ბ. კარტოზია, – რომელსაც მისი ორგანოტროპიზმის თეორია ქადაგებს, გეოლოგიურ, კლიმატურ და სხვა ბუნებრივ პირობებს მეტისმეტად გადაჭარბებულ მნიშვნელობას მიაწერს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური თვისებები, მისი გრძნობა და აზრი, ფსიქოლოგია და იდეოლოგია, მცენარის მსგავსად, მიწიდან ამოდით და მზისა და ჰაერის საშუალებით საზრდოობდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კ. კაპანელის შეხედულება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე წინააღმდეგობრივია და ერთგვარად ეკლექტიკურის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ შეიცავს მარქსისტული სოციოლოგიისაკენ წინსვლის ტენდენციას“<sup>59</sup>.

კ. კაპანელის სოციალურ-ფილოსოფიური შეხედულებების კრიტიკული ანალიზი მოცემულია მ. გოგიბერიძის სტატიაში. კაპანელის პრეტენზია ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების შესახებ მ. გოგიბერიძეს მეტად გაზვიადებულად მიაჩნია და აღნიშნავს, რომ „ჩვენი აზრით ყველა ავტორს სრული უფლება აქვს სთქვას, რომ მის ნაწერში მოცემულია აზრის სავსებით ახალი შინაარსი, მაგრამ განცხადება, რომ ამა თუ იმ სწავლაში მოცემულია აზროვნების სრულიად ახალი ფორმა, ერთობ პასუხსაგები საქმეა და თან სახიფათოც. პატივცემული კონსტ. კაპანელი ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ მის ორგანოტროპიზმში მოცემულია აზროვნების ისეთი ახალი ფორმა, რომელიც სილოგიზმებსაც კი არარაობად აქცევს.

---

<sup>58</sup> ბ. კარტოზია, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან, გვ. 169-172

<sup>59</sup> ბ. კარტოზია, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან, გვ. 179-180

ასეთი გაბედული აზრი მე არ მახსოვს, რომ ჯერ რომელსამე სერიოზულ მოაზრეს გამოეთქვას<sup>60</sup>. ფილოსოფოსი ორგანოტროპიზმის კანონიერ წინაპრად ძველი და ახალი დროის ფილოსოფიურ რელატივიზმს მიიჩნევდა<sup>61</sup>. მოსე გოგიბერიძე მიუთითებდა, რომ მარქსიზმსა და ორგანოტროპიზმს შორის მსგავსება გარეგნული და მოჩვენებითია. იგი ეხება მხოლოდ სოციოლოგიურ ტერმინებს. სინამდვილეში კი აშკარაა მათ შორის მკვეთრი განსხვავება და წინააღმდეგობა. „ამ სოციოლოგიურ ტერმინებში გამოთქმული აზრის უკან იმალება ძალიან ძველი და ჩვენი შეხედულებით საეჭვო მსოფლმხედველობა. ამ მსოფლმხედველობის სახელია ფილოსოფიური რელატივიზმი, ე. ი. რელატივიზმი დამყარებული ადამიანური შემეცნების ცვალებადობასა და რელატიობაზე. მისი გნოსეოლოგიური მრწამსი არის უკიდურესი გნოსტიციზმი, ხოლო საერთო მსოფლმხედველობა პესიმიზმი და სკეპტიციზმი“<sup>62</sup>.

მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული ს. წერეთელს: „ორგანოტროპიზმი არსებითად იგივე რელატივიზმია, რომელიც ახლოს დგას ფსიქოლოგიზმთან და უპირისპირდება ჭეშმარიტების იდეალისტურ და მეტაფიზიკურ გაგებას“<sup>63</sup>.

კ. კაპანელის სოციოლოგიური ორგანოტროპიზმი, როგორც თავისუფალი აზრის მნიშვნელოვანი გამოვლენა, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ კონცეფციებს შორის. რ. გოლეთიანის აზრით, მას ორიგინალობა, თეორიული სიღრმე, პრობლემათა გააზრების ევროპული კრიტერიუმების მომარჯვება და რაც მთავარია, მეთოდოლოგიური გამოყენების ფართო შესაძლებლობა გამოარ-

---

<sup>60</sup> მ. გოგიბერიძე, ორგანოტროპიზმი. უფრნ. „მნათობი“, №8-9, თბ., 1925, გვ. 268

<sup>61</sup> იქვე. გვ. 278

<sup>62</sup> იქვე. გვ. 276

<sup>63</sup> ს. წერეთელი, ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში. ტ. 2, თბ., 1986, გვ. 285

ჩვეს. კ. კაპანელს, როგორც ორგანოტროპული ფილოსოფიისა და სოციოლოგიის შემოქმედს, მთელი მოღვაწეობა მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში უწევდა. კომუნისტური რეჟიმის დროს ანტიმარქსისტად, იდეალისტად, კოსმოპოლიტადაც კი შერაცხეს<sup>64</sup>.

კ. კაპანელის კონცეფციის მარქსისტულ ყაიდაზე ინტერპრეტირება, შენიშნავს რ. გოლეტიანი, განაპირობა იმ გარემოებათაგან, რომ მის თხზულებებში 20-იანი წლების შუა პერიოდიდან ხშირად ვხვდებით მარქსისტული თეორიის მაღალ შეფასებას. სახელმწიფო იდეოლოგიად მარქსიზმის დამკვიდრების პერიოდში, ბუნებრივია, კ. კაპანელს ანგარიში უნდა გაეწია ამ ფაქტისათვის. ამას თავისი ობიექტური საფუძველიც ჰქონდა. 1923 წელს გამოქვეყნებული შრომისათვის – „სული და იდეა“ – კომუნისტურმა კრიტიკამ კ. კაპანელი ბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეოლოგიად შერაცხა. ასე, მაგალითად, შ. დუდუჩავა მეცნიერს ბრალს სდებდა „სასიკვდილოდ განწირული ბურჟუაზიული კულტურის“ ზეგავლენის ქვეშ მოქცევასა და რევოლუციური ბრძოლის პოზიციიდან განდგომაში<sup>65</sup>.

ამ და სხვა, მსგავსი, უსაფუძვლო ბრალდებების გასაბათილებლად კ. კაპანელი იძულებული იყო, რომ აშკარად გამოეხატა დადებითი დამოკიდებულება მარქსიზმისადმი და ამ გზით დაერწმუნებინა მისი თავგამოდებული კრიტიკოსები იმაში, რომ აბსოლუტურად არ ამოძრავებდა ანტიმარქსისტუ-

---

<sup>64</sup> რ. გოლეტიანი, ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრი: მიმართულებები, თავისებურებანი. 1918-2000. თბ., 2001, გვ. 15-16

<sup>65</sup> შ. დუდუჩავა, კ. კაპანელი, სული და იდეა – ფილოსოფია, ესთეტიკა, კრიტიკა. ჟურნ. „კომუნიზმის დროშა“, №6, 1923, გვ. 145; მსჯელობისათვის იხ. ბ. კარტოზია, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XX ს. 10-30-იანი წლები), თბ., 1986, გვ. 166

ლი ზრახვები<sup>66</sup>.

კ. კაპანელის სოციოლოგიური ორგანოტროპიზმის თეორია მონოგრაფიულად შეისწავლა მეჭი ლობჯანიძემ. მკვლევარი არ იზიარებს ბ. კარტოზიასა და ე. კოდუას თვალსაზრისს, რომ კაპანელი ორგანოტროპიზმის თეორიით ცდილობს მარქსისტულ იდეოლოგიასთან დაახლოებასა და მასთან შეგუებას. „ორგანოტროპიზმის სოციალურ-ფილოსოფიური თეორიის მარქსისტულ ყაიდაზე ნებისმიერი სახით ინტერპრეტირება, ვფიქრობთ, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რისი მტკიცების საფუძველსაც შემდეგი გარემოება გვაძლევს. ჯერ ერთი ის, რომ ეკონომიკის, შრომის, წარმოების კაპანელისეული გაგება საფუძველშივე ეწინააღმდეგება წარმოების მარქსისტულ გაგებას და მეორე, კაპანელისათვის საფუძველზე მიუღებელია არა თუ ეკონომიკური, არამედ ნებისმიერი ერთი კონკრეტული ფაქტორით საზოგადოების გაგება“, – აღნიშნავს მ. ლობჯანიძე<sup>67</sup>.

ის გარემოება, რომ კ. კაპანელი სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას დიდ როლს ანიჭებს საზოგადოებასთან მიმართებაში, განპირობებულია იმით, რომ იგი იძულებული იყო ანგარიში გაეწია გაბატონებული მარქსისტული იდეოლოგიისათვის და არა იმით, რომ თითქოს კ. კაპანელი უარს ამბობს საკუთარ მსოფლმხედველობაზე და ამ გზით ცდილობს მარქსიზმთან დაახლოებას. ეს მოსაზრება მით უფრო არასარწმუნოდ მოჩანს იმ ფონზე, რომ კ. კაპანელი თავის ადრეულ ნაშრომებში კრიტიკულად იყო განწყობილი მარქსიზმის მიმართ და მას უტოპიურ სოციალურ თეორიას უწოდებდა<sup>68</sup>.

---

<sup>66</sup> რ. გოლეტიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 26; მისივე, კ. კაპანელის სოციოლოგიური ორგანოტროპიზმი. ჟურნ. „განთიადი“, №3-4, თბ., 1999

<sup>67</sup> მ. ლობჯანიძე, კონსტანტინე კაპანელის სოციოლოგიური ორგანოტროპიზმის თეორია, თბ., 2009, გვ. 119-120

<sup>68</sup> მ. ლობჯანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 122

მისაღებია თვალსაზრისი, რომ კ. კაპანელმა სოციალური ორგანოტროპიზმის თეორია შეიმუშავა არა მარქსისტული ფილოსოფიის პრინციპზე დაყრდნობით, არამედ – პირიქით, მარქსიზმი სამყაროსა და საზოგადოების ორგანოტროპიულ გაგებას მიუსადაგა. საკუთარი მსოფლმხედველობის განსამტკიცებლად მან გამოიყენა ღირებული იდეა – ეკონომიკური ფაქტორის განმსაზღვრელი როლის სახით<sup>69</sup>.

კ. კაპანელის შრომებში ხშირად ვხვდებით ტერმინებს: „ეკონომიკური ფაქტორი“, „წარმოება“, „წარმოების ვითარება“, „ინდუსტრიის ფორმები“, „შრომა“, „წარმოების იარაღები“ და სხვ., ასევე დებულებებს მათ როლზე ადამიანთა ცხოვრებაში<sup>70</sup>. ყოველივე ეს კ. კაპანელის შეხედულებათა ზოგიერთ მკვლევარს, მაგალითად, ბ. კარტოზიასა და ე. კოდუას, საბაბი მისცა მტკიცებისათვის, რომ „იგი დაუახლოვდა მარქსისტულ სოციოლოგიას“ (ბ. კარტოზია, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან, გვ. 160), რომ კ. კაპანელი ცდილობდა მარქსიზმი გაეხადა კვლევა-ძიების მეთოდოლოგიურ პრინციპად<sup>71</sup>.

კ. კაპანელის ფილოსოფიური მემკვიდრეობის ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს ამ მოსაზრებებს და აღნიშნავს, რომ ეკონომიკური ფაქტორების, წარმოების, შრომის კ. კაპანელისეულ აღქმას მხოლოდ სიტყვიერი მსგავსება აქვს ეკონომიკური ფენომენის მარქსისტულ გაგებასთან. მეცნიერისათვის მატერიალური დოვლათის წარმოება, შრომის იარაღები, ეკონომიკა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა საშუალებას, რომლის გარეშეც ადამიანები ვერ დაიკმაყოფილებენ თავიანთ ბიოლო-

---

<sup>69</sup> იქვე, გვ. 26

<sup>70</sup> რ. გოლეითიანი, კ. კაპანელის სოციოლოგიური ორგანოტროპიზმი. ქურნ. „განთიადი“, №3-4, თბ., 1999, გვ. 173

<sup>71</sup> ე. კოდუა, რედაქტორისაგან. ის. კ. კაპანელი, ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, თბ., 1996, გვ. 17

გიურ, ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მოთხოვნებებს. ეკონომიკას კ. კაპანელი განიხილავს, როგორც სასიცოცხლო, სოციალურ საჭიროებას, ადამიანისა და, საერთოდ, საზოგადოების არსებობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას... ეკონომიკური ფაქტორის მარქსისტულ და ორგანოტროპიულ გაგებებს შორის განსხვავება შეინიშნება. ეკონომიკური ფაქტორისა და მისი ადგილის თავისებური გაგება ზრდის კ. კაპანელის ორიგინალური თვალსაზრისის თეორიულ და პრაქტიკულ დირექტივებს<sup>72</sup>.

მ. ლობჯანიძის დაკვირვებით, ქართველ მოაზროვნეთა შორის კ. კაპანელი პირველია, ვინც გააცნობიერა საზოგადოების „ერთფაქტორიანი“ თეორიების ნაკლოვანი მხარეები და შეეცადა მის ახსნას მრავალი ფაქტორის (გეოგრაფიული, კლიმატური, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური, ბიოლოგიური...) ერთობლიობის საფუძველზე. „ვფიქრობთ, აუცილებელია კ. კაპანელი საზოგადოების „მრავალფაქტორიანი“ გაგების ერთ-ერთ თეორეტიკოსად მივიჩნიოთ და ვცნოთ კიდევ, რომ სოციოლოგიური ორგანოტროპიზმი, როგორც თავად კაპანელი ამტკიცებდა, არ არის მოკლებული ორიგინალობას, ვინაიდან იგი საზოგადოების თვისობრივად ახლებურ გაგებას იძლევა და იმ თეორიების სათავეებთან დგას, რომლებიც შეიძლება ითქვას, რომ დღეს მეცნიერულადაა დასაბუთებული... კ. კაპანელის სოციალურ-ფილოსოფიური ნააზრევი ორმაგად დასაფასებელია, ერთის მხრივ, როგორც მეცნიერული სიახლე და მეორეს მხრივ, როგორც განსხვავებული აზროვნების ნიმუში ტოტალიტარული იდეოლოგიის პირობებში“<sup>73</sup>.

დაუპირუნდეთ კვლავ ბ. კარტოზიას ნაშრომს – „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული ფილოსოფიური აზრი“, – სადაც მკვლევარი ასახელებს დიდი ქართვე-

---

<sup>72</sup> რ. გოლეტიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 27-28

<sup>73</sup> მ. ლობჯანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 130

ლი მოაზროვნის – სერგი დანელიას მიერ გასული საუკუნის 20-იან წლებში გამოქვეყნებულ წერილებსა და წიგნებს („ნ. ჩერნიშევსკის ესთეტიკა“, „ჭეშმარიტების გვარი“, „პარმენიდეს მეტაფიზიკისათვის“, „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“, „ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ“, „დავით იუმი, როგორც მოაზროვნე“, „ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობა“ და სხვ.). „ადნიშნულ შრომებში უმთავრესად ანტიკური ფილოსოფიის ისტორიის საკითხებია გაშუქებული. ისინი ამჟღავნებენ ავტორის დიდ ერუდიციას, მაგრამ მცდარ მეთოდოლოგიურ პოზიციას, ობიექტივიზმისა და იდეალიზმის ნაშთებს”<sup>74</sup>.

ბ. კარტოზია, სავსებით სამართლიანად, დიდ დამსახურებად თვლის იმას, რომ ს. დანელიამ პირველად გააცნო ფართო საზოგადოებას ანტიკური ფილოსოფია მთელი თავისი სიდიადით. მისი შრომების შეფასების დროს მხედველობაშია მისაღები ამ შრომების როგორც ფაქტობრივ-შინაარსეული, ისე მეცნიერულ-მეთოდოლოგიური მხარე. „თუ პირველი მოწონების ღირსია, მეორე აუცილებლად იმსახურებს კრიტიკულ დამოკიდებულებას. ს. დანელიას შრომებიდან ნათლად ჩანს, რომ ფილოსოფიის ისტორიის საკითხების კვლევის დროს მათი ავტორი პრაგმატისტულ მეთოდოლოგიურ პრინციპს ემყარება. ფილოსოფიის ისტორია მას მიაჩნია პოზიტიურ მეცნიერებად, რომელმაც უნდა აღწეროს წარსული ფილოსოფიური ვითარების ფაქტები და მოახდინოს მათი სისტემატიზაცია. იგი ანგარიშს არ უწევს ფილოსოფიური აზრის განვითარების სოციალ-პოლიტიკურ საფუძვლებს და კმაცოფილდება ფორმალურ-ლოგიკური განხილვით. პრაგმატისტული მეთოდის დანიშნულებაა არა რეალურ ცხოვრებასთან ფილოსოფიური თეორიების დამაკავშირებელი ძაფების აღმოჩენა და მათი განვითარების ობიექტური კანონზომიერების შესწავლა, არამედ იმის

---

<sup>74</sup> იქვე, გვ. 31

ჩვენება, თუ რა მდგომარეობაშია ესა თუ ის ფილოსოფიური პრობლემა ამა და ამ მოაზროვნესთან, რა მიიღო მან წინამორბედისაგან და რა უანდერძა თავის შემცვლელს<sup>75</sup>.

ბ. კარტოზიას აზრით, ს. დანელია იცავს იდეათა ფილაციის თეორიას. თავისი მოსაზრების გასამყარებლად მკვლევარი იმოწმებდა ამონარიდს სერგი დანელიას წიგნიდან – „ანტიკური ფილოსოფია“: „ფილოსოფიის ისტორიამ უნდა გამოარკვიოს ამა თუ იმ ფილოსოფიური თეორიის კავშირი წინამორბედ ან თანმიმდევარ ფილოსოფიური აზროვნების მოვლენებთან. ამას ეწოდება პრაგმატისტული კავშირის გარკვევა. ფილოსოფიის ისტორია, ისე როგორც ყოველი ისტორიული მეცნიერება, სარგებლობს პრაგმატული მეთოდით. მან უნდა აღმოაჩინოს, თუ რა მდგომარეობაში იყო პრობლემის გადაწყვეტა ამა თუ იმ მოაზროვნის წინ, რა წინააღმდეგობანი უანდერძა მას მისმა წინამორბედმა, რა წინააღმდეგობანი და დაუთმავრებელი აზრები, ან რა ნაშთი დაუტოვა მან თავის მიმდევართ. ამ პრაგმატისტული მეთოდის საშუალებით ხდება ფილოსოფიის ისტორია ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიად<sup>76</sup>.

ბ. ურიდია არ იზიარებს თვალსაზრისს, რომ თითქოს ს. დანელია იდეათა ფილაციის თეორიის დამცველია. ამ თვალსაზრისის ავტორს ბ. ურიდია თავის ნაშრომში არ ასახელებს, მაგრამ, როგორც ჩანს გულისხმობს ს. დანელიას ფილოსოფიური მემკვიდრეობის ერთ-ერთ მკვლევარს – ბ. კარტოზიას<sup>77</sup>.

ს. დანელიას ფილოსოფიურ მემკვიდრეობის განხილვისას, მსჯელობს რა ფილოსოფიის ისტორიის მეთოდებზე, ბ. ური-

---

<sup>75</sup> იქვე. გვ. 33-34

<sup>76</sup> ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფია, ტფ., 1929, გვ. 15-16; მსჯელობისათვის იხ. ბ. კარტოზია, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული ფილოსოფიური აზრი, თბ., 1971, გვ. 34

<sup>77</sup> ბ. ურიდია, სერგი დანელია, თბ., 1990, გვ. 49



დია შენიშნავს, რომ ფილოსოფიის ისტორიკოსის საქმე ორ მთავარ მომენტად უნდა წარმოვიდგინოთ: 1. წარსულის ფილოსოფიური ფაქტების დადგენა; 2. ამ ფაქტების დაკავშირება ერთ სისტემაში და ამ გზით ფილოსოფიურ სისტემებს შორის კავშირის აღდგენა. ფილოსოფიის ისტორიკოსი, ს. დანელიას აზრით, „აერთებს ამ ფაქტებს ჯერ უფრო ვიწროსა, შემდეგ კი უფრო ფართო სისტემაში – ერთი სიტყვით, აღადგენს ფილოსოფიურ თეორიებს და ამ ფილოსოფიურ თეორიათა ფილიაციას“<sup>78</sup>. ამის საფუძველზე, დასძენს ბორის ურიდია, გამოთქმული იქნა მოსაზრება, რომ ს. დანელია იცავს იდეათა ფილიაციის თეორიას. სინამდვილეში, მოტანილი ციტატის მიხედვით, ს. დანელია არ არის დასახელებული თეორიის წარმომადგენელი. მოტანილი ციტატა მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ ფილოსოფიის ისტორიკოსი ფაქტების დადგენის შემდეგ ფაქტებს აერთებს, ჯერ უფრო ვიწრო, ხოლო შემდეგ უფრო ფართო სისტემებში. რითაც აღადგენს ფილოსოფიურ თეორიებს და იძლევა ამ ფილოსოფიურ თეორიათა ერთიმეორესთან დამოკიდებულებაში, მიმართებაში განხილვას, განვითარების თვალსაზრისით. ამიტომ ს. დანელია ტერმინ „ფილიაცია“ ხმარობს ამ სიტყვის მხოლოდ ეტიმოლოგიური მნიშვნელობით. ტერმინი „ფილიაცია“ ნიშნავს რაიმეს განხილვას ერთიმეორესთან დამოკიდებულებაში, მიმართებაში განვითარების მიხედვით. სულ სხვაა იდეათა ფილიაციის თეორია. ფილოსოფიის ისტორიაში იდეათა ფილიაციის ამოსავალი პრინციპია ფილოსოფია, მისი განვითარების ისტორია განხილოს, როგორც აბსოლუტურად დამოუკიდებელი საზოგადოების ისტორიის განვითარებისაგან. ფილოსოფიის ისტორიკოსი, რომელიც აღნიშნული პრინციპით აგებს ფილოსოფიის ისტორიას, უდავოდ იდეათა ფილიაციის თეორიის წარმომადგენელი და დამცველია, მაგრამ სერგი დანელიას კონცეფცია არსებითად

---

<sup>78</sup> ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 46

განსხვავებულია იდეათა ფილიაციის თეორიისაგან. პირიქით, მეცნიერი ამ თეორიის აშკარა მოწინააღმდეგეა. ამას ამტკიცებს ის, რომ ს. დანელიას აზრით, შეუძლებელია ფილოსოფიურ მოძღვრებათა განხილვა სოციალური ვითარებისაგან მოწყვეტილად. „მკვლევარის აზრით და სრულიადაც მართებულადაც, – წერს ბ. ურიდია, – ყოველი ფილოსოფიური მოძღვრების სწორი გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ ქრონოლოგიურ, სოციალურ ვითარებაში, რომელშიც ესა თუ ის ფილოსოფიური მოძღვრება ვითარდებოდა”<sup>79</sup>.

XX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისამდე ქართული ფილოსოფიური აზრის ზემოთ დასახელებულ კორიფეთა (შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, კ. კაპანელი) შეხედულებანი ძირითადად იდეალისტური იყო, მაგრამ 20-იანი წლების შუა პერიოდიდან ქართველ ფილოსოფოსთა, მათ შორის მ. გოგიბერიძისა და კ. ბაქრაძის აზროვნებაში დაიწყო რთული ევოლუციური პროცესი და, როგორც ბ. კარტოზია აღნიშნავს, ქართული ფილოსოფიური აზრის თანდათანობით „შემობრუნება” მარქსისტული ფილოსოფიისაკენ. მკვლევარი ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ობიექტური, ისტორიული აუცილებლობა მითხზოვდა რევოლუციური გზით სიარულს, ქართული ფილოსოფიურ-იდეალისტური აზრის ცნობილი წარმომადგენლების მიერ თავიანთი ძველი ფილოსოფიური შეხედულებების გადასინჯვასა და ახლებურად გააზრებას, ფილოსოფიურ ევოლუციას იდეალიზმიდან მარქსისტული მატერიალიზმისაკენ, რამაც თავი იჩინა შ. ნუცუბიძის, ს. დანელიასა და კ. კაპანელის შემოქმედებაში<sup>80</sup>.

გვახსენდება შალვა ნუცუბიძის სიტყვები მისი ნაშრომის – „ალეთოლოგიის საფუძვლების” შესავლიდან: „ეს თხზულება

---

<sup>79</sup> ბ. ურიდია, სერგი დანელია, გვ. 50

<sup>80</sup> ბ. კარტოზია, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული ფილოსოფიური აზრი, გვ. 36

მძიმე პოლიტიკურ პირობებში იწერებოდა, მაგრამ ჭეშმარიტების მარადიული ბუნებისათვის წარმავალსა და ცვალებადს აზრი არა აქვს<sup>81</sup>. საბჭოთა ტოტალიტარული იდეოლოგიისათვის ჩვეული პარტიულ-კლასობრივი მიდგომის მკაცრი მოთხოვნის პირობებში, მკვლევარი-ფილოსოფოსი იძულებული იყო, რომ ნაშრომები დაეწერა მარქსიზმის პოზიციიდან და მარქსისტული იდეოლოგიის დაცვის მიზნით.

აქედან გამომდინარე, ბ. კარტოზიას მიერ XX ს-ის 50-80-იან წლებში გამოქვეყნებულ წიგნებსა და გამოკვლევებში სუბიექტივისტურად და აშკარად მცდარი ფორმითაა წარმოჩენილი ქართული ზოგადმსოფლმხედველობრივი და სოციოლოგიური აზრის კარდინალური საკითხები.

აშკარად სუბიექტივისტური და მიუღებელია ბ. კარტოზიას შემდეგი შეფასებები ქართველ მოაზროვნეებზე: დ. უზნაძის ახალგაზრდობისდროინდელ ნაშრომებს „ძირითად ხაზებში... შეიძლება ისტორიის მეცნიერულ-მატერიალისტური გაგება ვუწოდოთ“<sup>82</sup>; „ყველგან, ყოველ მომენტში, შ. ნუცუბიძის დასაყრდენი და ამოსავალი არის ისტორიის მატერიალისტური გაგება, ხოლო მიზანი – მისი დაცვა“<sup>83</sup>; „საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ, შ. ნუცუბიძე იზიარებს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრინციპებს და ახალი მეთოდოლოგიური იარაღის გამოყენებით ცდილობს ახსნას რთული საზოგადოებრივი მოვლენები, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების მშენებლობაში“<sup>84</sup>... კონიუნქტურულია ბ. კარტოზიას დებულება ახალ-

---

<sup>81</sup> შ. ნუცუბიძე, ალეთოლოგიის საფუძვლები, ტფ., 1922, გვ. 3

<sup>82</sup> ბ. კარტოზია, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან, გვ. 9

<sup>83</sup> იქვე, გვ. 73

<sup>84</sup> იქვე, გვ. 51

გაზრდა შ. ნუცუბიძის შესახებ, რომელიც მარქსისტად არის გამოცხადებული მკვლევრის გამოკვლევებში. შალვა ნუცუბიძე, ბ. კარტოხიას აზრით, პიროვნების როლის საკითხს თითქოს მარქსიზმის პოზიციებიდან აშუქებდა<sup>85</sup>. ს. დანელიას მიერ „ანტიკურ ფილოსოფიაში“ (1929 წ.) გამოთქმული დებულების თანახმად დიალექტიკურ მატერიალიზმს „სახეში აქვს მიღებული ყოველგვარი არგუმენტი, რომლითაც ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში გაულაშქრებია მატერიალიზმზე მის მოწინააღმდეგე ფილოსოფიურ მიმართულებას, იდეალიზმს“<sup>86</sup>. ს. დანელიას წიგნიდან დამოწმებული დებულება არ შეიძლება აღიარებულ იქნას მისი ავტორის მატერიალისტობის არგუმენტად, როგორც ფიქრობდა ბონდო კარტოხია. მისი აზრით, ს. დანელია „შემობრუნდა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისაკენ“, რომ თითქოს მეცნიერი ძველი ფილოსოფიურ-პოლიტიკური თვალსაზრისის უარყოფით დაადგა ისტორიული მატერიალიზმის გზას<sup>87</sup>.

ზემოთ დამოწმებული და სხვა, მსგავსი დებულებების მარქსისტული მნიშვნელობით აღქმა, რ. გოლეთიანის საკვებით მართებული მოსაზრებით, არასწორი იქნებოდა, რადგან სერგი დანელიას და სხვა, ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილ, ორიგინალური თეორიებისა და მიგნებების შემოქმედი და დამცველი ქართველი ფილოსოფოსების თაობას (შ. ნუცუბიძე, კ. ბაქრაძე...), ვინც შინაგანად ვერ შეეთვისა მარქსიზმის იდეოლოგიურ შტამპებს, აზრის დოგმატურსა და ერთფეროვან გაქვავებულობას, 20-იან წლებში არცერთი გამოკვლევა არ დაუწერია ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებისა

---

<sup>85</sup> შ. ნუცუბიძის გასული საუკუნის 10-იანი წლების შემოქმედების სხვაგვარ შეფასებას იძლევა შ. ხიდაშელი. მისი აზრით დიდი მეცნიერის სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი პერიოდის ნაშრომები არ ეფუძნება მარქსისტულ იდეოლოგიას

<sup>86</sup> ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფია, ტფ., 1926, გვ. 4

<sup>87</sup> იქვე, გვ. 118

და მეთოდოლოგიური მოთხოვნების ნიადაგზე<sup>88</sup>.

ბ. კარტოზიას წიგნის („სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული ფილოსოფიური აზრი“) II თავში წარმოდგენილია ვრცელი, თუმცა მარქსისტული დოგმატიზმით ნაკარნახევი მსჯელობა იმაზე, თუ როგორ იწყებს შემობრუნებას ქართული ფილოსოფიური აზრი მარქსისტული ფილოსოფიისაკენ, XX საუკუნის 20-იანი წლების შუა პერიოდიდან. ამ ჭრილშია განხილული ქართველი მოაზროვნეების ფილოსოფიური შეხედულებანი. „შ. ნუცუბიძის, ს. დანელიას, კ. კაპანელის, მ. გოგიბერიძის, კ. ბაქრაძის აზროვნებაში დაიწყო რთული ევოლუციური პროცესი. მათ კრიტიკული თვალთ შეხედეს ადრინდელ თეორიულ პოზიციებს. რა თქმა უნდა, ამ დროისათვის შეუძლებელი იყო სრული შემობრუნება და მათ კიდევ დიდხანს შერჩათ თავდაპირველი მსოფლმხედველობრივი იდეების კვალი, რაც დროდადრო იჩენდა თავს ცალკეული შეცდომების სახით. მაგრამ მთავარი იყო გადაწყვეტილების მიღება – დამდგარიყვნენ ახალ გზაზე და მარქსისტული ფილოსოფიის მძლავრი მეთოდოლოგიური იარაღის გამოყენებით ეწარმოებინათ შემდგომი კვლევა-ძიება”, – წერს ბ. კარტოზია<sup>89</sup>.

ბ. კარტოზიას შეფასებით, XX საუკუნის 20-იან წლებში შ. ნუცუბიძე დიდ ინტერესს იჩენდა სოციოლოგიის სფეროს მიმართ და ცდილობდა ისტორიული მატერიალიზმის დებულებების გამოყენებით გადაეწყვიტა ურთულესი საკითხები (საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების წარმოშობა, არსი და ურთიერთკავშირი...). მარქსამდელ მოაზროვნეებთან (ჰეგელი, ფოიერბახი, ჩერნიშევსკი) შალვა ნუცუბიძე არკვევდა მარქსისტული ფილოსოფიის კავშირის საკითხს<sup>90</sup>.

---

<sup>88</sup> რ. გოლეითიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 38, 42-43

<sup>89</sup> იქვე, გვ. 36-37

<sup>90</sup> იქვე, გვ. 38

მეორე დიდი ფილოსოფოსის – სერგი დანელიას შესახებ ბ. კარტოზია შენიშნავს, რომ მეცნიერი დაუახლოვდა დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს. ანტიკური ფილოსოფიის ისტორიის კერძო საკითხებისა და მისი ცნობილი წარმომადგენლების (დემოკრიტე, სოკრატე) შეხედულებათა გადმოცემის დროს ს. დანელია „გონებამახვილურად აკრიტიკებს იდეალიზმს, როგორც ცხოვრებისათვის, ადამიანის მოქმედებისათვის გამოუსადეგარ ფილოსოფიურ მიმართულებას და აღიარებს, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი არის ფილოსოფიის განვითარების უმაღლესი საფეხური, რომელსაც შეთვისებული აქვს ყოველივე დადებითი, რაც გააჩნდა წინანდელ ფილოსოფიას უძველესი პერიოდიდან XIX საუკუნემდე”<sup>91</sup>. ს. დანელიამ რთული ევოლუცია განიცადა – იგი ნელა, მაგრამ თანდათანობით ეთხოვება იდეალისტურ-ობიექტივისტურ მატერიალიზმს და ქმნის XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრისთვის მნიშვნელოვან და უხვ მეცნიერულ პროდუქციას<sup>92</sup>.

ფილოსოფიური შრომების თავისებური ინტერპრეტაციის საფუძველზე ბ. კარტოზია ცდილობს იმის დასაბუთებას, რომ ს. დანელია „საგრძნობლადაა შემობრუნებული მარქსისტული ფილოსოფიისაკენ და განაგრძობს მოძრაობას იმ გზაზე, რომელზედაც ის საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილმა ობიექტურმა პირობებმა და იდეოლოგიურმა ძვრებმა დააყენეს”<sup>93</sup>.

ბ. კარტოზია გარდამავალი პერიოდის ქართული ფილოსოფიური აზრის იდეალისტურ-აგნოსტიკური ხასიათის მანყვნებლად მიიჩნევს კ. კაპანელის ძირითად თეორიულ პრინციპებს, რომლებიც მან განავითარა თავის წიგნებში – „სული და

---

<sup>91</sup> იქვე, გვ. 56

<sup>92</sup> იქვე, გვ. 55

<sup>93</sup> იქვე, გვ. 67-68

იდეა” (1923 წ.), „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანოტროპიზმი” (1925 წ.) და სხვ. „იდეალიზმიდან მარქსისტული მატერიალიზმისაკენ ქართული ფილოსოფიური აზრის შემობრუნება, რაც იდეოლოგიური ვითარების კანონზომიერებას წარმოადგენდა გარდამავალ პერიოდში, თავს იჩენს კ. კაპანელის შემოქმედებაშიც. სხვა ქართველი მოაზროვნეების მსგავსად, კ. კაპანელიც ცდილობს დაუახლოვდეს მარქსიზმ-ლენინიზმს, გაიზიაროს ისტორიის მატერიალისტური თეორია და მისი პრინციპების გამოყენებით ახსნას საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები (რელიგია, ხელოვნება), საერთოდ დამოკიდებულება იდეოლოგიური ზედნაშენისა ბაზისთან. ამ მისწრაფების გამოხატულებაა მის მიერ შექმნილი ე. წ. ორგანოტროპიზმის თეორია. ყოველ შემთხვევაში მას ასე სჯეროდა. სინამდვილეში კი ორგანოტროპიზმი იყო სოციოლოგიაში გეოგრაფიული მიმართულებების თავისებური სახე, მარქსიზმი-სა და ბიოლოგიზმის იდეოლოგიური სინთეზი”<sup>94</sup>.

ბ. კარტოზიას საანალიზო წიგნში ის აზრია გატარებული, რომ გასული საუკუნის 20-იანი წლების დასასრულისა და 30-იანი წლების დასაწყისისათვის ჩვენი ხალხის იდეურ ცხოვრებაში არსებითი გარდატეხა მოხდა – ქართული ფილოსოფიური აზრის საფუძვლად, მის დედაარსად იქცა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი. მარქსიზმ-ლენინიზმის დაცვისა და პროპაგანდის მიზნით სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი კადრები, რომლებსაც შესწევდათ უნარი მარქსისტული იდეოლოგიის კონტროლქვეშ დაეყენებინათ როგორც ბუნებისმეტყველება, ისე მთელი რიგი საზოგადოებრივ-მეცნიერება<sup>95</sup>.

ბ. კარტოზია და სხვა ქართველი მკვლევარები 20-30-იანი წლების პერიოდს ისე წარმოაჩენენ, რომ თითქოს იდეალის-

---

<sup>94</sup> იქვე, გვ. 68

<sup>95</sup> იქვე, გვ. 77-78

ტურ, ან ყოველ შემთხვევაში არამარქსისტულ ნიადაგზე მდგარი სახელოვანი მოაზროვნეების გადასვლა მარქსისტული ფილოსოფიისა და სოციოლოგიის რეკლესზე თითქოს ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, საკუთარი მსოფლმხედველობის თავისუფალი და ნებაყოფლობითი გზით ხდებოდა. ქართველ მოაზროვნეთა ყოფნა მარქსიზმის სამსახურში ღირსების საქმედ იყო აღიარებული, მაგრამ ამგვარი შეფასება დღევანდელი თვალსაზრისით სრულიად მიუღებელი და მცდარია.

დღეს არავინ დაობს იმაზე, რომ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის აღზევების პერიოდი ესაა ტოტალიტარულ სახელმწიფოში კომუნისტური აკადემიის იდეოლოგიურ ქურაში გამოწრთობილი წითელი ინტელიგენციის მიერ იდეალისტური ფილოსოფიური შეხედულებების მქონე მოაზროვნეთა წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის, მხილებისა და არნახული დევნის პერიოდი, რამაც განსაკუთრებული სისასტიკით იჩინა თავი 30-იანი წლების მიწურულს.

თავისუფალი აზრის იდეოლოგიურ არტახებში მოქცევის ნიმუშად აქვე მოგვყავს 1934 წელს გამოქვეყნებული ბროშურა „პარტიულობისათვის ფილოსოფიაში“, რომლის ავტორიც – პ. კეკელია – ცდილობს უპასუხოს კითხვას, თუ რას წარმოადგენს მარქსისტული ფილოსოფია. „მარქსისტული ფილოსოფია“, პირველად ყოველისა, არის მატერიალისტური ფილოსოფია, ანუ, როგორც ლენინმა განმარტა – „ფილოსოფიური მატერიალიზმი“. მატერიალიზმი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება იდეალიზმს და შეუთავსებელია მასთან, მაგრამ უნდა განვასხვავოთ დაჩაგრული კლასების იდეალიზმი, წარმოშობილი ამ კლასების საზოგადოებრივი, გონებრივი დაჩლუნგებიდან იმ იდეალიზმისაგან, რომელიც გაბატონებულია ექსპლოატატორთა კლასის მსოფლმხედველობაში. სოციალ-ფაშისტების იდეალიზმი არის იდეალიზმი ექსპლოატატორთა კლასის აგენტებისა. სოციალ-ფაშისტები მუშათა კლასის წი-



ნაშე ხატავენ კაპიტალიზმის განვითარების არა ნამდვილი და სწორ სურათს, არამედ მათ მიერ შეთხზულ, გამოგონილ სურათს. ისინი სოციალისტური რევოლუციის სვლასა და კანონებს აიგივებენ ბურჟუაზიული რევოლუციის სვლასა და კანონებთან. კმაყოფილდებიან ფეოდალური საზოგადოების განვითარებასთან ანალოგიების, შედარებების მოყვანით. ისინი ცდილობენ თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობაში პროლეტარიატს დაანახონ ის, რაც მასში ნამდვილად არ არის (მაგ., „მოწესრიგებული კაპიტალიზმი“), ან ის, რაც მასში არსებითი არ არის და ყოველმხრივ ცდილობენ, პროლეტარიატს არ დაანახონ ის, რაც ამ სინამდვილეში, ამ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ნამდვილად არსებობს და რაც მის არსებას შეადგენს. ილუზიები, რომელსაც ბურჟუაზიის აგენტები თესავენ პროლეტარიატში, მშრომელთა მასებში რევოლუციური მოძრაობისათვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს<sup>96</sup>.

ავტორი იმოწმებს ლენინის წერილს „პოლიტიკური ხაზის შესახებ“, სინამდვილისადმი მატერიალისტური და იდეალისტური მიდგომების დასახასიათებლად, რომლის თანახმად „იდეალიზმი არის სუბიექტივიზმი, რომელსაც ქიმერების სამყაროში შევყავართ“<sup>97</sup>. პ. კეკელიას შეხედულებით, ქვეყნის გარდაქმნის ფილოსოფია ესაა მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიური მატერიალიზმი, რომელსაც წინადროინდელი მატერიალიზმისაგან განსხვავებით მატერიალისტურ დიალექტიკას უწოდებენ. დიალექტიკური მატერიალიზმი არის რევოლუციური პრაქტიკისა და ქვეყნის შემეცნების მეცნიერული მეთოდი<sup>98</sup>.

პ. კეკელიას ამ წიგნაკში თითქმის ყოველ გვერდზე გვხვდ-

---

<sup>96</sup> პ. კეკელია, პარტიულობისათვის ფილოსოფიაში, ქობულეთი, 1934, გვ. 8-11

<sup>97</sup> იქვე, გვ. 12

<sup>98</sup> იქვე, გვ. 16

ბა გამოთქმები: „ლენინმა მიგვითითა“, „სწერდა ლენინი“, „ლენინის გამოთქმით“, „ლენინს არაერთხელ მიუთითებია“, „ლენინმა განმარტა“, „ლენინმა შეისწავლა, განაზოგადა და შეაჯამა“, „ლენინმა გამოააშკარავა“, „ლენინმა განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა“, „ამბობდა ენგელსი“, „ამბობდა მარქსი“ და სხვა მრავალი, რაც თავისთავად მეტყველებს ამ პერიოდის ქართული ფილოსოფიური აზრისათვის დამახასიათებელ მძიმე სენზე – მარქსისა და ლენინის მოძღვრებისადმი უსიტყვო მორჩილებაზე, დოგმატიზმზე, კომპილაციაზე, მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებიდან ციტატების წამდაუწუმ, უხვად დამოწმებასა და მათ კომენტირებაზე. მარქსისტული ფილოსოფიის იდეოლოგიური ბატონობის მძიმე დალი ამჩნევია პ. კეკელიას ამ ნაშრომს. შესაბამისად, ავტორის ტავტოლოგიური ხასიათის კომენტარები არაფრისმომცემია ქართული ფილოსოფიური აზრისათვის.

ფილოსოფიის პარტიულობაზე მსჯელობა აქ მხოლოდ იმისთვის დაგეგმირდა, რომ გავიზიაროთ რ. გოლეტიანის შემდეგი თვალსაზრისი: „გამართლება არ უნდა ქონდეს საბჭოთა ფილოსოფიურ-ისტორიულ ლიტერატურაში გავრცელებულ და დღემდე უკრიტიკოდ დატოვებულ დებულებას იმის შესახებ, რომ 20-იანი წლების დამღვევისა და 30-იანი წლების დამღვევისათვის დამთავრდა ქართული ფილოსოფიური აზრის მარქსისტულ პოზიციაზე გადასვლის პროცესი. ტერმინი „გადასვლა“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ადექვატურად არ გამოხატავს რეალურად არსებულ ისტორიულ ვითარებას. თავისუფალი იდეოლოგია მარქსისტულით (პარტიულ-ადმინისტრაციული ზეწოლის გზით) შეიცვალა, მაგრამ ერთიდან მეორეზე ნებაყოფლობითი გადასვლა არ მომხდარა. ორიგინალური თეორიები და თვალსაზრისები არამარქსისტულად გამოცხადდა.

ქართველი ფილოსოფოსების წინაშე, რომლებმაც მთელი ეტაპი შექმნეს ერის ზოგადმსოფლმხედველობრივი და სოცია-

ღურ-ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში, ტოტალიტარული სახელმწიფო იდეოლოგიის გადაულახავი კედელი აღიმართა. ისინი იძულებულნი გახდნენ, ან საერთოდ ჩამოშორებოდნენ თავისუფალ კვლევა-ძიებას ტრადიციულ ფილოსოფიურ პრობლემებზე, ან ახალი გზები მოენახათ ფილოსოფიური თვითდამკვიდრებისათვის<sup>99</sup>.

სისხლიანი ეპოქის გამოწვევები ბევრ რამეს ასწავლიდა ქართველ მოაზროვნეებს და ისინიც მზად იყვნენ, რომ ახლებური მზერა მიემართათ მომავლისაკენ. შექმნილი ობიექტური გარემოება განაპირობებდა იმას, რომ ქართველმა მეცნიერებმა შეწყვიტეს მუშაობა მათთვის საინტერესო ფილოსოფიურ პრობლემებზე და სხვა სფეროებს მიმართეს: შალვა ნუცუბიძემ დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის საკითხების კვლევაზე გადაინაცვლა; სერგი დანელიამ რუსული ლიტერატურის ისტორიის საკითხების კვლევა-ძიებასა და რუსული ენის სწავლებას მიჰყო ხელი; სოციალური ფილოსოფიის საკითხების კვლევას განერიდა პროფ. მოსე გოგიბერიძეც; 30-იან წლებში ფილოსოფიის ჭეშმარიტ მკვლევართა რიცხვს გამოაკლდა კონსტანტინე კაპანელიც. სამაგიეროდ ასპარეზზე გამოჩნდნენ მარქსიზმის იდეებისადმი თავგადაკლული მებრძოლები (ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ი. ვაშაყმაძე, პ. შარია, გრ. მუშიშვილი, კ. გორდელაძე, გ. სოსელია, გრ. გოგიბერიძე, მ. უხნაძე, ე. მირიანაშვილი, ა. ქუთელია...), რომელთა ხელშიც აღმოჩნდა იდეოლოგიური და პოლიტიკური საქმიანობის სადავეები. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებად და პარტიულ თანამდებობებზე დანიშნული ორთოდოქსი მარქსისტები აქტიურად იყვნენ ჩართული კომუნისტური იდეების დაცვაში და ამ საბაბით დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერების წინააღმდეგ.

---

<sup>99</sup> რ. გოლეთიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 44

დიდი ქართველი მოაზროვნის, პროფესორ სერგი დანელიას ფილოსოფიური მემკვიდრეობა, მისი მსოფლმხედველობრივი ევოლუციის, მარქსიზმისადმი დამოკიდებულებების პრობლემური საკითხები საბჭოთა რეჟიმისდროინდელ გამოკვლევებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოტალიტარული იდეოლოგიის მიერ დამკვიდრებული მოთხოვნების გათვალისწინებით არის გაანალიზებული, რაც ამჟამად უკვე გადასინჯვას და ახლებურად გააზრებას საჭიროებს. ეს პროცესი დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საბჭოთა რეჟიმისაგან თავისუფალი აზრის დაღწევის საფუძველზე. მდგომარეობა განსაკუთრებით სასიკეთოდ შეიცვალა ფილოსოფიის, ისტორიის, ეკონომიკური თეორიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგებში მომუშავე მკვლევარებისათვის, რომლებსაც უკვე ხელს არაფერი უშლიდათ იმაში, რომ დაეწერათ და გამოექვეყნებინათ დოგამტური აზროვნებისგან თავისუფალი, სტრუქტურულად და შინაარსობრივად სრულიად განსხვავებული, ახალი სტილის წიგნები.

სწორედ ამ პერიოდში – 90-იან წლებში დაიწყო ბ. კარტოზიამ XX საუკუნის გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეთა ფილოსოფიური მემკვიდრეობის ჭეშმარიტად ობიექტური ანალიზი და შეფასება. ობიექტურობის პრინციპის დაცვითაა წარმოდგენილი ს. დანელიას მსოფლმხედველობა, საზგასმულია მისი ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების უდიდესი მნიშვნელობა და ღირებულება ბ. კარტოზიას, ე. კოდუას, გ. თევზაძის, კ. ბლაგიძისა და სხვა მკვლევარების ცალკეულ სტატიებში, რაც 1990-იანი წლებიდან იბეჭდებოდა პერიოდულ პრესაში, ასევე გამოდიოდა ცალკე წიგნებად, რომლებშიც გაანალიზებულია ს. დანელიას ადრინდელი სოციალური იდეები, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე მისი საქმიანობის მანამდე უცნობი დეტალები.

2008 წელს გამოქვეყნდა ბ. კარტოზიასა და ი. კეკელიას მცირე

რე ზომის მონოგრაფია „სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი“. მასში სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებშია გაანალიზებული დიდი მოაზროვნის შეხედულებები ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით. ს. დანელიას ეროვნული კონცეფცია, ავტორთა შეხედულებით, ემყარება ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს და ამ ბრძოლის გამოსატყულებას წარმოადგენს.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სინამდვილის ანალიზი და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, ფილოსოფოსის ორიგინალური შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე, ქვეყნის მამოძრავებელ, სოციალურ ძალებზე, მისივე პოლიტიკური შეხედულებანი, პარტიული მრწამსი გასული საუკუნის 10-20-იან წლებში და პრაქტიკულ-ორგანიზაციული საქმიანობა, დიდხანს წარმოადგენდა ტაბუდადებულ თემას. იმ ნაშრომებს, რომლებშიც აღნიშნული პრობლემების ანალიზია მოცემული, დიდხანს არ უნახავთ დღის სინათლე. ზოგიერთი მათგანი კი (მაგალითად, 1912 წელს რუსულ ენაზე დაწერილი სტატია – „ქართული (ჩვენი) სოციალ-დემოკრატია და ნაციონალიზმი“) საერთოდ არ გამოქვეყნებულა.

სოციალური და ეროვნული პრობლემები სერგი დანელიას განხილული აქვს წიგნებში: „საქართველო 1905 წლის შემდეგ“ (რუსულ ენაზე, 1914 წ.), „საქართველოს ეკონომიურ ვითარებისათვის“ (1920 წ.), ვრცელ საგაზეთო წერილში – „ბოლშევიზმი და საქართველო“ (1920 წ.) და სხვ.

ბ. კარტოზიასა და ი. კეკელიას მონოგრაფიის I თავში განხილულია რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობისა და ქართული სოციალ-დემოკრატის საკითხი. მასში აღნიშნულია, რომ ს. დანელია თავის ნაშრომებში გამოდის რუსეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობლების მკაცრი კრიტიკით. რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება, სერგი დანელიას აზრით, დაფუძნებული იყო მონობასა და ძალმომრეობაზე. შეზღუდული იყო პიროვნების უფლებები.

გლეხები – ფიზიკური შრომის წარმომადგენლები – ადამიანებად არც კი ითვლებოდნენ. საშინელ ლევიათანს მსხვერპლად ეწირებოდა უბრალო ადამიანების საუკეთესო სურვილები და მისწრაფებანი. მკვლევარი გამოსავალს რუსეთის პოლიტიკური წყობილების შეცვლაში ხედავდა<sup>100</sup>.

ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ს. დანელიას დამოკიდებულებაზე მცირე ერების უუფლებო მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომლის ტიპიურ მაგალითად ს. დანელია ასახელებდა საქართველოს<sup>101</sup>. შენიშნავენ, რომ ს. დანელია კატეგორიულად უარყოფს მარქსისტულ თეორიას, რომელსაც თავგამოდებით იცავდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. რუსეთსა და საქართველოში ევროპიდან შემოჭრილი მარქსიზმი უპირატესობას სოციალურ საკითხს ანიჭებდა, ეროვნული კი მასზე იყო დაქვემდებარებული<sup>102</sup>. ს. დანელია მკაცრად აკრიტიკებდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომლის წარმომადგენელიც იყო ნოე ჟორდანიას, და მათ უტოპისტებსა და ფენომენალურ მეტაფიზიკოსებს უწოდებდა. დასავლეთ ევროპის ისტორიულ პირობებზე დაფუძნებული მარქსისტული თეორია სოციალ-დემოკრატებმა უყოყმანოდ, ბრმად გადმოიტანეს საქართველოში და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური პირობების გათვალისწინების გარეშე შეეცადნენ ჩვენი სინამდვილისათვის მის „მორგებას“.

ბ. კარტოზიასა და ი. კეკელიას მონოგრაფიის II თავი ეხება ნაციონალიზმის ფორმების სერგი დანელიასეული კლასიფიკაციის ანალიზს. ესაა ბურჟუაზიული და თავადაზნაურული

---

<sup>100</sup> ბ. კარტოზია, ი. კეკელია, სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი, თბ., 2008, გვ. 9-10

<sup>101</sup> ბ. კარტოზია, ი. კეკელია, სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი, გვ. 12

<sup>102</sup> ბ. კარტოზია, ი. კეკელია, სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი, გვ. 13

ნაციონალიზმი. თავადაზნაურული ნაციონალიზმის მთავარ ამოცანას საქართველოს ძველი დიდების აღდგენა შეადგენს. ის პესიმისტური და რეაქციულია, საფუძველად უდევს წოდებრივი ეგოიზმი, მიმართულია ქართველი ხალხის უმრავლესობის, გლეხობის წინააღმდეგ, მისტირის წარსულს, იხედება არა წინ, არამედ – უკან. სწორედ ამიტომ ს. დანელიას ნაციონალიზმის პროგრესულ ფორმად ბურჟუაზიული ნაციონალიზმი ესახებოდა. „წარსულის აღდგენა კი არა, მისი ყოველგვარი ავისმომამსწავებელი გადმონაშთის აღმოფხვრა, ბატონყმური ვალდებულებებისაგან გლეხის განთავისუფლება, მიწათმფლობელობის ფეოდალური სისტემის გაუქმება, გლეხის ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესება, მათი უფლებების გაფართოება, მათი ღირსების დაცვა, – აი, რისთვისაც იღვწოდა ს. დანელია ცარიზმის ბატონობის პერიოდში და ყოველივე ამის გადაწყვეტას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას უკავშირებდა“, – აღნიშნავენ ავტორები<sup>103</sup>.

ბ. კარტოზიასა და ი. კეკელიას შეხედულებით, სერგი დანელია ცდილობს ქართული ნაციონალიზმის გამართლებას, მაგრამ ეს გამართლება არ გულისხმობს სხვა ერების ღირსების, ეროვნული გრძნობების შელახვასა და ხელყოფას. ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი შეთავსებადი ცნებებია და არ გამორიცხავენ ერთმანეთს<sup>104</sup>.

XX საუკუნის 10-იან წლებში სოციოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. მეტად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია სერგი დანელიას

---

<sup>103</sup> ბ. კარტოზია, ი. კეკელია, სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი, გვ. 21

<sup>104</sup> ბ. კარტოზია, ი. კეკელია, სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი, გვ. 22

პოზიცია ამასთან დაკავშირებით, რასაც ბ. კარტოზია და ი. კეკელია განიხილავენ ნაშრომის III თავში. „ს. დანელიას პოზიცია... მკვეთრად ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიის, მარქსიზმის პოზიციას, რამდენადაც ეს უკანასკნელი, ინტერნაციონალიზმის სანაცვლოდ, სრულიად უარყოფს ნაციონალიზმს, ნაციონალურ გრძნობას, სამშობლოს, საკუთარი ენისა და ქვეყნის არსებობას და მნიშვნელობას მწარმოებელი კლასებისათვის კაპიტალიზმის პირობებში“<sup>105</sup>. როგორც თავადაზნაურული, ისე ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ რეაქციულ მოვლენად იყო მიჩნეული. ბ. კარტოზიასა და ი. კეკელიას მონოგრაფიაში ნაჩვენებია სერგი დანელიას ბრძოლა ასეთი შეფასების წინააღმდეგ.

ნაშრომის IV თავში გაანალიზებულია საკითხი, თუ როგორ აისახა კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორიის კრიტიკა ს. დანელიას ადრეული პერიოდის შრომებში. ს. დანელია, როგორც მოაზროვნე, აღნიშნავენ ავტორები, მტკიცედ იდგა ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის სადარაჯოზე და იბრძოდა ცარიზმის კლანჭებისაგან სამშობლოს გამოსახსნელად. თვითგამორკვევის უფლების მოპოვებისთვის მას საჭიროდ მიაჩნდა სოციალურ ჯგუფებს შორის ბრძოლის დასრულება, უთანხმოებისა და წინააღმდეგობის დაძლევა ეროვნული ერთიანობის შეგნების საფუძველზე. იგი დარწმუნებულია, რომ ქართველებს საერთო ეროვნული ინტერესები უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ვიწროკლასობრივი. ს. დანელია საზოგადოების ყველა კლასისა და წოდების (სავაჭრო ბურჟუაზია, მუშები, გლეხობა, თავადაზნაურობა, სამღვდელოება) ერთიანობის დადაგებით უარყოფს კლასთა ბრძოლის მარქსისტულ თეორიას.

თუკი რუსი მარქსისტები, ასევე მათი ქართველი მიმდევრები პირველ რიგში აყენებდნენ სოციალურ ბრძოლას, მუშათა კლასის, პროლეტარიატის განთავისუფლებას კაპიტალისტუ-

---

<sup>105</sup> იქვე, გვ. 23



რი ექსპლუატაციისაგან, თუკი ისინი კლასობრივი ანტაგონიზმის გადაწყვეტას ეროვნული მოძრაობის სოციალურისადმი დაქვემდებარებაში ხედავდნენ, ასეთი მიდგომა აბსოლუტურად მიუღებელი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, რომლის ერთ-ერთ თეორეტიკოსად ითვლებოდა სერგი დანელია. მან საერთოდ უარყო ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მარქსისტული გზა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ მისი განხორციელებისათვის აუცილებელი და საჭირო ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების წარმოშობის შესაძლებლობა საქართველოს პირობებისთვის არ არსებობდა – ს. დანელიას შეხედულებით, სოციალიზმის პრინციპები უცხო იყო ქართული ყოფისა და სულისათვის<sup>106</sup>.

ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ს. დანელიას დაკვირვებით დასავლეთ ევროპის ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია) კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესწავლის ნიადაგზე კარლ მარქსის მიერ შემუშავებული სოციალისტური რევოლუციის თეორია თავისთავად მცდარი არაა. მისი გამოყენება შესაძლებელია დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიული ვითარებისათვის, მაგრამ მისი განხორციელება და ყველა ქვეყნისათვის სავალდებულოდ ქცევა, რასაც ცდილობენ ქართველი მარქსისტი პუბლიცისტები, ღირებულებას უკარგავს მარქსის თეორიას. ამიტომ უწოდებს ს. დანელია ქართველ სოციალ-დემოკრატებს უტოპისტებსა და მეტაფიზიკოსებს. „ის, რაც დასავლეთ ევროპაში მოხდა, ს. დანელიას აზრით, არაა აუცილებელი ზუსტად განმეორდეს სხვა ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში. კ. მარქსის თეორია უცხო სინამდვილეზე დაკვირვების შედეგია და ამიტომ შეუძლებელია ის ჩვენს ცხოვრებას გამოადგეს, ჩვენში ჰპოვოს გამარ-

---

<sup>106</sup> ბ. კარტოზია, ი. კეკელია, სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი, გვ. 33-35

თლება”<sup>107</sup>.

ავტორები შენიშნავენ, რომ ს. დანელია ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე კაპიტალიზმის განვითარებისათვის საჭირო სუბიექტურ და ფსიქიკურ ფაქტორებზე. საკითხის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი სახით: 1. დასავლეთ ევროპაში ადამიანი ადვილად შეეთვისა კაპიტალისტურ მრეწველობას, რადგან მიჩვეული იყო საქარხნო ცხოვრების წესებს, რეჟიმს, პედანტიზმს. სულ სხვა ვითარება იყო საქართველოში, სადაც, ს. დანელიას აზრით, არ არსებობდა ზემოთ დასახელებული პირობები. ქართული ინდუსტრიის ასპარეზი მცირე იყო და საქართველოში მრეწველობის განვითარების შემთხვევაში მას მოუხდებოდა ბრძოლა დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან, რომლებსაც უკვე დაპყრობილი ჰქონდათ მსოფლიო ბაზარი; 2. ს. დანელია საქართველოში ფსიქიკური ფაქტორების არსებობასაც საეჭვოდ აცხადებს, რადგან ჩვენს ისტორიას ქართველ კაცში არ შეუქმნია ქარხნის მუშაობისათვის საჭირო თვისება. ქართველ კაცს წვრილმანი პედანტიზმისადმი ერთგვარი სიძულვილი ახასიათებს და ეს თვისება მასში ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე გამოჭედილი. ქართველი კაცი ვერ შეეგუება საქარხნო ცხოვრების წესებს, რადგან, როგორც ს. დანელია წერს, „პიროვნების ემანსიპაციამ საქართველოში გაუსწრო მრეწველობის განვითარებას“.

როგორ ესახებოდა ს. დანელიას საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება დამოუკიდებლობის პირობებში? მეცნიერი აღნიშნავს, რომ საქართველომ ორიენტაცია უნდა აიღოს სოფლის მეურნეობაზე, რადგან საქართველოს მიწას შეუძლია არა მხოლოდ გამოკვებოს ქართველი ხალხი, არამედ – არჩინოს კიდევ. იგი მდიდარია მრავალფეროვანი წიაღისეული სიმდიდრეებით, კლიმატით, ნიადაგით, მდინარეებით და ა. შ. მსოფლიო ასპარეზზე გასასვლელად საჭიროა ჯერ სოფ-

---

<sup>107</sup> იქვე, გვ. 36

ლის მეურნეობაში ვცადოთ ბედი, აქ ამოიწუროს ქვეყნის მთელი შესაძლებლობა, ხოლო შემდეგ დავიწყოთ ფიქრი მრეწველობის, ინდუსტრიის განვითარებაზე<sup>108</sup>.

ნაშრომის V თავში ბ. კარტოზია და ი. კეკელია ეხებიან ს. დანელიას თვალსაზრისს ქართველი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესახებ. რა სოციალური ჯგუფებისაგან შედგება ქართველი საზოგადოება? როგორია მისი კლასობრივი სტრუქტურა? რა მთავარი ამოცანა დგას ქართველი ერის, მისი შემადგენელი კლასებისა და წოდებათა წინაშე? ს. დანელია ვრცლად ეხება ამ საკითხებს და სოციალურ ჯგუფებში გამოყოფს **ბურჟუაზიას**, როგორც ერის მეთაურს, და **გლეხობას**, როგორც მის წამყვან ძალას. გლეხობას დიდ დახმარებას უწევს **ინტელიგენცია**, რომელსაც მასში შეაქვს აგრონომიულ-მეცნიერული ცოდნა. ქართველი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტებია აგრეთვე **თავადაზნაურობა** და **სამღვდელოება**. „ს. დანელიამ მოგვცა XX საუკუნის ათიანი წლების ქართული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის დახასიათება. იგი შეეხო ყველა კლასს და წოდებას, ყველა საზოგადოებრივ ჯგუფს და დაასკვნა, რომ საქართველოში არავითარი საფუძველი არ არსებობდა სოციალისტური რევოლუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, რომელიც სოციალიზმის შენობის შესავალი კარი უნდა გამხდარიყო. საქართველოსთვის ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა თვითგამორკვევის უფლების მოპოვება და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილებების დამყარება. ამ მიზნით საჭირო იყო ყველა საზოგადოებრივი ფენის ერთ მუშტად შეკვრა, გაერთიანება საერთო მტრის – რუსული ბიუროკრატიული მმართველობის წინააღმდეგ, რადგან ქართულ საზოგადოებაში არ არსებობდა მისი თანამგრძნობი არც ერთი დიდი სოციალური ძალა; პირიქით, ყველა

---

<sup>108</sup> იქვე, გვ. 38-39

საზოგადოებრივი ჯგუფი ცდილობდა ანტიეროვნული მთავრობის მეურვეობისგან თავის დაღწევას. ეს იყო ერთობლივი საქართველოს უმთავრესი მოთხოვნები<sup>109</sup>).

ეროვნული ერთიანობისა და თავისუფლების საკითხი მოკლედ არის გადმოცემული VI თავში, სადაც ხაზგასმულია, რომ XX ს-ის ათიან წლებში აქტუალურ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხად იქცა სოციალისტური რევოლუციის საკითხი. ქართულ სინამდვილეში სოციალისტური რევოლუციის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავდა ს. დანელია ჯერ კიდევ 1920 წელს, ე. ი. იმ დროს, როდესაც ლენინი მსოფლიო სოციალისტურ გადატრიალებაზე ოცნებობდა. ს. დანელიას აზრით, საქართველომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იფიქროს არა კლასთა ბრძოლასა და სისხლისღვრაზე, არამედ ეროვნულ ერთიანობასა და თავისუფლებაზე. „თუ გადაჭარბებული არ იქნება, უნდა ითქვას, რომ ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნების განვითარება წავიდა არა კ. მარქსისა და ვ. ლენინის ნაწინასწარმეტყველებული გზით, არამედ იმ მიმართულებით, საითკენაც მიუთითებდა ს. დანელია“, – წერენ ავტორები<sup>110</sup>.

---

<sup>109</sup> იქვე, გვ. 45-56; მსჯელობისათვის იხ. ი. კეკელია, სერგი დანელია ქართული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესახებ. მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი სერგი დანელიას დაბადებიდან 125 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი. ქუთ., 2013, გვ. 53-54; ბ. კარტოზია, ი. კეკელია, სერგი დანელია ქართველი სამღვდელოების შესახებ. გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის – სერგი დანელიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი VII რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, 23 მაისი, 2014, მუშაობის პროგრამა და მასალები. მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთ., 2014, გვ. 36-37

<sup>110</sup> იქვე, გვ. 47

მონოგრაფიის VII თავში მოცემულია სერგი დანელიას პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების ანალიზი. აღნიშნულია, რომ 1918 წლიდან მოყოლებული, ის იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და რუსეთის ბოლშევიკური იმპერიის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი, რის გამოც ორჯერ იყო კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პატიმარი (1923-1924 წ.). მისი ბრალეულობა გამოიხატებოდა კონტრრევოლუციაში, მენშევიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში. ამასთანავე, ბრალად ედებოდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ორგანიზება და აქტიური მონაწილეობა. 1919 წლიდან საქართველოს უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მთავარი გამგის თანამდებობაზე მუშაობას სერგი დანელიასათვის ხელი არ შეუშლია, რომ მოურიდებლად გაეკრიტიკებინა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, მისი ინერტულობისა და პასიურობის, ასევე ეროვნულ საკითხზე მისი ძველი პოზიციის გამო<sup>111</sup>.

ახლა განვიხილოთ საკითხი, თუ როგორ ესახება პროფესორ ე. კოდუას XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის დიდი წარმომადგენლის – ს. დანელიას ეროვნული თვალთახედვის ზოგიერთი ასპექტი

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო ს. დანელიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას. 1975 წელს გამოიცა ე. კოდუას ნაშრომი „სერგი დანელია“. 1978 და 1988 წლებში განხორციელდა ამ ნაშრომის შეესებური გამოცემა, ხოლო 1998 წელს მკვლევარმა ასევე ცალკე

---

<sup>111</sup> მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე ი. კეკელია, პოლიტიკური იდეოლოგია და ქართველი ფილოსოფოსების ბედი (სერგი დანელია და კონსტანტინე კაპანელი). მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სერგი დანელიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი VII რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის პროგრამა და მასალები. ქუთ., 2014, გვ. 39-42

წიგნად გამოსცა „სერგი დანელიას ეროვნული თვალსაწიერი“. სახელოვანი მეცნიერის ეროვნული თვალთახედვის ჭრილში ედუარდ კოდუას მიერ საფუძვლიანადაა გაანალიზებული შემდეგი საკითხები: ს. დანელიას სოციოლოგიური შეხედულებანი, მისი პოლიტიკური მრწამსი (რუსული სულის დახასიათება და ბოლშევიზმისა და საქართველოს შეუთავსებლობა), ს. დანელია ეროვნული მოძრაობის შუაგულში, ს. დანელიას ნაციონალიზმი.

როგორც გამოკვლევაშია აღნიშნული, სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლისას ს. დანელია დიდ დაინტერესებას იჩენდა ქართული სინამდვილისა და მისი განვითარების ტენდენციების კვლევის მიმართ. ის ნაკლებად იყო დაინტერესებული მსოფლიოს სოციალური პრობლემებისა და სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების დაფუძნების კვლევით. ს. დანელია ზოგიერთ გამოკვლევაში ეხებოდა საქართველოს სოციალური ყოფის საკითხებს, ხალხის დასაქმების ძირითად სფეროებს. ქართულ სინამდვილეში ძველისა და ახლის ბრძოლის, საქართველოს სხვადასხვა პარტიების მიერ სახელმძღვანელოდ წარმოდგენილი პოლიტიკური პროგრამების ანალიზით ს. დანელიას ადრინდელ გამოკვლევებში წარმოდგენილია ქართველი მოსახლეობის მოძრაობის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობის, სოციალური სტრუქტურისა და მისი განვითარების პრობლემური საკითხები. ქართველი ერის აწმყო და მომავალი – ასეთია სახელოვანი მოაზროვნის მეცნიერული ინტერესის საგანი. ამ მიმართულებით ე. კოდუა იმოწმებს ს. დანელიას პირველ სოციოლოგიურ გამოკვლევას (მონოგრაფიას) – „საქართველო 1905 წლის შემდეგ“, რაც 1914 წელს ს. დარბანის ფსევდონიმით დაიბეჭდა რუსულ ენაზე, ქ. ქუთაისში. ქართული სინამდვილის სოციოლოგიურ ანალიზს ეძღვნება აგრეთვე ს. დანელიას კიდევ ორი წიგნაკი: „საქართველოს ეკონომიურ ვითარებისათვის“, გამოცემული 1920 წელს, და „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, გამოცემული

1927 წელს, ასევე რამდენიმე საგაზეთო წერილი და მის არქივში დაცული, გამოუქვეყნებელი სტატიები<sup>112</sup>.

ე. კოდუა იმოწმებს და მეცნიერის სოციოლოგიური ნააზრვის შუქზე განიხილავს ს. დანელიას ხელნაწერს – „Грузинская (наша) социал-демократия и национализм“. „იმედიანის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი ეს გამოკვლევა 1912 წელს, ფოთშია დაწერილი და მიმართულია ნოე ჟორდანიას მიერ გამოთქმული იმ მოსაზრების წინააღმდეგ, რომ თითქოს ქართველებს ეროვნული გრძნობა არ გააჩნიათ. ს. დანელია კარლ მარქსის თეორიის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დაასკვნია, რომ ეს თეორია არამეცნიერულია, მეტაფიზიკურია და, შესაბამისად, ქართული სინამდვილისათვის აბსოლუტურად გამოუსადეგარი და თავსმოხვეულია.

ს. დანელიას მეცნიერული მსჯელობის ამოსავალი ქართული მოძრაობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათით განსაზღვრული ინტერესები იყო. ს. დანელია მკაცრად ილაშქრებს ნ. ჟორდანიას ბროშურაში („ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“) წამოყენებული პირველი თეზისის წინააღმდეგ, რომლის თანახმად ქართველ ერს არ გააჩნდა ეროვნული თვითცნობიერება. ამის ახსნას ნ. ჟორდანია შემდეგი არგუმენტით ცდილობდა: რომ საქართველოში ნაციონალისტური პარტიები არ სარგებლობდნენ დიდი მხარდაჭერით და, რომ 1905 წლის რევოლუციაში გლეხობამ და ინტელიგენციამ მხარი დაუჭირა ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატებს. ამ თეზისს ს. დანელია უპირისპირებს იმ თვალსაზრისს, რომ ქართველ ხალხს აქვს ეროვნული თვითცნობიერება და სოციალ-დემოკრატებისადმი ქართველების სიმპათია არ იყო განპირობებული ეროვნული თვითცნობიერების უქონლობით. ს. დანელიას დაკვირვებით, ერს, როგორც მყარ ერთობას და თავისებურ ორგა-

---

<sup>112</sup> ე. კოდუა, სერგი დანელიას ეროვნული თვალსაწიერი, თბ, 1998, გვ. 3-4.

ნიზმს, აქვს სხეული და სული. თვითცნობიერებაში სწორედ ერის სული მოიაზრება, რომლის გარეშეც ორგანიზმის არსებობა შეუძლებელია.

ქართული სინამდვილის შესახებ სერგი დანელიას მიერ წარმოდგენილ ანალიზს დადებითად აფასებდა ნიკო ნიკოლაძე, ხელნაწერზე გაკეთებულ მინაწერებში<sup>113</sup>.

თუ რატომ გაჰყვა ქართველი ინტელიგენცია სოციალ-დემოკრატიას და რატომ არ ახასიათებს ამ ინტელიგენციას ქართველი ხალხის შესაფერისი სიმყარე, ს. დანელიას მიერ ახსნილია იმ მიზეზით, რომ ქართველი ინტელიგენცია ჩამორჩენილია ევროპულ ინტელიგენციასთან შედარებით, ხოლო ეს ჩამორჩენა განათლების სისტემის ნაკლოვანებების შედეგია<sup>114</sup>.

სავესებით სამართლიანია სერგი დანელიას წუხილი, რომ ქართველი ინტელიგენცია უნიადაგოა და ანგარიშს არ უწევს საკუთარ სინამდვილეს. სინამდვილე კი ისაა, რომ მას ტექნიკურად გადმოაქვს სხვა სინამდვილის მიმართ შექმნილი თეორიები.

ელჟარდ კოდუა ქართული სინამდვილის ს. დანელიასეული ანალიზის უკეთ წარმოსაჩენად ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხზე. როგორია ცნობილი მოაზროვნის შეხედულება ერთი შეხედვით ძნელად გასამიჯნავ ორ ცნებაზე – **ქართველი ინტელიგენტი** და **ქართული ინტელიგენტი**. „ქართველი ინტელიგენტი გაცილებით მეტია, ვიდრე ქართული ინტელიგენტი. ქართველი ინტელიგენტი, ქართული ინტელიგენტის გარდა, გულისხმობს იმასაც, ვინც რუსეთის გუბერნიებში სახელმწიფო სამსახურშია. ქართული ინტელიგენტი მხოლოდ ისაა, ვინც თავისი ცხოვრება ქართველი ხალხის სამსახურს მოახმარა. ქართველი ინტელიგენტის დიდი ნაწილი სამოღვაწეოდ

---

<sup>113</sup> მსჯელობისათვის იხ მ. პაჭკორია, პ. რატიანი, ნიკო ნიკოლაძის უცნობი სტრიქონები”. ჟურნ. „ცისკარი”, №3, 1972, გვ. 133-137

<sup>114</sup> იქვე, გვ. 7.



რუსეთს მიდიოდა, რადგან საქართველოში მისთვის არ იყო ასპარეზი, არ ჰქონდათ პრესა, სადაც მათი დასაქმება შეიძლებოდა, არც განვითარებული სავაჭრო და სამრეწველო ცხოვრება. ამიტომ ქართველი ინტელიგენტი საკუთარ ნიადაგს სწყდებოდა და უნიადაგო ცხოვრებას ეწეოდა რუსეთში”<sup>115</sup>.

ს. დანელიას აზრით, ქართველი სოციალ-დემოკრატები დროზე ადრე მოფრენილი და პირობების არქონის გამო გაყინული მერცხლები არიან. სოციალ-დემოკრატები ქართულ სინამდვილეს დაშორებულნი არიან სოციალიზმით და კოსმოპოლიტიზმით. ქართველი მოაზროვნე მიიჩნევდა, რომ ერთ-ერთი რეალური და მისაღები ძალა იყო ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა. ს. დანელია დადებით მხარეს ხედავს სოციალისტ-ფედერალისტების ნააზრევშიც, განსაკუთრებით მათი ნაციონალიზმის სახით, თუმცა ამ პარტიასაც სინამდვილიდან მოწყვეტილად მიიჩნევს, „ს. დანელია ამოდის კანტის პრინციპიდან – „მაქსიმა, რაც უფრო კონკრეტულია, მით უფრო კარგია”. ამ პრინციპით ხელმძღვანელობს, დანელიას აზრით, ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც ეწაფება განათლებას, საკუთარი თავის გაჯანსაღებასა და გამდიდრებას. შეიძლება ეს წვრილმანად მოეჩვენოს, მაგრამ ასეთი წვრილმანები, დანელიას აზრით, მომავალი დიდი საქმეების წინამძღვარი და ხილია. პრაქტიკული საქმეებისაკენ სწრაფვა ქართველ ინტელიგენციას უფრო ნიკო ნიკოლაძესთან აახლოებს, ვიდრე ნოე ჟორდანიასთან”<sup>116</sup>.

ე. კოდუა განიხილავს ქართველი მოაზროვნის შეხედულებებს ქართველი თავად-აზნაურების, გლეხებისა და სამღვდლოების შესახებ. აღნიშნავს, რომ სოციალური პრობლემების გააზრების ცდა მოცემულია 1920 წელს გამოცემულ წიგნში – „საქართველოს ეკონომიურ ვითარებისათვის”. მასში გამოყე-

---

<sup>115</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>116</sup> ე. კოდუა, დასახლებული ნაშრომი, გვ. 12.

ნებუღია სოციალური სინამდვილისადმი კრიტიკული ანალიზისა და სოციალური მოვლენების კვლევის მეთოდები, რომლებიც მიესადაგებოდა საქართველოს სინამდვილეს.

ს. დანელიას სოციოლოგიური კონცეფცია, პროფ. ედუარდ კოდუას სამართლიანი დაკვირვებით, ვლინდება სოციალ-დემოკრატიებისა და ფედერალისტების სოციოლოგიურ შეხედულებათა კრიტიკაში. ს. დანელია აკრიტიკებს ამ მხრივ არჩილ ჯორჯაძისა და მიხაკო წერეთლის ორგანიციზმს, თუმცა ფედერალისტებთან უფრო მეტ სიახლოვეს ავლენს, ვინაიდან, შენიშნავს ე. კოდუა, ამოსავალი წერტილი უფრო საერთო აქვთ ერის სახით, ისე, როგორც იდეალი და საზრისიც, რომელიც ერის ყოფიერებას უკავშირდება... დანელია ფედერალისტებთან ერთად, ერის ყოფიერებიდან ამოდის, თუმცა იდეალად და საზრისად ერის დასახვაშიც მისი შეხედულება განსხვავდება ფედერალისტთა შეხედულებებისაგან<sup>117</sup>.

ფედერალისტთა და სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკური პრინციპების საფუძვლიანი კრიტიკა, ე. კოდუას დაკვირვებით, ს. დანელიას მიერ ოთხ პუნქტად არის ჩამოყალიბებული:

1. ქართველი ერი დამოუკიდებელი ორგანიზმია;
2. ამ ორგანიზმის განვითარება ევროპული ეტაპის იქნება;
3. ეს განვითარება საქარხნო მრეწველობის მიმართულებით მოხდება;
4. ამ განვითარებას მოჰყვება კაპიტალის კონცენტრაცია და სოციალისტური რევოლუცია<sup>118</sup>.

საგულისხმოა სერგი დანელიას შემდეგი დაკვირვება: საქართველოს, როგორც ერთიან ეკონომიკურ ორგანიზმს, არ სჭირდება ორგანიზმისთვის საჭირო ყველა ფუნქციის განვითარება, მით უმეტეს, ისეთის, როგორცაა მრეწველობა, რადგან საქართველოს მრეწველობის ტრადიცია არ გააჩნია. მას

---

<sup>117</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>118</sup> იქვე, გვ. 20.

ხელსაყრელი პირობები აქვს სასოფლო-სამეურნეო და საკურორტო მიმართულებით განსავითარებლად, ვინაიდან ორივეს პირობები და ტრადიცია აქვს სხვაზე მეტადაც.

ე. კოდუა მართებულად მიიჩნევს და სავსებით იზიარებს ორგანიციზმის ს. დანელიასეულ კრიტიკას და, საერთოდ ბიოლოგიზმს სოციოლოგიაში; იმოწმებს ციტატას ქართველი მოაზროვნის გამოკვლევიდან, რომ „ერის შედარება ორგანიზმთან, ან კიდევ საერთოდ ეროვნული ვითარების აღსანიშნავად ბიოლოგიური ტერმინების გამოყენება, უბრალო მეტაფორაა და არა ჭეშმარიტება“<sup>119</sup>.

ე. კოდუა აღნიშნავს, რომ ქართველი მოაზროვნისთვის მიუღებელია ერის იდეის გაფეტიშება და იმ კერპად იქცევა, რომელსაც მსხვერპლად შეეწირება ცალკეული ინდივიდი და მისი ინტერესები. პიროვნების ხარჯზე იდეალის განხორციელება და ასეთი ნაბიჯით კაცობრიობის მთელი პროგრესი ბავშვის ერთ ცრემლადაც არ ღირს. პიროვნების ინტერესები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კლასობრივ და ეროვნულ ინტერესებს, ვინაიდან ერი არ დგას პიროვნებაზე მაღლა. სერგი დანელია წინააღმდეგია ადამიანის დამონებისა და გაუცხოების ყველა ფორმისა. სწორედ ამიტომ ცდილობს სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტებისათვის საერთო, ზემოთ დასახელებული ოთხივე პრინციპის უკუგდებას<sup>120</sup>.

ს. დანელია ქართული სინამდვილის შესახებ ამ თეორიების უარყოფითა და დაძლევიტ შეეცადა ქართული სინამდვილის განვითარების პოზიტიური გზების დასახვას<sup>121</sup>.

ელჟარდ კოდუა განიხილავს სერგი დანელიას ავტორობით

---

<sup>119</sup> ს. დარიანი, საქართველოს ეკონომიური ვითარებისათვის, თბ., 1920, გვ. 31; მსჯელობისთვის იხ. ე. კოდუა, სერგი დანელიას ეროვნული თვალსაწიერი, გვ. 20.

<sup>120</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>121</sup> იქვე, გვ. 23.

ცალკე წიგნაკად გამოქვეყნებულ კიდევ ერთ გამოკვლევას („ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“). მასში ვაჟას პოეზიის ფილოსოფიურ ანალიზთან ერთად მოცემულია ისტორიული ყოფიერების საზრისის, ისტორიის საზრისის ცნების გარკვევის ცდა.

ე. კოდუას შეხედულებით, ვაჟას მსოფლმხედველობა მკვლევარს წარმოდგენილი აქვს, როგორც თავისებური წრებრუნვის თეორია, ეს წრებრუნვა კი წარმოადგენს უსასრულო მოძრაობას. მასში მოცემულია წარმართული პოლითეისტური და ქრისტიანული მონოთეისტური სარწმუნოებების ბრძოლის ანალიზი.

ერის ყოფიერებისა და მისი საზრისის შესახებ ს. დანელიას თვალსაზრისი შემდეგი სახისაა: ადამიანმა ადამიანურ სამყაროში, ხოლო ერმა კულტურისა და ცივილიზაციის სფეროში უნდა განახორციელოს თავისი ყოფიერება და საზრისი. ე. კოდუა არ იზიარებს ს. დანელიას მოსაზრებას, რომ თითქოს ჩვენ „ისტორიის შესავალ კარებს ვერ გავცდით“ და რომ „ჩვენი ისტორია რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგრეული შენობა“. „ს. დანელიას შრომის ეს დებულებები, – შენიშნავს ე. კოდუა, – წინააღმდეგობაშია როგორც ამ შრომის, ისე ს. დანელიას სხვა შრომების ძირითად იდეასთან, რომელიც ჩვენი ეროვნული სულისა და ისტორიული ცხოვრების ნამდვილად ღრმა განჭვრეტასა და გააზრებას ემყარება“<sup>122</sup>. ს. დანელიას გამოკვლევაში ამ დებულებების წინააღმდეგობას მკვლევარი იმ გარემოებით ხსნის, რომ მისთვის განმსაზღვრელი ფაქტებისადმი მიუკერძოებელი მიდგომის ტენდენცია და თვითკრიტიციზმი იყო, რომ მას დადებითი და უაროფითი ერთნაირად გამოჰქონდა სააშკარაოზე და მიღწევებთან ერთად გულახდილად მსჯელობდა ნაკლოვანებებზეც. „მას, როგორც მეცნიერს, – დასძენს მკვლევარი, – მიაჩნდა,

---

<sup>122</sup> ე. კოდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 33-34.

რომ სიმართლე, როგორი მწარეც არ უნდა იყოს იგი, არ უნდა დაიმალოს...”<sup>123</sup>

ეს თვალნათლივ ჩანს კანტის ერთი გამოთქმის მიმართ ს. დანელიასეულ კრიტიკულ შეფასებაში. მოაზროვნე მიიჩნევს, რომ კანტის გამოთქმა – „ნუ ლაპარაკობ ყველაფერს, რასაც ფიქრობ“, – არ არის მთლად სწორი აფორიზმი. მეცნიერი ვაღდებულია თქვას ყველაფერი, რასაც ის ფიქრობს მეცნიერების საკითხებზე. მეცნიერს არა აქვს უფლება, სიჩუმიტ ჩაუაროს მეცნიერების ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებ მას, მისივე რწმენით, შემუშავებული აქვს გარკვეული მეცნიერული შეხედულება. შესაძლებელია მეცნიერს არ ჰქონდეს თავისი შეხედულების სრულად გამოქვეყნების საშუალება, მაგრამ ის უნდა ცდილობდეს თავისი მეცნიერული შეხედულების გამოქვეყნებას, თუკი მას არ სურს მეცნიერის წოდებას უღალატოს<sup>124</sup>.

ქართველი ფილოსოფოსის სოციოლოგიური შეხედულებების ანალიზისას პროფ. ე. კოდუა მიუთითებს, რომ ს. დანელიას ეთიკა აგებული იყო პრინციპზე – „მოყვარეს პირში უძრახე“. ქართველი ერის წარუმატებლობა იყო შედეგი იმისა, რომ ჩვენ თვითკრიტიკული არ ვიყავით ჩვენი ისტორიის მიმართ, გვიყვარდა მისი წარმოსახვა შელამაზებულად, რომ, თითქოს, ჩვენი წარსული გამარჯვებათა უწყვეტი ჯაჭვია<sup>125</sup>. სხვანაირად ფიქრობდა სერგი დანელია და ამიტომაც წერდა კიდევ: „ჩვენი ისტორია რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგრეული შენობაა“, და რომ ქართველი ერი ისტორიის შესავალ კარებს ვერ გასცდა. ნაშრომში – „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, მოცემული კრიტიკული პათოსი მის ავტორს აახლოებს დიდი ილიას პოზიციასთან: „საკუთარი ერი-

---

<sup>123</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>124</sup> ე. კოდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 34.

<sup>125</sup> იქვე, გვ. 35.

სადმი სიყვარულის შეხამება ერისადმი კრიტიკულ პოზიციასთან ახასიათებდა ყველა ერის დიდ შვილს. თუ ქართველი ერისათვის ასეთი იყო დიდი ილიას პოზიცია, რუსეთისთვის ასეთი იყო დოსტოვესკის, გერმანელებისთვის კი შოპენჰაუერისა და ნიცშეს პოზიცია. ერის ყოფიერების კრიტიკულ განხილვას იმით ჰქონდა ღირებულება, რომ ერს აფხიზლებდა თვითკმაყოფილების გრძნობისაგან და მოუწოდებდა იმაზე მეტის შექმნისკენ, რაც შექმნა. სწორედ ერის საბრძოლო სულისკვეთების ამადლებას ემსახურებოდა ს. დანელიას პოზიციაც, და ყველა იმ მოაზროვნისაც, რომლებიც ს. დანელიასთან ერთად ნიჰილისტებად და კოსმოპოლიტებად მონათლეს 40-იანი წლების დასასრულის”<sup>126</sup>.

სერგი დანელიას სიტყვები, რომ საქართველოს ისტორია ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგრეული შენობაა, და რომ ერთიანი გაბმული, უწყვეტი ჯაჭვი არ არის, იგივეა, რაც ილიას მიერ ლექსებში – „რა ვაკეთეთ, რას ვშერებოდი“ და „ბედნიერი ერი“, გამოხატული კრიტიკული პოზიცია ქართველი ერისა და საქართველოს ისტორიისადმი. ეს არის ბრძოლა ლუარსაბ თათქარიძეობის, კულტურისა და ადამიანის სიკვდილის მაუწყებელი თვითკმაყოფილების, გულგრილობისა და უძრაობის წინააღმდეგ.

ე. კოდუას სავსებით მართებული შეფასებით, ქართველმა მოაზროვნემ – სერგი დანელიამ შეძლო დოგმატიზმის გადალახვა და კრიტიციზმის დამკვიდრებით შეეცადა, რომ გარკვეული ბიძგი მიეცა სოციალური აქტივობისთვის. მაშასადამე, მისი კრიტიციზმი არ უნდა აღვიჭვათ როგორც ნიჰილიზმის გამოხატულება და უმოქმედობის ქადაგება. პირიქით – უფრო მეტი აქტივობისკენ მოწოდებით ერს ეძლეოდა მისი ყოფიერების საზრისის განხორციელების შესაძლებლობა<sup>127</sup>.

---

<sup>126</sup> იქვე, გვ. 36.

<sup>127</sup> იქვე, გვ. 36-37.

შესაძლებელია ამ თვალსაზრისით გარკვეული პარადღელი გაავალდოთ რუსი ფილოსოფოსის – ჩაადაევის ნააზრევთან, რომელიც კრიტიკულად აღიქვამდა რუსული სულის დახასიათებას და შეულამაზებლად წარმოაჩენდა ნაშრომში – „მეშლილის აპოლოგია“. „სამშობლოსადმი სიყვარული მშვენიერი საქმეა, მაგრამ არის უფრო მშვენიერი – ეს არის ჭეშმარიტების სიყვარული... არა სამშობლოსი, არამედ ჭეშმარიტების გზას მიყვავართ ზეცამდე. მე ვერ ვისწავლე ჩემი სამშობლოს დახუჭული თვალებით, თავდახრილად და მოკუმული ტუჩებით სიყვარული“.

ე. კოდუა აღნიშნავს, რომ ს. დანელიას სიცოცხლის საზრისს მეცნიერების სამსახური წარმოადგენდა, თუმცა მის ცხოვრებაში პოლიტიკურ მოღვაწეობას და ღირებულებასაც გარკვეული ადგილი ეკავა. ეს რომ პოლიტიკური მოღვაწეობის სურვილით არ იყო განპირობებული, ჩანს თვით მისი გადაწყვეტილებიდან, როცა უარი თქვა დამუფძნებელი კრების წევრობის კანდიდატად დასახელებაზე. „მას კრიტიკული პოზიცია ჰქონდა ყველა მთავრობის მიმართ, მაგრამ მთავრობაში მოღვაწეობის სურვილის გარეშე“<sup>128</sup>.

იმის მიუხედავად, რომ მას პოლიტიკური კარიერა არ იზიდავდა, ე. კოდუას შეფასებით, პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმით ს. დანელიამ შეძლო გარკვეული პოლიტიკური შეხედულების შემუშავება. მეცნიერულ და პოლიტიკურ ასპარეზზე უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობით იგი ქართველი ერის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მიღწევას ისახავდა მიზნად.

ს. დანელია რუსული ნაციონალიზმის გამტარებლებლად მიიჩნევდა ბოლშევიკებს და მკაცრად ილაშქრებოდა რუსული იმპერიალისტური, დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ, დიდმპყრობელობის სწრაფვას ექსპანსიისაკენ კი რუსული სუ-

---

<sup>128</sup> იქვე, გვ. 37.

ლის ერთ-ერთ ძირითად ნაკლად აცხადებდა<sup>129</sup>.

რუსული სულის ს. დანელიასეული დახასიათება ე. კოდუას გამოკვლევაში გაანალიზებულია თვით რუსი მოაზროვნეების – დოსტოევსკის, ბერდიაევისა და ჩაადაევის კრიტიკული ნააზრევის ფონზე. ქართველი მოაზროვნე რუსეთის შესახებ ბევრს ვერაფერს იტყოდა ახალს და იმაზე მეტს უარყოფითი თვალსაზრისით, რაც უკვე თვით რუსებს ჰქონდათ ნათქვამი. თქმულის საილუსტრაციოდ ე. კოდუა რამდენიმე ციტატას მოიხმობს კრიტიკული ცნობიერებით გამორჩეული ბერდიაევისა და ჩაადაევის ნაშრომებიდან.

რუსი ერისა და რუსული სულის კრიტიკა სერგი დანელიას გადმოცემული აქვს 1920 წელს გამოქვეყნებულ წერილების სერიაში – „ბოლშევიზმი და საქართველო“. გასული საუკუნის დასაწყისში გამოთქმული ეს მოსაზრებები, ე. კოდუას შეხედულებით, „მთლიანად ემთხვევა ბერდიაევის ნააზრევს, როგორც რუსული სულის და სივრცის კავშირზე, ასევე რუსის უუნარობაზე, ფორმა მიანიჭოს საკუთარ სინამდვილეს“<sup>130</sup>.

ს. დანელია რუსული სულის ერთ-ერთ ნიშნად, რუსეთისათვის დამახასიათებელ მოვლენად ნიჰილიზმს მიიჩნევს, რაც ამ ფორმით უცხოა ევროპისთვის. რუსები, როგორც დოგმატური რელიგიური მოაზროვნენი, ამბოხის მოყვარულები არიან, რაც იწვევს მათში საპირისპირო თვისებებს. რუსები ორთოდოქსები, ერეტიკოსები, გამთიშველები, აპოკალიპტიკოსები და ნიჰილისტები არიან და ამ მრავალფეროვნებაში ავლენენ რუსი ხალხისათვის დამახასიათებელ ერთ საერთო თვისებას – ანტისახელმწიფოებრიობას და ანარქისტულ მიდრეკილებას. ამასთანავე, მათში მძვინვარე დესპოტური სული ქმნის რუსეთის ისტორიის ორ უკიდურესობას – ანარქიზმსა და დესპო-

---

<sup>129</sup> იქვე, გვ. 37-38.

<sup>130</sup> იქვე გვ. 49.



ტიზმს<sup>131</sup>. ამდენად, დაასკვნის პროფ. ე. კოდუა, – ს. დანელიას თვალსაზრისი სრულ თანხმობაშია თვით რუსი ერის წარმომადგენელთა მიერ მოცემულ დახასიათებასთან<sup>132</sup>.

რუსი და ქართველი ხალხის დაპირისპირება ს. დანელიას ნაშრომში გაანალიზებულია ევროპასთან მიმართებაში. ორივეს ისა აქვს საერთო, რომ საქართველოც და რუსეთიც ეწინააღმდეგება ევროპას, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ „რუსი უარყოფს ევროპელს, ქართველი ევროპული კულტურის დაცვის საქმეში უფრო ევროპელია, ვიდრე თვით ევროპელები“, – დაასკვნის ე. კოდუა<sup>133</sup>.

ე. კოდუას გამოკვლევაში მოცემულია მსჯელობა დიდი ქართველი ფილოსოფოსის ნაციონალიზმზე. აღნიშნულია, რომ ს. დანელია მეცნიერული კვლევისას ხშირად მიმართავდა პარალელებს მეგრულსა და ევროპულ ენებს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ მიმართებით ვერ დაიმოწმებდა სათანადო მაგალითებს ქართული ენიდან. როგორც საქართველოს, ისე მისი ნაწილის – სამეგრელოს მიმართ ყოველ კნინობით გამოსვლას, ვისგანაც არ უნდა ჰქონოდა ასეთ შემთხვევას ადგილი, სერგი დანელია მტკივნეულად განიცდიდა და პრინციპულად კრიტიკულად აღიქვამდა. ამ თვალსაზრისით ე. კოდუას წიგნში მოთხრობილია სერგი დანელიას მიერ კუტანის წინააღმდეგ გალაშქრება, ასევე მისი კრიტიკული პოზიცია დიდი ინგლისელი ემპირიკოსის – ჯონ ლოკის წინააღმდეგ. ლოკი მეგრელების მაგალითზე აღნიშნავდა, რომ სამეგრელოს ქრისტიანი მცხოვრებნი თავიანთ შვილებს ცოცხლად ისე მარხავენ, რომ სინდისის ქენჯნას არ გრძნობენ<sup>134</sup>. ამის საპასუხოდ, – დასძენს ე. კოდუა, – სერგი დანელიას შეეძლო მიე-

---

<sup>131</sup> იქვე, გვ. 53-54.

<sup>132</sup> იქვე, გვ. 55.

<sup>133</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>134</sup> Д. Локи, Избранные философские произведения. М., 1960, стр. 98.

თითებიან საკუთარ არსებობაზე და ეთქვა, რომ მის მშობლებს ის ცოცხლად არ დაუმარხავთ, და მაშასადამე, ის ცოცხალია<sup>135</sup>.

სერგი დანელია ეროვნულ თვითიდენტიფიცირებას თავისი მეგრელობით ახდენდა. აღნიშნულის ფონზე ე. კოდუა საჭიროდ მიიჩნევს საკითხის შემდეგი სახით დაყენებას: ნიშნავს თუ არა სეპარატიზმს ს. დანელიას მიერ მეგრული ზნე-ჩვეულებების, ხალხური სიბრძნისა და ენის დაცვა-გამოყენება, ან კიდევ კრიტიკული გამოსვლა იმათ წინააღმდეგ, ვინც მეგრულს ამცირებდა? „არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ყველა კრიტიკული შენიშვნა, მიმართული საკუთარი ერის, თუ კულტურის წინააღმდეგ, სერგის მიერ რეფლექსირებული იყო და ემსახურებოდა ქართული კულტურის დაცვას. მაშინაც, როდესაც მეგრულს იცავდა, სერგი ხელმძღვანელობდა პრინციპით, რომ მეგრული ქართული კულტურის ნაწილია და მისი დაცვა მთელი ქართული კულტურის დაცვის ერთ-ერთი გზაა“<sup>136</sup>.

საკუთარი კუთხისადმი სერგი დანელიას განსაკუთრებული სიყვარულის უკეთ წარმოსაჩენად პროფ. ე. კოდუა შენიშნავს, რომ საქართველო მრავალი ეთნოჯგუფისაგან შედგება და ამ ჯგუფის ყოველ წარმომადგენელს უყვარს თავისი ქვეყანა, როგორც თავისი სამშობლო, მაგრამ ამ სიყვარულში უფრო დიდ გრძნობას მშობლიური კუთხის მიმართ ავლენს, იმ დასახლებების, უბნის, ქუჩისა და კარ-მიდამოს მიმართ, სადაც დაიბადა, აღიზარდა და ცხოვრობს. სამშობლო ხომ სწორედ იმ კერიიდან იწყება, სადაც ადამიანი იბადება, ფეხს იდგამს და ლაპარაკს იწყებს, მშობლიური გარემოს გარეთ მოხვედრილს უორკეცდება სიყვარულის გრძნობა თავის სამშობლოსა და იმ კუ-

---

<sup>135</sup> ე. კოდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 81, 83-84.

<sup>136</sup> იქვე, გვ. 86.

თხისადმი, სადაც გაიზარდა და ფეხი აიდგა<sup>137</sup>.

„რამდენად დიდი იყო მშობლიური კუთხისადმი სერგის სიყვარული, – წერს ე. კოდუა, – ამას მოწმობს მისი რეაგირება ილიას ნათქვამზე – სამეგრელოში მოვედი და აქ ვნახე საქართველო. რეგიონის მაცხოვრებლებმა ილიას ეს გამოთქმა აღფრთოვანებით მიიღეს. სერგიმ კი ამას კრიტიკულად შეხედა და თავის დღიურში წერს: „რატომ უნდა გააკვირვებოდა სამეგრელოში საქართველო რომ იხილა, განა არ იცოდა სად მიდიოდა?“<sup>138</sup>.

ს. დანელიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას ფასდაუდებელი ამაგი დასდო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ედუარდ კოდუამ (1929-2002 წწ.). 1975 წელს გამოიცა მისი ნაშრომი „სერგი დანელია“. 1978 და 1988 წლებში განხორციელდა ამ ნაშრომის შევსებული გამოცემა, ხოლო 1998 წელს მკვლევარმა ასევე ცალკე წიგნად გამოსცა „სერგი დანელიას ეროვნული თვალსაწიერი“. სახელოვანი მეცნიერის ეროვნული თვალთახედვის ჭრილში საფუძვლიანადაა გაანალიზებული შემდეგი საკითხები: ს. დანელიას სოციოლოგიური შეხედულებანი, მისი პოლიტიკური მრწამსი (რუსული სულის დახასიათება და ბოლშევიზმისა და საქართველოს შეუთავსებლობა), ს. დანელია ეროვნული მოძრაობის შუაგულში, ს. დანელიას ნაციონალიზმი.

ამჯერად მიზნად ვისახავთ, ყურადღება გავამახვილოთ საკითხზე, თუ როგორ ესახება ე. კოდუას XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის დიდი წარმომადგენლის, პროფესორ ს. დანელიას ეროვნული თვალთახედვის ზოგიერთი ასპექტი და ამ სახით წარმოვაჩინოთ ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში არსებული შეხედულებები მეცნიერის ეროვნ-

---

<sup>137</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>138</sup> იქვე, გვ. 117.

ნული კონცეფციის შესახებ.

როგორც გამოკვლევაშია აღნიშნული, სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლისას ს. დანელია დიდ დაინტერესებას იჩენდა ქართული სინამდვილისა და მისი განვითარების ტენდენციების კვლევის მიმართ. ის ნაკლებად იყო დაინტერესებული მსოფლიოს სოციალური პრობლემებისა და სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების დაფუძნების კვლევით. ს. დანელია ზოგიერთ გამოკვლევაში ეხებოდა საქართველოს სოციალური ყოფის საკითხებს, ხალხის დასაქმების ძირითად სფეროებს. ქართულ სინამდვილეში ძველისა და ახლის ბრძოლის, საქართველოს სხვადასხვა პარტიების მიერ სახელმძღვანელოდ წარმოდგენილი პოლიტიკური პროგრამების ანალიზით ს. დანელიას ადრინდელ გამოკვლევებში წარმოდგენილია ქართველი მოსახლეობის მოძრაობის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობის, სოციალური სტრუქტურისა და მისი განვითარების პრობლემური საკითხები. ქართველი ერის აწმყო და მომავალი – ასეთია სახელგანთქანი მოაზროვნის მეცნიერული ინტერესის საგანი. ამ მიმართულებით ე. კოდუა იმოწმებს ს. დანელიას პირველ სოციოლოგიურ გამოკვლევას (მონოგრაფიას) – „საქართველო 1905 წლის შემდეგ“, რაც 1914 წელს ს. დარიანის ფსევდონიმით დაიბეჭდა რუსულ ენაზე, ქუთაისში. ქართული სინამდვილის სოციოლოგიურ ანალიზს ეძღვნება აგრეთვე ს. დანელიას კიდევ ორი წიგნაკი: „საქართველოს ეკონომიური ვითარებისათვის“, გამოცემული 1920 წელს, და „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, გამოცემული 1927 წელს, ასევე რამდენიმე საგაზეთო წერილი და მის არქივში დაცული, გამოუქვეყნებელი სტატიები<sup>139</sup>.

ე. კოდუა იმოწმებს და მეცნიერის სოციოლოგიური ნააზრების შექმნე განიხილავს ს. დანელიას ხელნაწერს –

---

<sup>139</sup> ე. კოდუა, სერგი დანელიას ეროვნული თვალსაწიერი, თბ., 1998, გვ. 3-4.

„Грузинская (наша) социал-демократия и национализм”. „იმედინის” ფსევდონიმით ხელმოწერილი ეს გამოკვლევა 1912 წელს, ფოთშია დაწერილი და მიმართულია ნოე ჟორდანიას მიერ გამოთქმული იმ მოსაზრების წინააღმდეგ, რომ თითქოს ქართველებს ეროვნული გრძნობა არ გააჩნიათ. ს. დანელია კარლ მარქსის თეორიის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დაასკვნია, რომ ეს თეორია არამეცნიერულია, მეტაფიზიკურია და, შესაბამისად, ქართული სინამდვილისათვის აბსოლუტურად გამოუსადეგარი და თავსმოხვეულია.

ს. დანელიას მეცნიერული მსჯელობის ამოსავალი ქართული მოძრაობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათით განსაზღვრული ინტერესები იყო. ს. დანელია მკაცრად ილაშქრებს ნ. ჟორდანიას ბროშურაში („ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი”) წამოყენებული პირველი თეზისის წინააღმდეგ, რომლის თანახმად ქართველ ერს არ გააჩნდა ეროვნული თვითცნობიერება. ამის ახსნას ნ. ჟორდანია შემდეგი არგუმენტით ცდილობდა: რომ საქართველოში ნაციონალისტური პარტიები არ სარგებლობდნენ დიდი მხარდაჭერით და, რომ 1905 წლის რევოლუციაში გლეხობამ და ინტელიგენციამ მხარი დაუჭირა ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატებს. ამ თეზისს ს. დანელია უპირისპირებს იმ თვალსაზრისს, რომ ქართველ ხალხს აქვს ეროვნული თვითცნობიერება და სოციალ-დემოკრატებისადმი ქართველების სიმპათია არ იყო განპირობებული ეროვნული თვითცნობიერების უქონლობით. ს. დანელიას დაკვირვებით, ერს, როგორც მყარ ერთობას და თავისებურ ორგანიზმს, აქვს სხეული და სული. თვითცნობიერებაში სწორედ ერის სული მოიაზრება, რომლის გარეშეც ორგანიზმის არსებობა შეუძლებელია.

ქართული სინამდვილის შესახებ სერგი დანელიას მიერ წარმოდგენილ ანალიზს დადებითად აფასებდა ნიკო ნიკოლა-

ძე, ხელნაწერზე გაკეთებულ მინაწერებში<sup>140</sup>.

თუ რატომ გაჰყვა ქართველი ინტელიგენცია სოციალ-დემოკრატიას და რატომ არ ახასიათებს ამ ინტელიგენციას ქართველი ხალხის შესაფერისი სიმყარე, ს. დანელიას მიერ ახსნილია იმ მიზეზით, რომ ქართველი ინტელიგენცია ჩამორჩენილია ევროპულ ინტელიგენციასთან შედარებით, ხოლო ეს ჩამორჩენა განათლების სისტემის ნაკლოვანებების შედეგია<sup>141</sup>.

სავსებით სამართლიანია სერგი დანელიას წუხილი, რომ ქართველი ინტელიგენცია უნიადაგოა და ანგარიშს არ უწევს საკუთარ სინამდვილეს. სინამდვილე კი ისაა, რომ მას ტექნიკურად გადმოაქვს სხვა სინამდვილის მიმართ შექმნილი თეორიები.

ედუარდ კოდუა ქართული სინამდვილის ს. დანელიასეული ანალიზის უკეთ წარმოსახენად ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხზე. როგორია ცნობილი მოაზროვნის შეხედულება ერთი შეხედვით ძნელად გასამიჯნავ ორ ცნებაზე – **ქართველი ინტელიგენტი** და **ქართული ინტელიგენტი**. „ქართველი ინტელიგენტი გაცილებით მეტია, ვიდრე ქართული ინტელიგენტი. ქართველი ინტელიგენტი, ქართული ინტელიგენტის გარდა, გულისხმობს იმასაც, ვინც რუსეთის გუბერნიებში სახელმწიფო სამსახურშია. ქართული ინტელიგენტი მხოლოდ ისაა, ვინც თავისი ცხოვრება ქართველი ხალხის სამსახურს მოახმარა. ქართველი ინტელიგენტის დიდი ნაწილი სამოღვაწეოდ რუსეთს მიდიოდა, რადგან საქართველოში მისთვის არ იყო ასპარეზი, არ ჰქონდათ პრესა, სადაც მათი დასაქმება შეიძლებოდა, არც განვითარებული სავაჭრო და სამრეწველო ცხოვრება. ამიტომ ქართველი ინტელიგენტი საკუთარ ნიადაგს

---

<sup>140</sup> მსჯელობისათვის იხ მ. პაჭკორია, პ. რატიანი, ნიკო ნიკოლაძის უცნობი სტრიქონები”. ჟურნ. „ცისკარი”, №3, 1972, გვ. 133-137

<sup>141</sup> იქვე, გვ. 7.

სწედებოდა და უნიადაგო ცხოვრებას ეწეოდა რუსეთში”<sup>142</sup>.

ს. დანელიას აზრით, ქართველი სოციალ-დემოკრატები დროზე ადრე მოფრენილი და პირობების არქონის გამო გაყინული მერცხლები არიან. სოციალ-დემოკრატები ქართულ სინამდვილეს დაშორებულნი არიან სოციალიზმით და კოსმოპოლიტიზმით. ქართველი მოაზროვნე მიიჩნევდა, რომ ერთ-ერთი რეალური და მისაღები ძალა იყო ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა. ს. დანელია დადებით მხარეს ხედავს სოციალისტ-ფედერალისტების ნააზრევშიც, განსაკუთრებით მათი ნაციონალიზმის სახით, თუმცა ამ პარტიასაც სინამდვილიდან მოწყვეტილად მიიჩნევს, „ს. დანელია ამოდის კანტის პრინციპიდან – „მაქსიმა, რაც უფრო კონკრეტულია, მით უფრო კარგია”. ამ პრინციპით ხელმძღვანელობს, დანელიას აზრით, ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც ეწაფება განათლებას, საკუთარი თავის გაჯანსაღებასა და გამდიდრებას. შეიძლება ეს წვრილმანად მოეჩვენოს, მაგრამ ასეთი წვრილმანები, დანელიას აზრით, მომავალი დიდი საქმეების წინამძღვარი და ხილია. პრაქტიკული საქმეებისაკენ სწრაფვა ქართველ ინტელიგენციას უფრო ნიკო ნიკოლაძესთან აახლოებს, ვიდრე ნოე ჟორდანიასთან”<sup>143</sup>.

ე. კოდუა განიხილავს ქართველი მოაზროვნის შეხედულებებს ქართველი თავად-აზნაურების, გლეხებისა და სამღვდლოების შესახებ. აღნიშნავს, რომ სოციალური პრობლემების გააზრების ცდა მოცემულია 1920 წელს გამოცემულ წიგნში – „საქართველოს ეკონომიური ვითარებისათვის”. მასში გამოყენებულია სოციალური სინამდვილისადმი კრიტიკული ანალიზისა და სოციალური მოვლენების კვლევის მეთოდები, რომლებიც მიესადაგებოდა საქართველოს სინამდვილეს.

ს. დანელიას სოციოლოგიური კონცეფცია, პროფ. ედუარდ

---

<sup>142</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>143</sup> ე. კოდუა, დასახლებული ნაშრომი, გვ. 12.

კოდუას სამართლიანი დაკვირვებით, ვლინდება სოციალ-დემოკრატიებისა და ფედერალისტების სოციოლოგიურ შეხედულებათა კრიტიკაში. ს. დანელია აკრიტიკებს ამ მხრივ არჩილ ჯორჯაძისა და მიხაკო წერეთლის ორგანიციზმს, თუმცა ფედერალისტებთან უფრო მეტ სიახლოვეს ავლენს, ვინაიდან, შენიშნავს ე. კოდუა, ამოსავალი წერტილი უფრო საერთო აქვთ ერის სახით, ისე, როგორც იდეალი და საზრისიც, რომელიც ერის ყოფიერებას უკავშირდება... დანელია ფედერალისტებთან ერთად, ერის ყოფიერებიდან ამოდის, თუმცა იდეალად და საზრისად ერის დასახევაშიც მისი შეხედულება განსხვავდება ფედერალისტთა შეხედულებებისაგან<sup>144</sup>.

ფედერალისტთა და სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკური პრინციპების საფუძვლიანი კრიტიკა, ე. კოდუას დაკვირვებით, ს. დანელიას მიერ ოთხ პუნქტად არის ჩამოყალიბებული:

1. ქართველი ერი დამოუკიდებელი ორგანიზმია;
2. ამ ორგანიზმის განვითარება ევროპული ეტაპის იქნება;
3. ეს განვითარება საქარხნო მრეწველობის მიმართულებით მოხდება;
4. ამ განვითარებას მოჰყვება კაპიტალის კონცენტრაცია და სოციალისტური რევოლუცია<sup>145</sup>.

საგულისხმოა სერგი დანელიას შემდეგი დაკვირვება: საქართველოს, როგორც ერთიან ეკონომიკურ ორგანიზმს, არ სჭირდება ორგანიზმისთვის საჭირო ყველა ფუნქციის განვითარება, მით უმეტეს, ისეთის, როგორიცაა მრეწველობა, რადგან საქართველოს მრეწველობის ტრადიცია არ გააჩნია. მას ხელსაყრელი პირობები აქვს სასოფლო-სამეურნეო და საკურორტო მიმართულებით განსავითარებლად, ვინაიდან ორივეს პირობები და ტრადიცია აქვს სხვაზე მეტადაც.

ე. კოდუა მართებულად მიიჩნევს და სავსებით იზიარებს

---

<sup>144</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>145</sup> იქვე, გვ. 20.



ორგანიციზმის ს. დანელიასეულ კრიტიკას და, საერთოდ ბიოლოგიზმს სოციოლოგიაში; იმოწმებს ციტატას ქართველი მოაზროვნის გამოკვლევიდან, რომ „ერის შედარება ორგანიზმთან, ან კიდევ საერთოდ ეროვნული ვითარების აღსანიშნავად ბიოლოგიური ტერმინების გამოყენება, უბრალო მეტაფორაა და არა ჭეშმარიტება“<sup>146</sup>.

ე. კოდუა აღნიშნავს, რომ ქართველი მოაზროვნისთვის მიუღებელია ერის იდეის გაფეტიშება და იმ კერპად იქცევა, რომელსაც მსხვერპლად შეეწირება ცალკეული ინდივიდი და მისი ინტერესები. პიროვნების ხარჯზე იდეალის განხორციელება და ასეთი ნაბიჯით კაცობრიობის მთელი პროგრესი ბავშვის ერთ ცრემლადაც არ ღირს. პიროვნების ინტერესები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კლასობრივ და ეროვნულ ინტერესებს, ვინაიდან ერი არ დგას პიროვნებაზე მალდა. სერგი დანელია წინააღმდეგია ადამიანის დამონებისა და გაუცხოების ყველა ფორმისა. სწორედ ამიტომ ცდილობს სოციალ-დემოკრატიებისა და სოციალისტ-ფედერალისტებისათვის საერთო, ზემოთ დასახელებული ოთხივე პრინციპის უკუგდებას<sup>147</sup>.

ს. დანელია ქართული სინამდვილის შესახებ ამ თეორიების უარყოფითა და დაძლევიტ შეეცადა ქართული სინამდვილის განვითარების პოზიტიური გზების დასახვას<sup>148</sup>.

ელჟარდ კოდუა განიხილავს სერგი დანელიას ავტორობით ცალკე წიგნაკად გამოქვეყნებულ კიდევ ერთ გამოკვლევას („ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“). მასში ვაჟას პოეზიის ფილოსოფიურ ანალიზთან ერთად მოცემულია ისტორიული ყოფიერების საზრისის, ისტორიის საზრისის ცნების გარკვევის

---

<sup>146</sup> ს. დარიანი, საქართველოს ეკონომიური ვითარებისათვის, თბ., 1920, გვ. 31; მსჯელობისთვის იხ. ე. კოდუა, სერგი დანელიას ეროვნული თვალსაწიერი, გვ. 20.

<sup>147</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>148</sup> იქვე, გვ. 23.

ცდა.

ე. კოდუას შეხედულებით, ვაუას მსოფლმხედველობა მკვლევარს წარმოდგენილი აქვს, როგორც თავისებური წრებრუნვის თეორია, ეს წრებრუნვა კი წარმოადგენს უსასრულო მოძრაობას. მასში მოცემულია წარმართული პოლითეისტური და ქრისტიანული მონოთეისტური სარწმუნოებების ბრძოლის ანალიზი.

ერის ყოფიერებისა და მისი საზრისის შესახებ ს. დანელიას თვალსაზრისი შემდეგი სახისაა: ადამიანმა ადამიანურ სამყაროში, ხოლო ერმა კულტურისა და ცივილიზაციის სფეროში უნდა განახორციელოს თავისი ყოფიერება და საზრისი. ე. კოდუა არ იზიარებს ს. დანელიას მოსაზრებას, რომ თითქოს ჩვენ „ისტორიის შესავალ კარებს ვერ გავცდით” და რომ „ჩვენი ისტორია რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგრეული შენობა”. „ს. დანელიას შრომის ეს დებულებები, – შენიშნავს ე. კოდუა, – წინააღმდეგობაშია როგორც ამ შრომის, ისე ს. დანელიას სხვა შრომების ძირითად იდეასთან, რომელიც ჩვენი ეროვნული სულისა და ისტორიული ცხოვრების ნამდვილად ღრმა განჭვრეტასა და გააზრებას ემყარება”<sup>149</sup>. ს. დანელიას გამოკვლევაში ამ დებულებების წინააღმდეგობას მკვლევარი იმ გარემოებით ხსნის, რომ მისთვის განმსაზღვრელი ფაქტებისადმი მიუკერძოებელი მიდგომის ტენდენცია და თვითკრიტიციზმი იყო, რომ მას დადებითი და უაროფითი ერთნაირად გამოჰქონდა სააშკარაოზე და მიღწევებთან ერთად გულახდილად მსჯელობდა ნაკლოვანებებზეც. „მას, როგორც მეცნიერს, – დასძენს მკვლევარი, – მიაჩნდა, რომ სიმართლე, როგორი მწარეც არ უნდა იყოს იგი, არ უნდა დაიმალოს...”<sup>150</sup>

ეს თვალნათლივ ჩანს კანტის ერთი გამოთქმის მიმართ ს.

---

<sup>149</sup> ე. კოდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 33-34.

<sup>150</sup> იქვე, გვ. 34.

დანელიასეულ კრიტიკულ შეფასებაში. მოაზროვნე მიიჩნევს, რომ კანტის გამოთქმა – „ნუ ლაპარაკობ ყველაფერს, რასაც ფიქრობ“, – არ არის მთლად სწორი აფორიზმი. მეცნიერი ვაღ-დებულება თქვას ყველაფერი, რასაც ის ფიქრობს მეცნიერების საკითხებზე. მეცნიერს არა აქვს უფლება, სიჩუმით ჩაუაროს მეცნიერების ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებ მას, მისივე რწმენით, შემუშავებული აქვს გარკვეული მეცნიერული შეხედულება. შესაძლებელია მეცნიერს არ ჰქონდეს თავისი შეხედულების სრულად გამოქვეყნების საშუალება, მაგრამ ის უნდა ცდილობდეს თავისი მეცნიერული შეხედულების გამოქვეყნებას, თუკი მას არ სურს მეცნიერის წოდებას უღალატოს<sup>151</sup>.

ქართველი ფილოსოფოსის სოციოლოგიური შეხედულებების ანალიზისას პროფ. ე. კოდუა მიუთითებს, რომ ს. დანელიას ეთიკა აგებული იყო პრინციპზე – „მოყვარეს პირში უძრახე“. ქართველი ერის წარუმატებლობა იყო შედეგი იმისა, რომ ჩვენ თვითკრიტიკული არ ვიყავით ჩვენი ისტორიის მიმართ, გვიყვარდა მისი წარმოსახვა შელამაზებულად, რომ, თითქოს, ჩვენი წარსული გამარჯვებათა უწყვეტი ჯაჭვია<sup>152</sup>. სხვანაირად ფიქრობდა სერგი დანელია და ამიტომაც წერდა კიდევ: „ჩვენი ისტორია რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგრეული შენობაა“, და რომ ქართველი ერი ისტორიის შესავალ კარებს ვერ გასცდა. ნაშრომში – „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, მოცემული კრიტიკული პათოსი მის ავტორს აახლოებს დიდი ილიას პოზიციასთან: „საკუთარი ერისადმი სიყვარულის შეხამება ერისადმი კრიტიკულ პოზიციასთან ახასიათებდა ყველა ერის დიდ შვილს. თუ ქართველი ერისათვის ასეთი იყო დიდი ილიას პოზიცია, რუსეთისთვის ასეთი იყო დოსტოევსკის, გერმანელებისთვის კი შოპენჰაუერისა და

---

<sup>151</sup> ე. კოდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 34.

<sup>152</sup> იქვე, გვ. 35.

ნიცშეს პოზიცია. ერის ყოფიერების კრიტიკულ განხილვას იმით ჰქონდა ღირებულება, რომ ერს აფხიზლებდა თვითკმაყოფილების გრძნობისაგან და მოუწოდებდა იმაზე მეტის შექმნისკენ, რაც შექმნა. სწორედ ერის საბრძოლო სილისკვეთების ამადლებას ემსახურებოდა ს. დანელიას პოზიციაც, და ყველა იმ მოაზროვნისაც, რომლებიც ს. დანელიასთან ერთად ნიჰილისტებად და კოსმოპოლიტებად მონათლეს 40-იანი წლების დასასრულის”<sup>153</sup>.

სერგი დანელიას სიტყვები, რომ საქართველოს ისტორია ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგრეული შენობაა, და რომ ერთიანი გაბმული, უწყვეტი ჯაჭვი არ არის, იგივეა, რაც ილიას მიერ ლექსებში – „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით” და „ბედნიერი ერი”, გამოხატული კრიტიკული პოზიცია ქართველი ერისა და საქართველოს ისტორიისადმი. ეს არის ბრძოლა ლუარსაბ თათქარიძეობის, კულტურისა და ადამიანის სიკვდილის მაუწყებელი თვითკმაყოფილების, გულგრილობისა და უძრაობის წინააღმდეგ.

ე. კოდუას სავსებით მართებული შეფასებით, ქართველმა მოაზროვნემ – სერგი დანელიამ შეძლო დოგმატიზმის გადალახვა და კრიტიციზმის დამკვიდრებით შეეცადა, რომ გარკვეული ბიძგი მიეცა სოციალური აქტივობისთვის. მაშასადამე, მისი კრიტიციზმი არ უნდა აღვიქვათ როგორც ნიჰილიზმის გამოხატულება და უმოქმედობის ქადაგება. პირიქით – უფრო მეტი აქტივობისკენ მოწოდებით ერს ეძლეოდა მისი ყოფიერების საზრისის განხორციელების შესაძლებლობა<sup>154</sup>.

შესაძლებელია ამ თვალსაზრისით გარკვეული პარალელი გაავალოთ რუსი ფილოსოფოსის – ჩადაევის ნაზრევთან, რომელიც კრიტიკულად აღიქვამდა რუსული სულის დახასიათებას და შეუღლამაზებლად წარმოაჩენდა ნაშრომში – „შემ-

---

<sup>153</sup> იქვე, გვ. 36.

<sup>154</sup> იქვე, გვ. 36-37.

ლილის აპოლოგია”. „სამშობლოსადმი სიყვარული მშვენიერი საქმეა, მაგრამ არის უფრო მშვენიერი – ეს არის ჭეშმარიტების სიყვარული... არა სამშობლოსი, არამედ ჭეშმარიტების გზას მიყვართ ზეცამდე. მე ვერ ვისწავლე ჩემი სამშობლოს დახუჭული თვალებით, თავდახრილად და მოკუმული ტუჩებით სიყვარული”.

ნაშრომის II თავში („სერგი დანელიას პოლიტიკური მრწამსი“) ე. კოდუა აღნიშნავს, რომ ს. დანელიას სიცოცხლის საზღვრის მეცნიერების სამსახური წარმოადგენდა, თუმცა მის ცხოვრებაში პოლიტიკურ მოღვაწეობას და ღირებულებასაც გარკვეული ადგილი ეკავა. ეს რომ პოლიტიკური მოღვაწეობის სურვილით არ იყო განპირობებული, ჩანს თვით მისი გადაწყვეტილებიდან, როცა უარი თქვა დამფუძნებელი კრების წევრობის კანდიდატად დასახელებაზე. „მას კრიტიკული პოზიცია ჰქონდა ყველა მთავრობის მიმართ, მაგრამ მთავრობაში მოღვაწეობის სურვილის გარეშე”<sup>155</sup>.

იმის მიუხედავად, რომ მას პოლიტიკური კარიერა არ იზიდავდა, ე. კოდუას შეფასებით, პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმით ს. დანელიამ შეძლო გარკვეული პოლიტიკური შეხედულების შემუშავება. მეცნიერულ და პოლიტიკურ ასპარეზზე უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობით იგი ქართველი ერის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მიღწევას ისახავდა მიზნად.

ს. დანელია რუსული ნაციონალიზმის გამტარებლებლად მიიჩნევა ბოლშევიკებს და მკაცრად ილაშქრობდა რუსული იმპერიალისტური, დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ, დიდმპყრობელობის სწრაფვას ექსპანსიისკენ კი რუსული სულის ერთ-ერთ ძირითად ნაკლად აცხადებდა<sup>156</sup>.

რუსული სულის ს. დანელიასეული დახასიათება ე. კოდუას გამოკვლევაში გაანალიზებულია თვით რუსი მოაზროვნეების

---

<sup>155</sup> იქვე, გვ. 37.

<sup>156</sup> იქვე, გვ. 37-38.

– დოსტოევსკის, ბერდიაევისა და ჩაადაევის კრიტიკული ნააზრევის ფონზე. ქართველი მოაზროვნე რუსეთის შესახებ ბევრს ვერაფერს იტყოდა ახალს და იმაზე მეტს, უარყოფითი თვალსაზრისით, რაც უკვე თვით რუსებს ჰქონდათ ნათქვამი. თქმულის საილუსტრაციოდ ე. კოდუა რამდენიმე ციტატას მოიხმობს კრიტიკული ცნობიერებით გამორჩეული ბერდიაევისა და ჩაადაევის ნაშრომებიდან.

რუსი ერისა და რუსული სულის კრიტიკა სერგი დანელიას გადმოცემული აქვს 1920 წელს გამოქვეყნებული წერილების სერიაში – „ბოლშევიზმი და საქართველო“. გასული საუკუნის დასაწყისში გამოთქმული ეს მოსაზრებები, ე. კოდუას შეხედულებით, „მთლიანად ემთხვევა ბერდიაევის ნააზრევს, როგორც რუსული სულის და სივრცის კავშირზე, ასევე რუსის უუნარობაზე, ფორმა მიანიჭოს საკუთარ სინამდვილეს“<sup>157</sup>.

ს. დანელია რუსული სულის ერთ-ერთ ნიშნად, რუსეთისათვის დამახასიათებელ მოვლენად ნიჰილიზმს მიიჩნევს, რაც ამ ფორმით უცხოა ევროპისთვის. რუსები, როგორც დოგმატური რელიგიური მოაზროვნენი, ამბოხის მოყვარულები არიან, რაც იწვევს მათში საპირისპირო თვისებებს. რუსები ორთოდოქსები, ერეტიკოსები, გამთიშველები, აპოკალიპტიკოსები და ნიჰილისტები არიან და ამ მრავალფეროვნებაში ავლენენ რუსი ხალხისთვის დამახასიათებელ ერთ საერთო თვისებას – ანტისახელმწიფოებრიობას და ანარქისტულ მიდრეკილებას. ამასთანავე, მათში მძვინვარე დესპოტური სული ქმნის რუსეთის ისტორიის ორ უკიდურესობას – ანარქიზმსა და დესპოტიზმს<sup>158</sup>. ამდენად, დაასკვნის პროფ. ედუარდ კოდუა, – ს. დანელიას თვალსაზრისი სრულ თანხმობაშია თვით რუსი ერის წარმომადგენელთა მიერ მოცემულ დახასიათებასთან<sup>159</sup>.

---

<sup>157</sup> იქვე გვ. 49.

<sup>158</sup> იქვე, გვ. 53-54.

<sup>159</sup> იქვე, გვ. 55.

რუსი და ქართველი ხალხის დაპირისპირება ს. დანელიას ნაშრომში გაანალიზებულია ევროპასთან მიმართებაში. ორივეს ისა აქვს საერთო, რომ საქართველოც და რუსეთიც ეწინააღმდეგება ევროპას, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ „რუსი უარყოფს ევროპელს, ქართველი ევროპული კულტურის დაცვის საქმეში უფრო ევროპელია, ვიდრე თვით ევროპელები“, – დაასკვნის ე. კოდუა<sup>160</sup>.

ე. კოდუას საანალიზო გამოკვლევების ბოლო, IV თავში მოცემულია მსჯელობა დიდი ქართველი ფილოსოფოსის ნაციონალიზმზე. აღნიშნულია, რომ ს. დანელია მეცნიერული კვლევისას ხშირად მიმართავდა პარალელებს მეგრულსა და ევროპულ ენებს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ მიმართებით ვერ დაიმოწმებდა სათანადო მაგალითებს ქართული ენიდან. როგორც საქართველოს, ისე მისი ნაწილის – სამეგრელოს მიმართ ყოველ კნინობით გამოსვლას, ვისგანაც არ უნდა ჰქონოდა ასეთ შემთხვევას ადგილი, სერგი დანელია მტკივნეულად განიცდიდა და პრინციპულად კრიტიკულად აღიქვამდა. ამ თვალსაზრისით ე. კოდუას წიგნში მოთხრობილია სერგი დანელიას მიერ კუტანის წინააღმდეგ გალაშქრება, ასევე მისი კრიტიკული პოზიცია დიდი ინგლისელი ემპირიკოსის – ჯონ ლოკის წინააღმდეგ. ლოკი მეგრელების მაგალითზე აღნიშნავდა, რომ სამეგრელოს ქრისტიანი მცხოვრებნი თავიანთ შვილებს ცოცხლად ისე მარხავენ, რომ სინდისის ქენჯნას არ გრძნობენ<sup>161</sup>. ამის საპასუხოდ, – დასძენს ე. კოდუა, – სერგი დანელიას შეეძლო მიეთითებინა საკუთარ არსებობაზე და ეთქვა, რომ მის მშობლებს ის ცოცხლად არ დაუმარხავთ, და მასსადამე, ის ცოცხალია<sup>162</sup>.

სერგი დანელია ეროვნულ თვითიდენტიფიცირებას თავისი

---

<sup>160</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>161</sup> Д. Локи, Избранные философские произведения. М., 1960, стр. 98.

<sup>162</sup> ე. კოდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 81, 83-84.

მეგრელობით ახდენდა. აღნიშნულის ფონზე ე. კოდუა საჭიროდ მიიჩნევს საკითხის შემდეგი სახით დაყენებას: ნიშნავს თუ არა სეპარატიზმს ს. დანელიას მიერ მეგრული ზნე-ჩვეულებების, ხალხური სიბრძნისა და ენის დაცვა-გამოყენება, ან კიდევ კრიტიკული გამოსვლა იმათ წინააღმდეგ, ვინც მეგრულს ამცირებდა? „არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ყველა კრიტიკული შენიშვნა, მიმართული საკუთარი ერის, თუ კულტურის წინააღმდეგ, სერგის მიერ რეფლექსირებული იყო და ემსახურებოდა ქართული კულტურის დაცვას. მაშინაც, როდესაც მეგრულს იცავდა, სერგი ხელმძღვანელობდა პრინციპით, რომ მეგრული ქართული კულტურის ნაწილია და მისი დაცვა მთელი ქართული კულტურის დაცვის ერთ-ერთი გზაა“<sup>163</sup>.

საკუთარი კუთხისადმი სერგი დანელიას განსაკუთრებული სიყვარულის უკეთ წარმოსაჩენად პროფ. ე. კოდუა შენიშნავს, რომ საქართველო მრავალი ეთნოჯგუფისაგან შედგება და ამ ჯგუფის ყოველ წარმომადგენელს უყვარს თავისი ქვეყანა, როგორც თავისი სამშობლო, მაგრამ ამ სიყვარულში უფრო დიდ გრძნობას მშობლიური კუთხის მიმართ ავლენს, იმ დასახლებების, უბნის, ქუჩისა და კარ-მიდამოს მიმართ, სადაც დაიბადა, აღიზარდა და ცხოვრობს. სამშობლო ხომ სწორედ იმ კერიიდან იწყება, სადაც ადამიანი იბადება, ფეხს იდგამს და ღაპარაკს იწყებს, მშობლიური გარემოს გარეთ მოხვედრილს უორკეცდება სიყვარულის გრძნობა თავის სამშობლოსა და იმ კუთხისადმი, სადაც გაიზარდა და ფეხი აიდგა<sup>164</sup>.

„რამდენად დიდი იყო მშობლიური კუთხისადმი სერგის სიყვარული, – წერს ე. კოდუა, – ამას მოწმობს მისი რეაგირება ილიას ნათქვამზე – სამეგრელოში მოვედი და აქ ვნახე საქართველო. რეგიონის მაცხოვრებლებმა ილიას ეს გამოთქმა აღ-

---

<sup>163</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>164</sup> იქვე, გვ. 106.



ფრთოვანებით მიიღეს. სერგიმ კი ამას კრიტიკულად შეხედა და თავის დღიურში წერს: „რატომ უნდა გააკვირვებოდა სამეგრელოში საქართველო რომ იხილა, განა არ იცოდა სად მიდიოდა?“<sup>165</sup>.

ედუარდ კოდუას გამოკვლევა მნიშვნელოვანი შენაძენია სახელოვანი მოაზროვნის ფილოსოფიური მემკვიდრეობისა და პოლიტიკური შეხედულებების გასააზრებლად. თუმცა ამ მიმართულებით კვლევა უფრო მეტად წარმოაჩენს სერგი დანელიას განუზომელ ამაგს ქართველი ერისა და, ზოგადად, ქართული მეცნიერების წინაშე.

რ. გოლეთიანის შეხედულებით, საბჭოთა პერიოდის ქართულ ფილოსოფიაში ბევრი საკითხი მრუდე სარკიდან იყო დანახული და შეფასებული. ქართველ მოაზროვნეებს სხვა გზა არ ჰქონდათ და იძულებული იყვნენ, რომ მარქსიზმის კლასიკოსთა ცალკეული დებულებები თავიანთი იდეების საფარველად გამოეყენებინათ. ს. დანელიას ადრინდელი სოციალური იდეების მარქსისტული იდეოლოგიით შეუზღუდველი ანალიზი მოცემულია ე. კოდუას წიგნში – „სერგი დანელიას ეროვნული თვალსაწიერი“. მასში მეცნიერის მოღვაწეობის ადრინდელი პერიოდი სწორედ ზოგიერთი, მანამდე უცნობი ასპექტითაა წარმოდგენილი. ს. დანელია ქართულ სინამდვილესა და მისი განვითარების პერსპექტივებზე, განსაკუთრებით ეროვნულ საკითხზე გამოთქმული შეხედულებებით აშკარად გამოხატავდა დაპირისპირებას მარქსიზმისადმი. „ს. დანელიას მიერ, ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების დამყარებამდე გულწრფელად გამოთქმული, პატრიოტული მიზანმიმართულების დებულებებს, რომ „სოციალიზმი და ქართული ეროვნული ფსიქიკა ისე ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს, როგორც დღე – ღამეს“, რომ „ბოლშევიზმი, როგორც სოციალიზმი, მიუღებელია ქართველი ერისათვის“, – შემდგომში კომუნისტური

---

<sup>165</sup> იქვე, გვ. 117.

მმართველობა მისადმი ზიზღის, უხეში დამოკიდებულების, მეცნიერის შევიწროების საბაზად იყენებდა”, – წერს რ. გოლე-თიანი<sup>166</sup>.

უნდა ითქვას, რომ ბონდო კარტოზიასა და ედუარდ კოდუას გამოკვლევები მნიშვნელოვანი შენაძენია სახელოვანი მოაზროვნის ფილოსოფიური მემკვიდრეობისა და პოლიტიკური შეხედულებების გასააზრებლად. თუმცა ამ მიმართულებით მეცნიერული მუშაობის წარმართვა უფრო მეტად წარმოაჩენს სერგი დანელიას განუზომელ ამაგს ქართველი ერისა და, ზოგადად, ქართული მეცნიერების წინაშე<sup>167</sup>.

ბ. კარტოზია ერთ-ერთ ნაშრომში ანალიზებს ხელოვნების თეორიის საკითხებს XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის მამამთავრის – შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში. მკვლევარი ფიქრობს, რომ ხელოვნების თეორიის საკითხები შალვა ნუცუბიძის შრომებში მატერიალიზმის პოზიციებიდანაა გაშუქებული, რაც მოკლებულია ჭეშმარიტებას. ხელოვნება სინამდვილის ასახვაა, „ხელოვნებას ყოველთვის სინამდვილესთან აქვს საქმე“. ამ მხრივ არ განსხვავდება საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებისაგან. ხელოვნების სპეციფიკურობა შეიძლება დადგენილ იქნას მისი ასახვის ობიექტის, ასახვის ფორმის და სხვა ნიშნების მიხედვით. შ. ნუცუბიძე ამ მიმართულებით აწარმოებს ძიებას<sup>168</sup>.

ბ. კარტოზიას შეხედულებით შ. ნუცუბიძე „ხელოვნების თეორიაში“ აყენებს ხელოვნების შემეცნებითი და ემოციური

---

<sup>166</sup> რ. გოლეთიანი, ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრი: მიმართულებები, თავისებურებანი. 1918-2000. ქუთ., 2001, გვ. 268

<sup>167</sup> მსჯელობისათვის იხ. ი. კეკელია, სერგი დანელიას ეროვნული თვალთახედვის ზოგიერთი ასპექტი ქართულ ფილოსოფიურ კრიტიკაში. სამეცნიერო კრებული „პავლე ინგოროყვა 130“, ქუთ., 2024, გვ. 141-151

<sup>168</sup> ბ. კარტოზია, ხელოვნების თეორიის საკითხები შ. ნუცუბიძის შემოქმედებაში. „ცისკარი“, №2, 1970, გვ. 113

მხარეების ურთიერთობის საკითხს. ხელოვნება სინამდვილის ასახვაა, მისი შემეცნებაა, მაგრამ სინამდვილის შემეცნება მისი სპეციფიკური ნიშანი არ არის. ხელოვნებისათვის შემეცნება საშუალებაა და არა მიზანი. ბ. კარტოზია იმოწმებს შალვა ნუცუბიძის სიტყვებს: „შემოქმედებისათვის შემეცნება გარკვეული მნიშვნელობის მქონეა და ამდენად განუუქმებელი პირობა, მაგრამ ეს იმდენად ვრცელი და ზოგადი გარემოებაა, რომ ხელოვნების სპეციფიკურობისათვის ვერავითარი სიცხადის შემტან მომენტად ვერ გამოდგება”<sup>169</sup>. „ხელოვნებაში შემეცნება მხოლოდ გამოყენებით როლს თამაშობს. სინამდვილის განვითარების კანონების შემეცნება მეცნიერების, კერძოდ, ფილოსოფიის ამოცანაა. ფილოსოფიური ჭეშმარიტება სინამდვილის სწორი სურათია, მისი განვითარების კანონების ცოდნაა. ამდენად შემეცნება სპეციფიკური ნიშანია არა ხელოვნებისათვის, არამედ მეცნიერებისათვის. შ. ნუცუბიძე ხედავს კავშირს ჭეშმარიტებასა და ძირითად ესთეტიკურ ფენომენს – მშვენიერებას შორის, მაგრამ უარყოფს მათ იგივეობას”<sup>170</sup>. სწორედ ამას მოწმობს შალვა ნუცუბიძის შემდეგი სიტყვები: „მშვენიერება იმ სფეროს ეკუთვნის, რომელსაც ეკუთვნის ჭეშმარიტება, მაგრამ თვით არაა ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება, როგორც ასეთი, შემეცნების მიზანია და უკანასკნელის მიღწევათა ეფექტი ჭეშმარიტებაში იშლება”<sup>171</sup>.

ბ. კარტოზიას დაკვირვებით, არც ხელოვნების სხვა პირობები და ნიშნები დარჩენია ყურადღების გარეშე შ. ნუცუბიძეს. მისი აზრით, შემოქმედებისათვის აუცილებელია თავისუფლება<sup>172</sup>.

---

<sup>169</sup> შ. ნუცუბიძე, ხელოვნების თეორია, თბ., 1929, გვ. 225

<sup>170</sup> ბ. კარტოზია, ხელოვნების თეორიის საკითხები შ. ნუცუბიძის შემოქმედებაში, გვ. 114

<sup>171</sup> იქვე, გვ. 74

<sup>172</sup> შ. ნუცუბიძე, ხელოვნების თეორია, გვ. 60

„ბუნებაში არსებულ მშვენიერებას, – წერს ბ. კარტოზია, – უშუალო დამოკიდებულება აქვს ადამიანთან. იგი არაა მშვენიერება თავისთავად. მხოლოდ ადამიანი აძლევს მას ასეთ მნიშვნელობას. მშვენიერება მოცემულია ადამიანისა და ბუნების დამოკიდებულებაში. ბუნების მოვლენების დაყოფა მშვენიერ და მახინჯ მოვლენებად ადამიანური საქმეა. ბუნება თავისთავად ინდიფერენტულია მათ მიმართ. მშვენიერებაზე ლაპარაკი ბუნებაში შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული და პირობითი მნიშვნელობით. მშვენიერება „სპეციფიკურ-ადამიანურ“ სფეროს ეკუთვნის. გამორიცხული არ არის ბუნების მახინჯი მოვლენების გადაქცევა ხელოვნების მშვენიერებად”<sup>173</sup>.

ბ. კარტოზიას დასკვნა, რომ შალვა ნუცუბიძე გარდამავალ პერიოდში გადამწყვეტ ნაბიჯს დგამს ალეთოლოგიური იდეალიზმიდან მარქსისტული მატერიალიზმისაკენ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს<sup>174</sup>.

ბ. კარტოზიას ეკუთვნის ქართული ეროვნული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის – დიმიტრი უზნაძის (1886-1950 წწ.) ადრეული პერიოდის სოციოლოგიურ შეხედულებათა ანალიზისადმი მიძღვნილი მცირე ზომის წიგნი „დ. უზნაძის სოციოლოგიური შეხედულებანი (1910-1920 წწ.)“. მკვლევარს შესწავლილი აქვს საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის, ადამიანის ცხოვრების საზრისის, საზოგადოებრივი პროგრესისა და საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმის (რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება), აგრეთვე ომისა და მშვიდობის საკითხები დიდი მოაზროვნის სოციოლოგიურ შეხედულებათა შუქზე.

ნაშრომში შესავალში აღნიშნულია, რომ დ. უზნაძის მეცნიერული ინტერესისა და კვლევის ობიექტი ყოველთვის იყო ადამიანი, მისი არსება და გარემო პირობებთან ურთიერთობა,

---

<sup>173</sup> იქვე, გვ. 115

<sup>174</sup> იქვე

ადამიანის მატერიალური და სულიერი ძალების ურთიერთდამოკიდებულება, ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება, მოქმედება. ამ პრობლემების სოციოლოგიურ ასპექტებს დ. უზნაძე განიხილავს ახალგაზრდობის წლებში დაწერილ ნაშრომებში: „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“ (1910 წ.), „განდგომილობის პრობლემა ი. ჭავჭავაძის „განდგეილში“ (1911 წ.), „ფილოსოფიური საუბარი. სიკვდილი“ (1911 წ.), „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი“ (1912 წ.), „ომის ფილოსოფია“ (1914 წ.), „ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა“ (1917 წ.), „ორგანული მსოფლმხედველობა“ (1918 წ.), „პირველყოფილი კულტურის ისტორია“ (1919 წ.) და სხვ.<sup>175</sup>

დ. უზნაძის აზრით, ადამიანი სამყაროს ურთულესი მოვლენაა. იგი, როგორც ბუნების შვილი, თავდაპირველად მთლიანად გარემო პირობებზე იყო დამოკიდებული. მაშინ გეოგრაფიული გარემო ბატონობდა ადამიანზე. ეს უკანასკნელი უნდა შეგუებოდა მას. ბუნების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამოყალიბდა და განვითარდა ადამიანის შინაგანი ძალები, შრომითი უნარ-ჩვევები, ხელი, გონება და მეტყველება. ადამიანი საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტია. მისთვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო საზოგადოებრივი ცხოვრება. საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელია აზრთა ურთიერთგაზიარების გარეშე. ამისთვის კი აუცილებელია ენა და მეტყველება. ენა, როგორც საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტი, ადამიანთა ურთიერთობის საშუალებაა. ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის ისტორია ესაა პასიური და აქტიური ძალების ბრძოლის ისტორია. ბუნება პასიურია და ინერტული, ადამიანი – აქტიური. ადამიანი ებრძვის ბუნებას და აადამიანურებს მას, ამსგავსებს საკუთარ თავს და ამ მარადიულ პროცესში ვითარდება თვითონაც. კაცობრიობის მთელი ისტორი-

---

<sup>175</sup> ბ. კარტოზია, დ. უზნაძის სოციოლოგიური შესჯდულებანი (1910-1920 წწ.), თბ., 1980, გვ. 3

ული ცხოვრება ესაა მუდმივი ბრძოლა ბუნების დამორჩილებისათვის. ბუნებასთან ბრძოლაში წარმატებას ადამიანმა წარმოების იარაღებით მიაღწია<sup>176</sup>.

ბ. კარტოზია მოკლედ გადმოსცემს დიმიტრი უზნაძის ისტორიულ თეორიას მისი ახალგაზრდობისდროინდელი ნაშრომებიდან. „ძირითად ხაზებში მას შეიძლება ისტორიის მეცნიერულ-მატერიალისტური გაგება ვუწოდოთ“, – დაასკვნის მკვლევარი<sup>177</sup>. მოსაზრება, რომ დ. უზნაძის ახალგაზრდობისდროინდელ შეხედულებებს ძირითად ხაზებში შეიძლება ეწოდოს ისტორიის მეცნიერულ-მატერიალისტური გაგება და რომ რელიგიის საკითხებზე დ. უზნაძის ნააზრვეი მნიშვნელოვანწილად ემთხვევა ფრიდრიხ ენგელსის შეხედულებებს<sup>178</sup>, რასაკვირველია, კომუნისტური დოგმატური იდეოლოგიითაა ნაკარნახევი და სადღესოდ აშკარად მიუღებელი და არაობიექტური შეფასებაა გამოჩენილი მოაზროვნის ფილოსოფიური შეხედულებებისა.

XX საუკუნის 10-იან წლებში ფილოსოფიურ-სოციოლოგიური ძიების ერთ-ერთი უპირველესი საგნის – ადამიანის არსისა და მისი ცხოვრების საზრისის პრობლემით დ. უზნაძე ახალგაზრდობის წლებში დაინტერესდა და არაერთი ნაშრომი შექმნა ამ მიმართულებით.

დ. უზნაძის შეხედულებები ბ. კარტოზიას წიგნში შემდეგი სახით არის გადმოცემული:

დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ ადამიანის ორგანიზმის ძირითად მხარეს სულიერი მხარე, ფსიქიკა წარმოადგენს. სული, ცნობიერება ადამიანის არსების გამოსატყულებაა, ინდივიდუალობის წარმოშობის მიზეზია. ადამიანის ინდივიდუალობა მისი ცნობიერების ნაყოფია. ცნობიერება იწვევს და ქმნის ინდივიდუა-

---

<sup>176</sup> ბ. კარტოზია, დ. უზნაძის სოციოლოგიური შეხედულებანი, გვ. 5-10

<sup>177</sup> იქვე, გვ. 9

<sup>178</sup> (ამ საკითხზე მსჯელობა ვრცლად იხ. ქვემოთ)

ლობას. ადამიანის ინდივიდუალური თავისებურება წარმოადგენს სიცოცხლის პრინციპს. სული სხეულთანაა დაკავშირებული. სული სხეულითაა შებოჭილი და შემოსაზღვრული და შეგუებულია პასიურთან. აქტიურობა-პასიურობის ნიშნით განასხვავებს დ. უზნაძე ერთმანეთისაგან არა მარტო სულსა და სხეულს, არამედ თვით სულიერ მოვლენებსაც. პასიური სულიერი მოვლენა ახლოა ადამიანის ორგანიზმის ფიზიკურ მხარესთან. სპეციფიკურ მდგომარეობაშია მხოლოდ ნებისყოფა, როგორც ადამიანის განსაკუთრებული თვისება<sup>179</sup>.

ადამიანის აქტიურობის მასაზრდოებელი წყარო ამოუწურავია, შემოქმედება მუდმივი და დაუსრულებელია. „დ. უზნაძე აყენებს საზოგადოებრივი ცხოვრების დანიშნულების, მიზნის, ადამიანის არსებობისა და მოქმედების საზრისის პრობლემას და გვაძლევს მის ღრმა მეცნიერულ გადაწყვეტას“<sup>180</sup>.

საზოგადოებრივი ცხოვრება არ არის უაზრო, უმიზნო და უშინაარსო, – ფიქრობდა დ. უზნაძე, მას ყოველთვის ახასიათებს გარკვეული მიზნისკენ სწრაფვა, აზრი და შინაარსი. ყოველ თაობას თავისი წვლილი შეაქვს ცხოვრების დიადი მიზნების განხორციელების საქმეში. ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანი დიდი ისტორიული დანიშნულებისათვის არის გაჩენილი. ამიტომ იწვევს მისი სიკვდილი განუზომელ მწუხარებას<sup>181</sup>.

დ. უზნაძე ფიქრობდა, რომ ცხოვრების აზრის სუბიექტი არის ერთ უღელში შებმული, ერთი მიზნით დარაზმული პიროვნებებისაგან შემდგარი ერი. ცხოვრების საზრისის განხორციელება ყველა ერის მოწოდებაა<sup>182</sup>.

---

<sup>179</sup> ბ. კარტოზია, დ. უზნაძის სოციოლოგიური შეხედულებანი, გვ. 15-16

<sup>180</sup> ბ. კარტოზია, დ. უზნაძის სოციოლოგიური შეხედულებანი, გვ. 16

<sup>181</sup> იქვე, გვ. 21-22

<sup>182</sup> იქვე, გვ. 24

საინტერესოა დიდი მეცნიერის მიდგომა ომების საკითხებისადმი. დ. უზნაძე ომებს ორ ჯგუფად ყოფს: მოგერიებით და შეტევიტ ომებად, ან თანამედროვე ტერმინებით რომ ვთქვათ – სამართლიან და უსამართლო ომებად. მოგერიებითი ომი ცხოვრების საზრისის განხორციელებას ემსახურება და გამართლებულია. მისთვის სიკვდილი არ არის ბოროტება. ამიტომ იგი ყოველთვის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს. შეტევიტით, უსამართლო ომი დასაგმობია და მისი დამწყები ერი უნდა დამარცხდეს. სამართლიანი ომი გმირებს წარმოშობს, უსამართლო – არა<sup>183</sup>.

ომის ფილოსოფია-ფსიქოლოგიაზე მსჯელობისას დ. უზნაძეს სიკვდილი განხილული აქვს, როგორც ბოროტება და ასაბუთებს, რომ ადამიანის ცხოვრებას სიკვდილის შიში წარმართავს, და რომ ისინიც კი, ვინც მთელი ცხოვრება სიკვდილს ებრძვის, როგორც სხვა მოკვდავები, სიკვდილის შიშით არიან გამსჭვალულნი, და დასასრულს მაინც მარცხდებიან სიკვდილის წინაშე. ნაშრომში მითითებაა სიკვდილის მიმართ დამოკიდებულების სხვადასხვაობაზეც. საზოგადოება სიკვდილს უბედურებად თვლის და მკვლელს – ბოროტების ჩამდენად. იგივე საზოგადოებას ახასიათებს რაინდად შერაცხვა ომის დროს ათასობით ადამიანის მკვლელისა. აქედან გამომდინარე, „ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ საშუალებაა, რომლის მეოხებითაც ხორციელდება ის უმაღლესი დანიშნულება, ადამიანის არსებობას სარჩულად რომ უდევს“.

დ. უზნაძე უარყოფს რუსი ფილოსოფოსის – ვლადიმერ სოლოვიოვის შეხედულებას, რომლის თანახმადაც ომი გაერთიანების მიზანს ემსახურება. საილუსტრაციოდ მოტანილია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების, რომის იმპერიისა და გერმანიის 30-წლიანი ომის მაგალითები, რომლებსაც შედეგად გაერთიანება არ მოჰყოლია. ომის დროს ცალკეული

---

<sup>183</sup> იქვე, გვ. 26-27



ადამიანების სიკვდილი შიშს ადარ იწვევს. შესაბამისად, სიცოცხლე არა არსებობის მიზანს, არამედ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც გარკვეული მიზნების მიღწევას მსხვერპლად ეწირება. ომი მჭიდროდ უკავშირდება ცხოვრების აზრის განხორციელებას და მხოლოდ ამგვარ ომს, და არა შეტყევის, შეუძლია წარმოშვას გამირები.

სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხის – საზოგადოებრივი პროგრესის ანალიზი ბ. კარტოზიას წიგნში ცალკე თავად არის წარმოდგენილი. დ. უზნაძეს სპეციალური გამოკვლევა არ დაუწერია საზოგადოებრივი პროგრესის არსისა და მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ამ საკითხებზე თავისი აზრები გამოთქმული აქვს ადრინდელ ნაშრომებში სოციოლოგიის ცალკეული პრობლემების კვლევის დროს. „საზოგადოებრივი პროგრესის ცნება ნიშნავს საზოგადოებრივი ცხოვრების, მთელი მისი მატერიალური და სულიერი კულტურის თანმიმდევრულად ზეადმავალ განვითარებას. მაგრამ ხდება კი ასე სინამდვილეში? საზოგადოება განიცდის თუ არა მოძრაობას, ცვლილებას, რა მიმართულება აქვს მას, არის თუ არა ეს პროცესი ზეადმავალი, პროგრესული. როგორ უნდა გვესმოდეს განვითარება, წინსვლა იგი თუ უკანდახევა კულტურის ისტორიაში? – აი, საკითხები, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებული საბოლოოდ საზოგადოებრივი პროგრესის არსის გაგება, მისი შეფასება“<sup>184</sup>.

რა არის პროგრესი? რას წარმოადგენს მისი არსი და რაში ვლინდება იგი? ტერმინი „პროგრესი“ ლათინური სიტყვიდან *progressus* მომდინარეობს და ითარგმნება, როგორც განვითარება, წინსვლა, წარმატება. თუმცა პროგრესი ყოველთვის წინსვლას არ ნიშნავს. პროგრესმა შეიძლება შეიცვალოს ორიენტაცია და იქცეს რეგრესად. პროგრესიც და რეგრესიც ადამიანური ყოფის განუყოფელი ნაწილია და ხშირად ენაცვლებიან

---

<sup>184</sup> იქვე, გვ. 28-29

ერთმანეთს. კაცობრიობა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მუდამ პროგრესისკენ ისწრაფვოდა – ქმნიდა ახალს, ცდილობდა გაეუმჯობესებინა წინამორბედი და უკეთესობისკენ შეეცვალა საკუთარი ცხოვრება.

დ. უზნაძე ცდილობს განსაზღვროს კულტურული შემოქმედების, განვითარების ცნება, – აღნიშნავს ბ. კარტოზია. მისი განმარტებით, კულტურულ შემოქმედებას ორი არსებითი ნიშანი ახასიათებს – ახლის წარმოშობა და დაუსრულებლობა, ე. ი. შემოქმედებას, განვითარებას ადგილი აქვს იქ, სადაც ძველი უბრალოდ კი არ მეორდება, არამედ ახლად იქცევა, განახლდება, ახალ ნიშან-თვისებას იძენს და ეს ხდება დაუსრულებლად<sup>185</sup>.

ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, კულტურაში იგულისხმება არა ცალკეული შემოქმედებითი აქტი, არამედ შემოქმედება, როგორც ადამიანის უნივერსალური დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომლის მეშვეობით იგი ქმნის „ახალ სამყაროს“ და საკუთარ თავს. თითოეული კულტურა განუმეორებელი სამყაროა, რომლის შიგნით არსებობს ადამიანისა თუ ადამიანთა სწორედ ასეთი დამოკიდებულება გარემომცველი სინამდვილისა და საკუთარი თავისადმი.

დ. უზნაძე კატეგორიულად უარყოფდა საკაცობრიო კულტურის, კულტურული ცხოვრების მოძრაობისა და განვითარების შეუძლებლობის იდეას. ის ფიქრობდა, რომ კულტურას ეროვნული ფორმა აქვს. არსებობს იმდენი კულტურა, რამდენი ეროვნებაცაა მსოფლიოში. კულტურა ეროვნული შემქმნელება<sup>186</sup>.

კულტურული პროგრესის მამოძრავებელი ძალა ეროვნული სულია, მისი შემოქმედებითი უნარია. დ. უზნაძის აზრით, ეროვნულ კულტურას ახასიათებს უკანდახევა, სრული შეჩე-

---

<sup>185</sup> იქვე, გვ. 32

<sup>186</sup> იქვე, გვ. 33

რებაც, მაგალითად, საბერძნეთის კულტურა ოსმალეთის ბატონობის ქვეშ, მაგრამ მისი განვითარების პროცესის შეწყვეტა შეუძლებელია. ისტორია შეუქცევადი პროცესია, საზოგადოებრივი პროგრესი ეჭვმიუტანელი ფაქტია<sup>187</sup>.

კულტურის, როგორც ეროვნული შემოქმედების შექმნასა და განვითარებაში მთელი ხალხი, მისი ყველა წევრი მონაწილეობს. გადამწყვეტი როლი აქ ეროვნულ სულს, მის აქტიურ, შეგნებულ მოქმედებას ეკუთვნის<sup>188</sup>.

ბ. კარტოზია ვრცლად მსჯელობს საზოგადოებრივი ცნობიერების უძველესი ფორმის – რელიგიის არსისა და წარმოშობის მიზეზების შესახებ დ. უზნაძის ადრინდელი შრომების მიხედვით.

რა არის სიკვდილი? არის თუ არა ის უცაბედი მოვლენა? არის თუ არა სიკვდილი ბოროტება? ამქვეყნად თავდება თუ არა დავა სიკვდილ-სიცოცხლეს შორის და ა. შ. ამ კითხვებზე მეცნიერულად დასაბუთებული პასუხებია გაცემული დ. უზნაძის მიერ. „ყველა ადამიანი მოკვდავია, უკვდავია მხოლოდ თესლი კეთილი, რომელიც მას ერის საკურთხეველზე მიუტანია – ასეთია დასკვნა დ. უზნაძის მსჯელობისა და არ შეიძლება მას არ დავეთანხმოთ“, – წერს ბ. კარტოზია<sup>189</sup>.

სიკვდილი, დ. უზნაძის აზრით, არ არის წუთიერი, უცაბედი მოვლენა. იგი იწყება სიცოცხლესთან ერთად და ყოველთვის მის გვერდითაა. სიკვდილი ადამიანის შინაგანი, იმანენტური მხარეა და არა გარეგანი მოვლენა. სიკვდილს დ. უზნაძე წარმოიდგენს სიცოცხლის საზღვრად, მის დასრულებად. სიკვდილი თვით სიცოცხლეში მარხია. იწყება თუ არა სიცოცხლე, იწყება სიკვდილიც და მასთან ერთად წინ მიიღტვის. სიკვდილი სიცოცხლის დაუძინებელი მტერია. ამქვეყნად სიკვდილით

---

<sup>187</sup> იქვე, გვ. 34

<sup>188</sup> იქვე, გვ. 35

<sup>189</sup> იქვე, გვ. 45

თავდება ადამიანის სიცოცხლე. ვისთვისაც ძვირფასია სიცოცხლე, როგორც ასეთი, მისთვის სიკვდილიც ძვირფასი უნდა იყოს.

მაშ, რა აზრი აქვს ადამიანის ცხოვრებას, მის სიცოცხლეს? ნუთუ ადამიანი სიკვდილისათვის იბადება მხოლოდ? ადამიანის ცხოვრება მხოლოდ დაბადება და სიკვდილი ხომ არ არის? რა არის მოთავსებული დაბადებასა და სიკვდილს შუა?

ამ მარადიულ კითხვებზე დ. უზნაძის პასუხებს შემდეგი სახე აქვს: ადამიანმა სააქაოში უნდა იცხოვროს ნამდვილი ცხოვრებით, აქ უნდა ჰპოვოს მან უკვდავება. რაც წარმავალია ჩვენში, ის მიწად იქცევა, მარადიული აქ რჩება. სიკვდილი სიცოცხლის ფორმაა, მისი შინაგანი, ძირითადი იდეაა. ადამიანს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მუდამ თვალწინ უდგას სიკვდილის იდეა. „დ. უზნაძის თვალსაზრისით... ადამიანის ცხოვრება უაზრობა არ არის. ადამიანს დაბადებიდანვე დაკისრებული აქვს უდიდესი მოვალეობა. იგი ამქვეყნად უდიდესი დანიშნულებისათვის ჩნდება. ესაა აქტიური მოქმედება, შრომა, შემოქმედება, კულტურულ ღირებულებათა შექმნა, ერის სულიერი საგანძურის გამდიდრება. ადამიანი უკვდავებას აქ ჰპოვებს. ამ დანიშნულების შესრულება ყოველი კერძო ადამიანის წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ამისთვის ეძლევა მას სიცოცხლე. მაგრამ ზოგჯერ იგი სიკვდილსაც მოითხოვს. მაშინ სიკვდილი არ არის ბოროტება, იგი უდიდესი სიკეთეა“<sup>190</sup>.

საგულისხმოა დიმიტრი უზნაძის შემდეგი დასკვნა ყოფნა-არყოფნის მარადიულ პრობლემაზე: „...სიკვდილი აძლევს დასაბამს უკვდავების იდეას... რელიგია, მარადიული მისწრაფება, სიკვდილმა წარმოშვა. ამიტომაცაა, რომ ყოფნა-არყოფნის პრობლემა განსაკუთრებული ძლიერებით არის ჩაქარგული რელიგიური მსოფლმხედველობის ყოველ ნაქსოვში. ქრისტიან-

---

<sup>190</sup> იქვე, გვ. 53; დ. უზნაძე, ომის ფილოსოფია. გაზ. „სახალხო ფურცელი“, №148, 1914

ნობა სწორედ ისეთი რელიგიაა, რომელმაც მარტოდმარტო შეძლო სიკვდილის ძლევა და მის ნანგრევებზე უკვდავი არსებობის კოშკის აღმართვა. მან სააქაოს, დროულ ცხოვრებას, საიქიო დაუპირისპირა, ხოლო ეს საიქიო აბსოლუტური არსებობისა და უკვდავების კვარცხლბეკზე აამაღლა... ამით ქრისტიანობამ მიწიერი, დროული ცხოვრება საიქიო, უკვდავ ცხოვრებას დაუქვემდებარა და ამით სიკვდილს სძლია”<sup>191</sup>.

დიმიტრი უზნაძის მეცნიერული მოღვაწეობა, – დაასკვნის ბონდო კარტოზია, ადამიანის არსისა და მიწიერი არსებობის შესწავლას და განმტკიცებას ემსახურებოდა. ღრმად ერუდირებულ მეცნიერს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები თანამედროვე სოციოლოგიის დონეზე აქვს გააზრებული. მისი ორმოცწლიანი უხმაურო, მოკრძალებული, მაგრამ უაღრესად დაძაბული და ინტენსიური შრომა საბოლოოდ დაგვირგვინდა განწყობის თეორიით, რომელმაც სამუდამოდ უკვდავყო დიმიტრი უზნაძის სახელი<sup>192</sup>.

მეტად ფასეულია ბ. კარტოზიას სამეცნიერო სტატიები და წერილები დიდი ქართველი მოაზროვნის, ქართული ფილოსოფიური აზრის თვალსაჩინო წარმომადგენლის – პროფესორ სერგი დანელიას (1888-1963 წწ.) ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ შეხედულებებსა და ისტორიულ დამსახურებაზე, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ეროვნული ფილოსოფიური და სოციოლოგიური კულტურის განვითარებაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბ. კარტოზიას ნაწერებში ს. დანელიას მეცნიერული დამსახურების შეფასებისას თვალნათლივ გამოსჭვივის უღრმესი სიყვარული და პატივისცემა სახელოვანი თანასოფლელისა და მასწავლებლის მიმართ. ბევრ საყურადღებო, ობიექტურ, სათანადო ანალიზზე

---

<sup>191</sup> დ. უზნაძე, ომის ფილოსოფია. გაზ. „სახალხო ფურცელი”, №148, 1914

<sup>192</sup> იქვე, გვ. 55

დაფუძნებულ მოსაზრებებს შეიცავს მისი წიგნები: „სერგი დანელია (1970 წ.) და „სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი“ (2008 წ., თანაავტ. ი. კეკელია).

XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შორის, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ქართული ფილოსოფიისა და, ზოგადად, ქართული კულტურის განვითარებაში, გამორჩეულია პროფესორ სერგი დანელიას მრავალმხრივი ღვაწლი. 1918 წელს დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი ხანგრძლივი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა გარკვეულწილად განსაზღვრავდა არა მხოლოდ ქართული ფილოსოფიური აზრის, არამედ რუსული ლიტერატურის ისტორიის მიმართულებას, შინაარსსა და დონეს. ამ ორ მიმართულებას, შეიძლება თამამად ითქვას, რომ პროფესორმა სერგი დანელიამ თავისი სახე და სპეციფიკა მისცა.

ს. დანელიას ცხოვრება და შემოქმედებითი მემკვიდრეობა უკვე გახდა არაერთი მეცნიერის, მათ შორის პროფ. ბონდო კარტოზიას<sup>193</sup>, სპეციალური კვლევის ობიექტი. ქართულ ფი-

---

<sup>193</sup> ს. დანელიას ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ იხ. ბ. კარტოზია, გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი [ს. დანელიას გარდაცვალებიდან 5 წლისთავის გამო]. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 20 მაისი, 1968; მისივე, გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი. გაზ. „შრომის დროშა“. 6 ივნისი, 1968; მისივე, დიდი მეცნიერი და პედაგოგი. გაზ. „კოლხეთი“ (ცხაკაიას რაიონული გაზეთი), 27 აგვისტო, 1968; მისივე, დიდი მეცნიერი და პედაგოგი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 5 დეკემბერი, 1968; მისივე, ს. დანელიას პედაგოგიკური შეხედულებანი“. „სკოლა და ცხოვრება“, №2, თბ., 1973; მისივე, სერგი დანელიას ცხოვრება და მოღვაწეობა. გეგმპკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის XV სამეცნიერო სესიის თეზისები, 1971, გვ. 17-18; მისივე, ს. დანელიას პედაგოგიკური შეხედულებანი. კურს. „სკოლა და ცხოვრება“, №2, 1973; მისივე, დიდი მეცნიერი და პედაგოგი. გაზ. „შრომის დროშა“, №73, 16 ივნისი, 1978; მისივე, ილიას გზით. გაზ. „თბილისი“, 7. 06. 1990; მისივე, ერის იდეის მებაირახტრე. გაზ. „ჭკონდიდი“, 12. 01. 1991; ბ. კარტოზია, ი. კეკელია,

ლოსოფიაში მისი ადგილისა და როლის გარკვევას, მისივე შეხედულებების ანალიზს, უამრავი სტატია და მონოგრაფია მიეძღვნა. ჩატარდა რამდენიმე რესპუბლიკური თუ საერთაშორისო კონფერენცია, მაგრამ ბევრი რამ მისი მდიდარი მემკვიდრეობიდან კვლავ გამოსაკვლევია და დასადგენია.

ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში აღიარებული შეხედულების თანახმად, პროფესიული ფილოსოფიის, როგორც ქართული კულტურის დამოუკიდებელი და განსაკუთრებული დარგის, წარმოშობა-ჩამოყალიბება დაახლოებით 1910 წელს დაიწყო, ანუ მას შემდეგ, რაც ქართულ ენაზე გამოქვეყნდა დიმიტრი უზნაძის პირველი ფილოსოფიური ნაშრომი – „რა არის შემეცნების თეორია“, და დასრულდა 1926 წელს, სერგი დანელიას წიგნის – „ანტიკური ფილოსოფია (სოკრატის წინ)“ – გამოცემით.

გასული საუკუნის ქართული ფილოსოფიის სათავეებთან დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე და სერგი დანელია დგანან და ამიტომ ისინი სამართლიანად უნდა ჩაითვალოს მის ძირითად წარმომადგენლებად. „მათ შემქმნეს არა მხოლოდ ფილოსოფიური აზროვნების მაღალი დონე, არამედ მისი ადეკვატური ენაც. სწორედ ამაშია მათი უდიდესი დამსახურება და ფასდაუდებელი ამაგი ქართული კულტურის წინაშე“<sup>194</sup>.

---

სიმაღლიდან. გაზ. „მარტვილის მაცნე“, მაისი-ივნისი, 2000; ბ. კარტოზია, ი. კეკელია, ნათელი ნიშნით შემოსილი. გაზ. „მახარია“, №4, 2001; ბ. კარტოზია, ი. კეკელია, სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი, თბ., 2008, ბ. კარტოზია, ი. კეკელია, სერგი დანელია ბერძნულ-ქართული ურთიერთობების ისტორიის შესახებ (დაბადების 120 წლისთავისათვის). გაზ. „მარტვილი“, №8, აგვისტო, 2008, ბ. კარტოზია, ი. კეკელია, ბერძნულ-ქართული ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის საკითხები სერგი დანელიას ნააზრევში (სერგი დანელიას 120 წლისთავთან დაკავშირებით). ჟურნ. „ენიგმა“, №4, 2009, და სხვ.

<sup>194</sup> ვ. ერქომაიშვილი, კოტე ბაქრაძის ფილოსოფიური შეხედულებანი, თბ., 1979, გვ. 7

ს. დანელიას სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა თითქმის ნახევარ საუკუნეს გრძელდებოდა. ის იყო არა მხოლოდ დიდი ფილოსოფოსი, არამედ ფართო დიაპაზონის ფილოლოგი და მთარგმნელი, მაღალკვალიფიციური მეცნიერი.

უნდა ითქვას, რომ ბ. კარტოზიას მიერ პროფესორ სერგი დანელიაზე 1970 წელს გამოქვეყნებულმა მცირე ზომის მონოგრაფიამ სერიოზული ბიძგი მისცა დიდი ქართველი მოაზროვნის მდიდარი ფილოსოფიური და სოციოლოგიური მემკვიდრეობის შემდგომ საფუძვლიან, ჩაღრმავებულ კვლევას<sup>195</sup>).

ბ. კარტოზიას ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია გამოჩენილი ფილოსოფოსის ბიოგრაფიული ცნობები, ხოლო მეორე ნაწილი მიზნად ისახავს მეცნიერული მემკვიდრეობის ანალიზს.

სერგი დანელიას მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი სფერო, როგორც აღნიშნულ წიგნშია მითითებული, იყო ფილოსოფიისა და XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორია. საყოველთაოდ ცნობილია მისი წიგნები – „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“, „ანტიკური ფილოსოფია“, „სოკრატის ფილოსოფია“, „კანტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა“ (ცალკე წიგნად დაიბეჭდა მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, 1977 წელს), „ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან“, „ლერმონტოვის ცხოვრება და შემოქმედება“ და სხვ. მას საყურადღებო ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული ესთეტიკის, ეთიკის, ენათმეცნიერების, პედაგოგიკის, სოციოლოგიის დარგში, აგრეთვე ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე. იგი ყველა ფილოსოფოსის ნაწარმოებს თავის ენაზე კითხულობდა. ავტობიოგრაფიაში ს. დანელიას ჩამოთვლილი აქვს ის ენები, რომლებსაც თავისუფლად ფლობდა: მეგრული, ქართული, რუსუ-

---

<sup>195</sup> რ. გოლეთიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183



ლი, გერმანული, ფრანგული. ცნობილია, რომ მან კარგად იცოდა აგრეთვე კლასიკური ენები – ძველი ბერძნული და ლათინური. ს. დანელია ნახევარი საუკუნის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა მეცნიერული აზრის განვითარებისა და მომავალი თაობის აღზრდის საქმეს. მან ხანგრძლივი, თავდადებული, მრავალმხრივი მუშაობით ღრმა კვალი დაამჩნია ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას და სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი.

წიგნის იმ თავში, სადაც სერგი დანელიას ბიოგრაფიული ცნობებია მოტანილი, ბ. კარტოზია საინტერესო ეპიზოდებს იმოწმებს ბანძის სკოლასა და ქუთაისის გიმნაზიაში მომავალი მეცნიერის სწავლის პერიოდიდან. აღნიშნულია, რომ სერგი დანელიას სიკვდილამდე არ გაუწყვევია კავშირი თავის სოფელთან, ხალხთან. ეს სიყვარული მას ბავშვობის ტკბილმა დღეებმა ჩაუნერგა. ბოლო წლებში ამ კავშირმა რაღაც უჩვეულო ძალით იჩინა თავი. ვინ იცის, იქნებ ეს სიკვდილის მოახლოებითაც იყო გამოწვეული<sup>196</sup>.

ბ. კარტოზიას შეფასებით, სერგი დანელიამ გამოავლინა ანტიკური ფილოსოფიის ისტორიის წყაროების დიდი ცოდნა და მათი მეცნიერული ანალიზის იშვიათი უნარი. ს. დანელიამ დაასაბუთა, რომ არისტოტელე ანტიკური პერიოდისა და ყველა დროის უდიდესი მოაზროვნე იყო. ს. დანელია მას უწოდებდა საბერძნეთის ფილოსოფიის ისტორიის ფენომენს, რომელიც თავის თავში აერთიანებდა ანტიკური ფილოსოფიის ყველა პოზიტიურ მხარეს<sup>197</sup>.

მკვლევარი ეხება ს. დანელიას სადოქტორო დისერტაციას – „ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობა“. აღნიშნულია, რომ ს. დანელიამ კვლევის ობიექტად აქცია საბერძნეთში მონოთეიზმის წარმოშობის საკითხი. მან პირველწყა-

---

<sup>196</sup> ბ. კარტოზია, სერგი დანელია, თბ., 1970, გვ. 7, 42

<sup>197</sup> იქვე, გვ. 20

როების შესწავლის საფუძველზე აჩვენა, რომ ელვატური სკოლის ფუძემდებელი ქსენოფანე კოლოფონელი ანტიკური ფილოსოფიის წინასოკრატული პერიოდის დიდი მოაზროვნეა, რომლის დამსახურებას შეადგენს მონოთეიზმის ლოგიკური დასაბუთება<sup>198</sup>. „ს. დანელია თამამად ეკამათება ფრეიდენტალს, გომპერცს და სხვა ცნობილ ავტორებს. იგი მიჰყვება ცუდერისა და დილსის შეხედულებას ქსენოფანე კოლოფონელის მონოთეისტობის შესახებ, მაგრამ მათი არგუმენტები არ მიაჩნია საკმარისად“<sup>199</sup>.

ს. დანელიამ მთელი ფილოსოფიის ისტორია ბრწყინვალედ იცოდა, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულით მუშაობდა ანტიკურ ფილოსოფიაში. ძველი ბერძნების ფილოსოფიური შემოქმედება ჩვენი ეპოქის ქართველმა მკითხველმა პირველად ს. დანელიას შრომებით გაიცნო. მის წიგნებზე აღიზარდა ქართველ მეცნიერთა მრავალი თაობა და მიუხედავად იმისა, რომ მათი დაწერიდან რამდენიმე ათეული წელია გასული, ისინი კვლავ ინარჩუნებენ პირვანდელ მნიშვნელობას და ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში შეუცვლელნი არიან.

უწინარეს ყოვლისა, ს. დანელია არკვევს **ანტიკა, ანტიკურის** ცნებას. ანტიკა, ანტიკური – წერს მეცნიერი, ნიშნავს ძველს, გარდასულს. შეიძლება იყოს ისეთი ძველი, რაც უარყოფითია და უკუსაგდები, მაგრამ არსებობს ისეთი ძველი, რომელიც დადებითია, მისაღებია, სილამაზისა და მშვენიერების განსახიერებაა. სწორედ ასეთ ძველს ნიშნავს „ანტიკა“, „ანტიკური“. აქ იგულისხმება ანტიკური ფილოსოფია, ის სიბრძნე, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო კაცობრიობამ ბერძნებისაგან, შეითვისა და შეისისხლხორცა, თავის ნაწილად აქცია და რომელსაც ვერასოდეს შეეღწევა, ვერ დაივიწყებს. ისაა საფუძველი შემდგომი პერიოდის ფილოსოფიისა, აზროვნებისა,

---

<sup>198</sup> იქვე, გვ. 20-22

<sup>199</sup> იქვე, გვ. 22

კულტურისა. ანტიკურის ქვეშ ნაგულისხმევია ბერძნულ-რომაული კულტურა, საიდანაც იღებს სათავეს თანამედროვე ცივილიზაცია. ამ კულტურის ძირითადი კომპონენტია ფილოსოფია. ბერძნების მიერ შექმნილი ფილოსოფია შეითვისეს და განავითარეს სხვა ხალხებმა.

ს. დანელიას შეხედულებით ფილოსოფია ბერძნული გენიის ორიგინალურ ქმნილებას წარმოადგენს. საბერძნეთში ფილოსოფიური აზროვნების მაღალ დონეს და, საერთოდ, კულტურის განვითარებას ს. დანელია ხსნის მისი გეოგრაფიული პირობებით, საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების თავისებურებებით, ბერძენი ხალხის ნიჭით და თავისუფალი აზროვნების უნარით<sup>200</sup>. ყოველი ფილოსოფიური თეორია, აღნიშნავს ს. დანელია, ფილოსოფოსის გონებრივი ნაყოფია. ამდენად, მას აუცილებლად თან ახლავს მისი შემქმნელი პიროვნების ნიშნები, მაგრამ მოაზროვნე პიროვნება არ არის განყენებული მოვლენა, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული გარემოსათან. ამიტომ მთავარია ამ გარემოს ახსნა. ეს არის გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული გარემო. მეორე პირველის ნიადაგზეა აღმოცენებული. ფილოსოფიის ისტორიკოსმა ორივე უნდა მიიღოს მხედველობაში. „ბერძენი ფილოსოფოსების თეორიებში, – წერს ს. დანელია, – ანათებს საბერძნეთის სხივოსანი მზე, რომელიც ბუნდოვნებას და მისტიკურ სიბნელეს ვერ ითმენს, ისე, როგორც გერმანელი ფილოსოფოსების სისტემებში გერმანიის ნისლი მოჩანს. გეოგრაფიის რუკა თან უნდა ახლდეს იმას, ვინც ფილოსოფიის ისტორიას სწავლობს”<sup>201</sup>.

ბ. კარტოზიას შეფასებით, ანტიკურ ფილოსოფიას ს. დანელია ორ – წინასოკრატულ და სოკრატულ პერიოდებად ყოფდა. პირველ პერიოდში მთავარი პრობლემა იყო კოსმიური წყობის ახსნა და იმის გარკვევა, თუ რა არის სამყაროს დასა-

---

<sup>200</sup> ბ. კარტოზია, სერგი დანელია, თბ., 1970, გვ. 25-26

<sup>201</sup> ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1926, გვ. 12

ბამი, პირველი მიზეზი. ამიტომ სოკრატემდე არსებული ფილოსოფია ხშირად იწოდება ანტიკური აზროვნების კოსმოლოგიურ ხანად. თავის მხრივ წინასოკრატული ფილოსოფია სამ მომენტს შეიცავს: 1. იონური ფიზიკა; 2. ელვატური მეტაფიზიკა და 3. უმცროს ფიზიკოსთა კოსმოლოგია. ამის შემდეგ იწყება გარდამავალი საფეხური სოფისტის სახით, რაც ერთმანეთთან აკავშირებს წინასოკრატულ და სოკრატულ პერიოდს<sup>202</sup>.

სოკრატეს პერიოდის მოაზროვნეთაგან ს. დანელიას განსაკუთრებული ინტერესით აქვს განხილული თვით სოკრატეს ცხოვრება და მოღვაწეობა, რასაც მიუძღვნა სპეციალური მონოგრაფია „სოკრატის ფილოსოფია“ (1936 წ.), რომელიც, ბ. კარტოზიას შეფასებით, ჩვენი სულიერი კულტურის ძვირფასი ძეგლია<sup>203</sup>. „შეიძლება თამამად ითქვას, – წერს ბონდო კარტოზია, – რომ ანტიკური ფილოსოფია თანამედროვე ქართველმა მკითხველმა პირველად სერგი დანელიას შრომებით გაიცნო. მის წიგნებზე აღიზარდა ქართველი ახალგაზრდობის მრავალი თაობა და მიუხედავად იმისა, რომ მათი დაწერიდან თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა, ისინი კვლავ ინარჩუნებენ პირვანდელ მნიშვნელობას ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში“<sup>204</sup>.

სერგი დანელია აღფრთოვანებული იყო ქართველი ხალხის სიახლოვით ბერძნულ სამყაროსთან. ცნობილია, რომ ბერძნები უხსოვარი დროიდან იცნობდნენ საქართველოს და ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ ტომებთან. ამის გამოხატულებას წარმოადგენს თქმულება არგონავტებზე. ს. დანელიას ღრმად ჰქონდა შეგნებული საბერძნეთთან ქართველი ერის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის მნიშვნელობა. შემ-

---

<sup>202</sup> ბ. კარტოზია, სერგი დანელია, გვ. 31

<sup>203</sup> იქვე, გვ. 32

<sup>204</sup> იქვე, გვ. 35

თხვევითი არ იყო ძველ კოლხეთში აკადემიის არსებობა, სადაც ქართველებთან ერთად ბერძნებიც სწავლობდნენ. მეცნიერს კარგად ესმოდა, რომ ის უძველესი და სახელგანთქმული ქვეყნის წარმომადგენელი იყო, რომ მის სამშობლოს მადლა აყენებდნენ და დიდ პატივს სცემდნენ თვითონ ბერძნებიც. იგი ყოველი საშუალებით ცდილობდა, ღირსეული შვილი ყოფილიყო იმ ტომისა, რომლის შესახებ ცნობილი ბერძენი მწერალი აგათია სქოლასტიკოსი იუწყებოდა: „ლაზები წარმოადგენენ ძღერსა და მამაც ტომს და სხვა ძღერ ტომებსაც მბრძანებლობენ, ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჩმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიუხვით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქიციტით“<sup>205</sup>.

ს. დანელია ძველი კოლხეთის შესახებ არსებულ უმნიშვნელო ცნობასაც კი უღრმესი სიყვარულით ეცნობოდა და ელოდებოდა. ამის მაჩვენებელია მისი პირადი წერილი სიმონ ყაუხჩიშვილისადმი, რომელმაც უდიდესი ენერჯია შეაღია იმის ძიებას, თუ „რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ“. ს. დანელია გატაცებით ეცნობოდა მის გამოკვლევებს კოლხეთის ისტორიისა და კულტურის საკითხებზე. „რადიდებული სურათები გადამეშალა თვალწინ, – წერდა ის ბატონ სიმონს, – მეექვსე საუკუნის ლაზიკა, მისი სატახტო ქალაქი არქეოპოლისი, გუბაზ მეფის მოკვლა, აიეტის და ფარტაზის სიტყვები, რომლებიც ციცერონის კლასიკურ სიტყვებს გვაგონებენ. მათეს ტრიუმფალური დაბრუნება ბიზანტიიდან,

---

<sup>205</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 3, ტფ., 1936, გვ. 50-51

ჩვენი მთვლემარე ფოთის მიდამოებში ოდესღაც დატრიალუ-  
ბული ისტორიული დრამა, წარსულის დიდი პოლიტიკური  
ბრძოლები და ლაზიკის მონაწილეობა ამ ბრძოლებში და ბევ-  
რი კიდევ სხვა ასეთი ამბავი დღეს იკითხება, როგორც მომხიბ-  
ლავი ლეგენდა. სული მალღდება, სუნთქვა გიმსუბუქდება...  
წიგების კითხვის დროს ბევრს ვფიქრობდი შენზეც. ამ წიგნებ-  
მა უკეთესად გამაცნეს შენი თავი. რამდენი პოეზია უნდა იყოს  
იმ კაცში, რომელიც ამდენს მოგზაურობდა იმერეთსა და სა-  
მეგრელოში და ეძებდა VI საუკუნის ლაზიკის ნაშთებს. ახლა  
საბოლოოდ ვრწმუნდები, რომ ფილოლოგია რომანტიზმის  
შვილია და მშრალი „რაციონალიზმი“ მას სულს უხუთავს. იცოცხლე,  
ძვირფასო სიმონ! იცოცხლე მრავალ წელს! შენი სერგი დანე-  
ლია”<sup>206</sup>.

ვასდაუდებელია ს. დანელიას ამაგი ქართული კულტურის  
განვითარებისა და ბერძნულ-ქართული კულტურულ-ისტორი-  
ული ურთიერთობების ისტორიის შესწავლის საქმეში<sup>207</sup>. ჩვენი  
წიგნების თაროებს ამშვენებს მის მიერ თარგმნილი არისტო-  
ტელის „პოეტიკა“, პლატონის „სოკრატის აპოლოგია“, მონოგ-

---

<sup>206</sup> ბ. კარტოზია, ი. კეკელია, ნათელი ნიშნით შემოსილი, გაზ. „მხარია“, №4, 2002; მათივე, სერგი დანელია ბერძნულ-ქართული ურთიერთობების ისტორიის შესახებ (დაბადების 120 წლისთავისათვის). გაზ. „მარტვილი“, №8, აგვისტო, 2008, გვ. 3; მათივე, ბერძნულ-ქართული ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის საკითხები სერგი დანელიას ნააზრევში. ჟურნ. „ენიგმა“, №4, 2009, გვ. 53-54; მათივე, სერგი დანელია ბერძნულ-ქართული კულტურულ-ისტორიული და ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ. ჟურნ. „ქართველოლოგია“, №4, 2018, გვ. 36-38

<sup>207</sup> მსჯელობისათვის იხ. დ. გულიაშვილი, სერგი დანელია ბერძნული ფილოსოფიისა და აღმოსავლეთის კულტურის ურთიერთმიმართების შესახებ. ჟურნ. „ქართველოლოგია“, №4, 2018, გვ. 46-56; კ. ქეცბაია, დიალოგი ბერძნულ ფილოსოფიასა და აღმოსავლეთის კულტურას შორის სერგი დანელიას მიხედვით. იქვე, გვ. 57-66

რაფიები სპინოზას, ქსენოფანე კოლოფონელის, პარმენიდეს, ძენონის, დემოკრიტეს, სოკრატის, პითაგორელებისა და სხვა-თა შესახებ.

ყველაფერი ის, რისი გამოქვეყნებაც მოახერხა ფილოსოფი-ის დარგში, სრულიად საკმარისია სერგი დანელიას სახელის უკვდავყოფისა და ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია-ში თვალსაჩინო ადგილის დამკვიდრებისათვის<sup>208</sup>.

ბ. კარტოზია ხაზგასმით მიუთითებს, რომ სერგი დანელია მხოლოდ ანტიკური ფილოსოფიის საკითხების კვლევით არ იყო შემოფარგლული, არამედ მან შექმნა შრომები სპინოზას, იუმის, ჰელვეციუსის, ლაიბნიცის და სხვ. შესახებ. ყველა მისი გამოკვლევა პირველწყაროების საფუძველიან ცოდნას ემყარე-ბა. თითქმის ყველა გამოჩენილ ფილოსოფოსს ს. დანელია სა-კუთარ ენაზე ეცნობოდა: არისტოტელეს – ბერძნულად, ლუკ-რეციუსს – ლათინურად, დეკარტეს – ფრანგულად, ლაიბნიცს – გერმანულად, იუმს – ინგლისურად, ჩერნიშევსკის – რუსუ-ლად<sup>209</sup>. ამასთანავე, სერგი დანელიამ დიდი ენერგია შეაღია XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიის კვლევას. ამ მიმართულებით იგი ითვლება თვალსაჩინო მკვლევრად, არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის მასშტაბითაც. მან ქართულ ენაზე შექმნა XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიის პირველი სრულყოფილი კურსი, რომელიც ქართვე-ლი მკითხველის სამაგიდო წიგნად იქცა. ვერცერთი მკვლევარ-ი გვერდს ვერ აუვლის სერგი დანელიას ღვაწლს ამ სფერო-ში<sup>210</sup>.

ბ. კარტოზია ეხება ქართული კულტურისა და ლიტერატუ-

---

<sup>208</sup> ბ. კარტოზია, ი. კეკელია, სერგი დანელია ბერძნულ-ქართული კულტურულ-ისტორიული და ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ. ჟურნ. „ქართველოლოგია“, №4, 2018, გვ. 38

<sup>209</sup> იქვე, გვ. 36

<sup>210</sup> იქვე, გვ. 37-38

რის, ქართული ფილოსოფიური აზროვნების მტკიცებულ საკითხებზე ს. დანელიას შეხედულებებს და შენიშნავს, რომ ფილოსოფოსი დაინტერესებული იყო საქართველოს წარსულითა და მომავლით, ქართველი ხალხის ისტორიის პრობლემათ. გულუბრყვილობა იქნებოდა, რომ ერის მიმართ სერგი დანელიას მიერ გამოთქმულ ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნაში სამშობლოს სიძულვილი დავინახოთ. „ჭეშმარიტი მამულიშვილი, დიდი ილიას თქმით, არ შეიძლება მაღავდეს არც საკუთარ და არც თანამოძმეთა უარყოფით მხარეებს. პირიქით, ვისაც სურს უნაკლო იყოს, მას ნაკლის აღმოჩენისა არ უნდა ეშინოდეს. მხოლოდ ამგვარად შეიძლება გავიგოთ ს. დანელიას წიგნში – „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“ (1927 წ.) – გამოთქმული ზოგიერთი აზრი, რომელმაც ბევრი გაუგებრობა გამოიწვია“<sup>211</sup>.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ფართო გასაქანი მიეცა საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მათ შორის სოციოლოგიური თემატიკის კომპლექსურ კვლევას. ქართველ მეცნიერ-ფილოსოფოსთა საკუთრივ სოციოლოგიური კვლევის თვალსაზრისით გამოირჩევა ბ. კარტოზიას ნაშრომი „ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XX ს. 10-30-იანი წლები)“. მისი ცალკე წიგნად გამოცემა 1977 წელს განხორციელდა, ხოლო მეორე გამოცემაში უფრო ვრცლადაა მოცემული ქართველ მოაზროვნეთა სოციოლოგიური შეხედულებების კვლევის ძირითადი შედეგები. უნდა ითქვას, რომ დასახელებული მონოგრაფია სავსებით სამართლიანადაა აღიარებული უაღრესად რთულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში მოღვაწე ქართველ მოაზროვნეთა – შ. ნუცუბიძის, ს. დანელიას, კ. კაპანელის, მ. გოგიბერიძისა და სხვათა სოციოლოგიური შეხედულებების სისტემური სახით გადმოცემის პირველ სერიოზულ ცდად.

---

<sup>211</sup> იქვე, გვ. 40



ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიაში ბ. კარტოზია XX საუკუნეს და, განსაკუთრებით პირველ ათეულ წლებს, მნიშვნელოვან ადგილს მიაკუთვნებს. ესაა დიდი სოციალური ძვრების პერიოდი, როცა იწყება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის რთული ისტორიული პროცესი, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დამკვიდრება და გამარჯვება. აღნიშნულმა პროცესმა ასახვა ჰპოვა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მამამთავრის – დიმიტრი უხნაძის, ახალი ქართული ფილოსოფიური აზრის უდიდესი წარმომადგენლების – შალვა ნუცუბიძის, სერგი დანელიასა და კონსტანტინე კაპანელის შემოქმედებაში. მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობა უხვ მასალას შეიცავს ქართული ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ესთეტიკური, პედაგოგიკური და სხვა საკითხების ისტორიისათვის. „ნარკვევებში“ ბ. კარტოზია აანალიზებს უმთავრესად მათი მოღვაწეობის სოციოლოგიურ ასპექტებს<sup>212</sup>. მონოგრაფიაში წარმოჩენილია XX საუკუნის გამორჩენილი ფილოსოფოსის – მოსე გოგიბერიძისა და ფართო საზოგადოებისათვის უცნობ სხვა მოაზროვნეთა (კ. გორდელაძე, გრ. გოგიბერიძე, ა. თავაძე, იპ. ვართაგავა, მ. უხნაძე, ე. მირიანაშვილი) წვლილი მარქსისტული სოციოლოგიის – ისტორიული მატერიალიზმის დაცვასა და განმტკიცებაში<sup>213</sup>.

XX საუკუნის I მესამედის ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრის შესახებ ბონდო კარტოზიას გამოკვლევებიდან ზემოთ დამოწმებული და სხვა, ანალოგიური, ურთიერთსაწინააღმდეგო და მიუღებელი დებულებები სადღეისოდ საფუძვლიანად, მიუკერძოებლად და ობიექტურადაა შეფასებულ-გააზრებული. გადასინჯული და უკუგადახედულია დოგმატური და

---

<sup>212</sup> ბ. კარტოზია, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XX ს. 10-30-იანი წლები), გვ. 5-198

<sup>213</sup> ბ. კარტოზია, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XX ს. 10-30-იანი წლები), გვ. 199-229

სუბიექტივისტური შეფასებები და იდეოლოგიური იარაღიყები, რაც ახასიათებდა ამ პერიოდის საზოგადოებრივ და ფილოსოფიურ მეცნიერებებს. ამის მიუხედავად, მკვლევრის არაერთ მოსაზრებას დღესაც თეორიული სიახლე გამოარჩევს. ბ. კარტოზიას გამოკვლევებმა თემატურად და შინაარსობრივად წინ წასწია მისი მასწავლებლების მიერ დაწყებული ძიებები.

2011 წელს ცალკე ბროშურად გამოიცა ბონდო კარტოზიას მცირე ზომის სოციოლოგიური გამოკვლევა „ერი და ეროვნული მოძრაობა“ (თანაავტ. ი. კეკელია). მასში განხილულია სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი და რთული საკითხი – ერისა და ეროვნული მოძრაობის პრობლემები, ძირითადად ერთი ქვეყნის – საქართველოს ისტორიის მაგალითზე. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ერის ცნება დღემდე საბოლოოდ გარკვეული არ არის. რა ნიშნები ახასიათებს ერს; როდის მოხდა ისტორიაში ერების წარმოშობა; როდის იწყება ეროვნული მოძრაობა და ვინ ხელმძღვანელობს მას; როდისაა ის პროგრესული ან რეაქციული; როგორია მიმართება ეროვნულ და სოციალურ მოძრაობებს შორის; როგორია ერებისა და ეროვნული ენების საბოლოო ბედი? სწორედ ამ კითხვებზე პასუხების ძიებას ისახავს მიზნად ზემოთ დასახელებული მცირე ზომის სოციოლოგიური გამოკვლევა. რა არის ერი და როგორია მისი ძირითადი ნიშნები? ერის უპირველესი ნიშანია ენა. ყოველ ერს საკუთარი ენა უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ. სხვა ერის ენაზე მოლაპარაკე ხალხი შეუძლებელია ჩაითვალოს სრულყოფილ ერად. მას ენასთან ერთად აკლია კულტურული ღირებულებანი. ენის მეოხებით შექმნილი კულტურული ღირებულებანი, როგორცაა, მაგალითად, მითები და თქმულებები, ტრადიციები, ადათ-წესები, ხალხური პოეზია, იგავ-არაკები და სიმღერები თაობიდან თაობას გადაეცემა. ეროვნული სულის ჩამოყალიბებას

გარკვეული პერიოდი ჭირდება<sup>214</sup>.

ერისა და ენის ურთიერთობის ისტორიის შესახებ ნაშრომში აღნიშნულია, რომ „ორი ერი ერთი ენით არაბუნებრივი მოვლენაა, რომელსაც ხელოვნურობის ბეჭედი აზის. მაგრამ თუ შეიძლება ერთი ერი ორი ენით? ჩვენი აზრით, შეუძლებელია ერს ორი ენა ჰქონდეს. არც ეს იქნება ბუნებრივი მოვლენა. ყველა ერი, სხვისგან განსხვავებულ, თავის საკუთარ ენაზე მეტყველებს, აზროვნებს; არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ახლოსაა იგი რომელიმე მეზობლის ან ძმის ენასთან, ან საიდან მომდინარეობს; მთავარია ხალხის ძირითადი მასის დამოკიდებულება ენისადმი. მეორე ენა უთუოდ თავსმოხვეული ენაა. არ არის გამორიცხვული ძალდატანება, იძულება. არც ორი ერი ერთი ენით და არც ერთი ერი ორი ენით. ერთიც და მეორეც ბუნების საწინააღმდეგო მოვლენად უნდა ჩაითვალოს”<sup>215</sup>.

ერის არსებით ნიშანთა შორის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება **ეროვნულ თვითშეგნებას**. ავტორების აზრით, ეროვნული თვითშეგნების გარეშე არსებული ხალხი ერი არ არის. ეროვნული თვითშეგნება იმას ნიშნავს, რომ ერის ყველა სოციალური ფენა, ჯგუფები, კლასები საერთო ეროვნულ ინტერესებს უპირველესად და უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ვიდრე პირადს, ჯგუფურს, ვიწროკლასობრივს და ა. შ. ერის ყველა ფენა ეროვნული თვითშეგნებით უნდა იყოს გამსჭვალული<sup>216</sup>. საერთოეროვნული ინტერესების დაცვა უპირველესი მოვალეობაა. პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვაზე უფრო საშიში ეროვნული თვითშეგნების დაკარგვაა. ეროვნული თვითშეგნება, როგორც მუდმივმოქმედი ძალა, არის დუღაბი საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, საერთო მიზ-

---

<sup>214</sup> ბ. კარტოზია, ი. კეკელია, ერი და ეროვნული მოძრაობა, თბ., 2011, გვ. 5-6

<sup>215</sup> ბ. კარტოზია, ი. კეკელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 6

<sup>216</sup> ბ. კარტოზია, ი. კეკელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 19

ნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად, ერის ყველა ფენის შესაკავშირებლად, რაც ზოგჯერ პოლიტიკური ძალის ფუნქციასაც ასრულებს<sup>217</sup>.

იდეოლოგიური გამართლებების ძეხნით ერის ერთი ნაწილის საომრად წასვლა მეორის წინააღმდეგ ერის არსებობას საფრთხეს უქმნის. ასეთი დაპირისპირების დიდხანს გაგრძელება ერს დაღუპვის პირამდე მიიყვანს.

ნაშრომში დასმული პრობლემების გარშემო მოცემული მსჯელობები დასკვნის სახით ასეა ჩამოყალიბებული: **ერი ესაა „ერთ ენაზე მოლაპარაკე და ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირ-ერთობა, რომელიც დამყარებულია საერთო ადათ-წესებზე, ერთიან ეკონომიკაზე, განმტკიცებულია პოლიტიკური ერთობით და ღრმა ეროვნული თვითშეგნებით“<sup>218</sup>.**

ავტორები არკვევენ ეროვნული მოძრაობის საკითხს, პირველ ყოვლისა, იმას, თუ როდის იწყება იგი და როდისაა ან პროგრესული, ან რეაქციული. დასმულ კითხვაზე გაცემულია მოკლე პასუხი: **„ეროვნული მოძრაობა იწყება მაშინ, როდესაც ერი კარგავს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, თავის სახელმწიფოს, პოლიტიკურ მმართველობას, როდესაც მას იპყრობს და იმორჩილებს გარეშე მოძალადე და ისიც იმ შემთხვევაში, როცა ერში მოიპოვება საამისო ძალა, როდესაც ერში აღმოჩნდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამწყები, ხელმძღვანელი, ვინც ღარაზმავს და ერთ მუშტად შეკრავს ეროვნულ ძალებს“<sup>219</sup>.** ასეთად შეიძლება მოგვევლინოს ყველაზე თავგამოდებულ, პატრიოტ ადამიანთა ჯგუფი, ან ცალკე აღებული პიროვნება – მეფე, მხედართმთავარი, მწერალი, ფილოსოფოსი, მეცნიერი, ხელოვანი, საზოგადო მოღვა-

---

<sup>217</sup> იქვე, გვ. 19

<sup>218</sup> იქვე, გვ. 20

<sup>219</sup> იქვე, გვ. 22-23

წე<sup>220</sup>. ეროვნული ბრძოლაა დავით აღმაშენებლის ბრძოლა სა-ქართველოს გაერთიანებისა და განთავისუფლებისათვის. ეროვნული მოძრაობის მაგალითია აგრეთვე ქართველი დიდებულების – ერისთავთა საიდუმლო შეკრება კონსტანტავზე, მონღოლთა უღლის გადასაგდებად. ეროვნული მოძრაობის ისტორიაში სანიშანსვეტო თარიღია 1832 წლის შეთქმულება, ილიასა და მისი დასის ბრძოლა<sup>221</sup>.

ეროვნული მოძრაობის პროგრესულობა-რეაქციულობის შესახებ ავტორთა შეხედულება შემდეგი სახისაა: ეროვნული მოძრაობა ყოველთვის პროგრესულია თავისი მიზანდასახულობით. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ უწევს ხელმძღვანელობას მას – თავადაზნაურობის, ბურჟუაზიის თუ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი. ეროვნული მოძრაობის შედეგია ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვება. სოციალური საკითხი უნდა დაექვემდებაროს ეროვნულს. ჯერ ეროვნულია, მერე – სოციალური. „თუ ქვეყანა სხვისი მონა-მორჩილია, ამას შინაგანი სოციალური ცვლილებების უფლება და შესაძლებლობა მაინც არა აქვს. იგი სხვის ნებას უნდა დაემორჩილოს, სხვისი კარნახით და წესებით უნდა იცხოვროს. შინაგანი სოციალური საკითხების გადაწყვეტას ერის საკუთარი ნება სჭირდება“<sup>222</sup>.

თანამედროვე მსოფლიო პროცესებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება, ხალხის მიერ არჩეულ მმართველობასთან ერთად, ქვეყნის იდეალია.

თუკი განთავისუფლებული ერი ახალი, უფრო ჩამორჩენილი და ველური დამპყრობლის ხელში ჩავარდება, ასეთ შემ-

---

<sup>220</sup> იქვე, გვ. 23

<sup>221</sup> იქვე

<sup>222</sup> იქვე, გვ. 24

თხვევაში ეროვნული მოძრაობა მიზანშეუწონელია<sup>223</sup>.

საქართველოს მუდმივი ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართული ნაციონალიზმით იყო განპირობებული. ამ გრძნობით გამსჭვალული საქართველო, – წერენ ავტორები, – ახერხებდა თვითმყოფადობის შენარჩუნებას. „ომებიდან ეროვნული მოძრაობისაკენ და ეროვნული მოძრაობიდან ომებისაკენ – ასეთ ორომტრიალში გაიარა საქართველოს ისტორიამ და ამ გაუთავებელ პროცესში ქართული ნაციონალიზმი დადებით, პროგრესულ როლს თამაშობდა. არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში პატარა და დიდი ერის ნაციონალიზმი. დიდი ერის ნაციონალიზმი შოვინიზმისა და მილიტარიზმის საფუძველია“<sup>224</sup>.

ერებისა და ენების საბოლოო ბედის საკითხის შესახებ აღნიშნულია, რომ ერი, როგორც ისტორიული მოვლენა, წარმოიშვა კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. როგორია მისი მომავალი, საბოლოო ბედი? მსოფლიო ისტორია არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ერი და მისი ენა მარადიულ კატეგორიებად იქნას აღიარებული. **მრავალეროვნება** და **მრავალენოვნება**, ერთმანეთისაგან განსხვავებული მრავალი ერისა და ენის გაჩენა საზოგადოებრივი გამოხატულებაა. მრავალმა პატარა ერმა ვერ გაუძლო არსებობისათვის ბრძოლის უღმობეღ კანონს – გარეშე ძალას, დაპყრობით ომებს, და გაქრა ასპარეზიდან. ერის არსებობისათვის საჭიროა, რომ ომები გამოირიცხოს კაცობრიობის ცხოვრებიდან. კეთილი ნებით ერთმანეთთან დაკავშირებული ერები ერთმანეთის მოსპობისთვის კი არ იღვწიან, არამედ ერთმანეთის წინსვლასა და ძლიერებას უწყობენ ხელს, იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას და ამდიდრებენ ერთმანეთს <sup>225</sup>. „ერთგვაროვანი მსოფ-

---

<sup>223</sup> იქვე, გვ. 25

<sup>224</sup> იქვე, გვ. 26

<sup>225</sup> იქვე, გვ. 26-27

ლიო ერთი, ყველსათვის გასაგები და საერთო ენით – მეტად მძიმე და აუტანელი განაჩენია მსოფლიოსათვის, კაცობრიობისათვის, ბუნებისათვის... თავისი ნებით არცერთი არ ისურვებს ცხოვრების ასპარეზიდან წასვლას, არ ჩაიდენს თვითმკვლელობას”<sup>226</sup>.

ერისა და ეროვნული მოძრაობის საკითხებზე ავტორთა მსჯელობა, როგორც ნაშრომშია აღნიშნული, მოკლებულია კატეგორიულობას. ბუნებრივია, წიგნში მოტანილ თვალსაზრისს არ გაიზიარებს ბევრი ქართველი სოციოლოგი. ამიტომ ყველას აქვს უფლება, მას კრიტიკული თვალთ შეხედოს<sup>227</sup>.

---

<sup>226</sup> იქვე, გვ. 28

<sup>227</sup> იქვე, გვ. 21; მსჯელობისათვის იხ. ბ. კარტოზია, ი. კეკელია, ისტორიამ არ იცის ისეთი ფაქტი, რომ ერი ერთდროულად ორ ენაზე ლაპარაკობდეს!.. გაზ. „მარტვილი”, №5, 30 ივნისი, 2011, გვ. 6, 8; ბ. კარტოზია, ი. კეკელია, ერის ზოგიერთი არსებითი ნიშნის შესახებ. გაზ. „მარტვილი”, №6, 30 ივლისი, 2011, გვ. 3, 8

## ბონდო კარტოზიას ძირითადი სამეცნიერო შრომების სია

გამარჯვების წელი (ლექსი), „სოციალისტური სოფელი“ (გეგმეპკორის რაიონული გაზეთი), №1, 4 იანვარი, 1945.

სადამოს ბინდში (ლექსი). „ახალგაზრდა კომუნისტი“, №100, 20 სექტემბერი, 1945.

ი. ბ. სტალინი ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირებულობის მოსპობისა და მათ შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის შესახებ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 26 თებერვალი, 1953.

ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის სამი ძირითადი წინაპირობის შესახებ. თსუ გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი“, 3 მარტი, 1953.

კ. მარქსის ფილოსოფიურ შეხედულებათა შესახებ [რეცენზია წიგნზე: ო. ბაკურაძე, „კარლ მარქსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბების საკითხისათვის“, თბ., 1953]. „საქართველოს კომუნისტი“, №2, 1954, გვ. 80-87.

ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომების V ტომი. თანაავტ. ნ. კიკვაძე. „საქართველოს კომუნისტი“, №7, 1955, გვ. 82-88.

წიგნი მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ [ს. წერეთელი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, თბ., 1955]. თანაავტ. ვ. კალანდარიშვილი. „საქართველოს კომუნისტი“, №11, 1956, გვ. 90-94.

მასალები ლექციისათვის თემაზე: ბურჟუაზიული და პროლეტარული ათეიზმის შესახებ. თბ., 1956.

ისტორიული მატერიალიზმი. ავტორები: კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, პ. გუჯაბიძე, გ. ინწკირველი, შ. ბიწაძე, ს. სახაროვი, ბ. ლუტიძე, ა. გელაშვილი, ა. გონიაშვილი, ბ. კარტოზია, დ. ქებური, გ. ასათიანი, ვ. კალანდარიშვილი, გ. ბაჩულაშვილი, შ. გაბილაია, ლ. ესაიაშვილი. რედაქტორები: გ. ასათიანი, პ. გუჯაბიძე, ლ. ესაიაშვილი, ბ. კარტოზია, ბ. ლუტიძე. თსუ გამომცემ-



ღობა, თბ., 1957.

მეტი ყურადღება აქტუალური ფილოსოფიური პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას [რეცენზია ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომების VII ტომზე, თბ., 1953]. თანაავტორი ვ. კაღანდარიშვილი. ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, №7, 1959.

ვ. ი. ლენინი პროლეტარული ათეიზმის შესახებ. კრ. „90 წელი ვ. ი. ლენინის დაბადებიდან“. თბ., 1960.

საზოგადოება და პიროვნება. თსუ შრომები, ტ. 97, თბ., 1961.

ფილოსოფიის ისტორიის მოკლე კურსი [რეცენზია წიგნზე: კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, პ. გუჯაბიძე, ვ. კილაძე, მ. ჭელიძე, მ. ნემსაძე, „ფილოსოფიის ისტორია“, თბ., 1962]. თანაავტორები: რ. კვიციანიძე, გ. რუსია. „მნათობი“, N7, 1962, გვ. 188-190.

ნარკვევები საქართველოში იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიის საკითხებზე [რეცენზია წიგნზე: ლ. გიორგაძე, „იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში“, თბ., 1963], „მნათობი“, №6, 1963, გვ. 188-189.

საყურადღებო ნაშრომი [რეცენზია წიგნზე: ე. კოდუა, „ორგანიციციტული სოციოლოგიის განვითარების ტენდენციები“, თბ., 1964]. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 24 ოქტომბერი, 1964.

მარქსისტული ფილოსოფიის მნიშვნელოვანი პრობლემა [დ. კაღანდაძე, „ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობის საკითხისათვის შემეცნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“, თბ., 1964]. „საქართველოს კომუნისტი“, №3, 1965, გვ. 92-94.

გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი [ს. დანელიას გარდაცვალებიდან 5 წლისთავის გამო]. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 20 მაისი, 1968.

მეცნიერის ხსოვნის აღსანიშნავად [ინფორმაცია თსუ-ში 1968 წლის 21 მაისის სესიაზე]. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 3 ივნისი, 1968.

გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი. გაზ. „შრომის დროშა“. 6 ივნისი, 1968.

დიდი მეცნიერი და პედაგოგი. გაზ. „კოლხეთი“ (ცხაკაიას

რაიონული გაზეთი), 27 აგვისტო, 1968.

დიდი მეცნიერი და პედაგოგი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 5 დეკემბერი, 1968.

ხელოვნებისა და რელიგიის ურთიერთობის საკითხისათვის [გ. რუსია, „ხელოვნება და რელიგია“, თბ., 1967]. „მნათობი“, №9, 1968, გვ. 186-188.

ისტორიის მატერიალისტური გაგება კარლ მარქსის უდიდესი მეცნიერული აღმოჩენაა. კრ. „მარქსის მოძღვრება ყოვლადძლიერია“, თბ., 1969, გვ. 174-190.

კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია და თანამედროვეობა (მონოგრაფია), რედაქტორი დ. იუკურიძე. თბ., 1969, 140 გვ.

ხელოვნების თეორიის საკითხები შ. ნუცუბიძის შემოქმედებაში. „ცისკარი“, №2, თბ., 1970.

ქართული ფილოსოფიური აზრი სოციალისტური რევოლუციის პირველ ეტაპზე. „მნათობი“, №7, თბ., 1970.

ვ. ი. ლენინი და XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრი. ჟურნ. „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“. №1, 1970, გვ. 40-45.

სერგი დანელია (მონოგრაფია), რედაქტორი აპ. ჟორდანიას. თბ., 1970.

ს. დანელიას ცხოვრება და ფილოსოფიური შემოქმედება. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის XV სამეცნიერო სესიის თეზისები. გეგეჭკორი, 1971.

ფილოსოფიური აზრის განვითარება საბჭოთა საქართველოში. ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, №8, 1971.

მნიშვნელოვანი შენაძენი ნეოპლატონური ფილოსოფიის შესწავლის საქმეში [რეცენზია წიგნზე: თ. კუკავა, „იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა“, თბ., 1971]. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 29 ივნისი, 1971.

სახელმძღვანელოს ეს არ შეჰფერის [ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ „დიალექტიკურ მატერიალიზმში“ დაშვე-

ბული ენობრივი შეცდომების გამო]. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 10 დეკემბერი, 1971.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული ფილოსოფიური აზრი (მონოგრაფია), რედაქტორი ო. გრატიაშვილი. თბ., 1971, 108 გვ.

მეცნიერის სახელობისა. თანაავტორი რ. შამელაშვილი. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 9 სექტემბერი, 1972.

ქართული ფილოსოფიური აზრი საბჭოთა კავშირის შექმნის პერიოდში. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 14 დეკემბერი, 1972.

ს. დანელიას პედაგოგიკური შეხედულებანი“. „სკოლა და ცხოვრება“, №2, თბ., 1973.

ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი [სიით ლარცულიანის დაბადების 70 წლისთავის გამო]. თანაავტ. ვ. კალანდარიშვილი. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 27 აგვისტო, 1974.

დ. უზნაძის სოციოლოგიური შეხედულებები. თსუ შრომები, ტ. 169, თბ., 1975, გვ. 207-215.

სოციოლოგიის საკითხები დ. უზნაძის შრომებში. „განთიადი“, №2, 1977, გვ. 167-171.

ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XXს. 10-30-იანი წლები). მონოგრაფია. რედაქტორი ბ. ლუტიძე. თბ., 1977.

მეთოდური მითითებანი, სანიმუშო გეგმა: მასალები და რეკომენდებული ლიტერატურა ლექციისათვის თემაზე: კლასები და კლასობრივი ურთიერთობანი. თბ., 1978.

დიდი მეცნიერი და პედაგოგი [ს. დანელიას დაბადებიდან 90 წლისთავის გამო]. გაზ. „შრომის დროშა“, №73, 16 ივნისი, 1978.

ბურჟუაზიული სოციოლოგიის კრიტიკის ისტორიიდან საქართველოში. თსუ შრომები, ტ. 195, თბ., 1978, გვ. 189-197.

ბრწყინვალე პოეტური ქმნილება [თ. კუკავა, იოანე პეტრიწის წიგნი ათ-ორ თავისა, თბ., 1978]. „თბილისი“, 13 ოქტომბერი, 1978.

დიდი ქართველი მოაზროვნე [შალვა ნუცუბიძის დაბადების 90-ე წლისთავის გამო]. „თბილისი“, 26 დეკემბერი, 1979.

მარქსისტული ფილოსოფიის მნიშვნელოვანი პრობლემა [გ. რუსია, თავისუფლება და პიროვნება“, თბ., 1979], „საქართველოს კომუნისტი“, №8, 1980, გვ. 94-96.

რევოლუცია და ენა [ს. დანელიას დაბადებიდან 90 წლისთავის გამო]. „ცისკარი“, №5, თბ., 1980, გვ. 147-148.

დ. უზნაძის სოციოლოგიური შესედელებანი (1910-1920 წწ.). მონოგრაფია, რედაქტორი ბ. ლუტიძე. თბ., 1980, 56 გვ.

მეცნიერული კვლევის სიხარული [ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორ თ. კუკავას შესახებ]. „თბილისი“, 4 აპრილი, 1981.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული სოციოლოგიური აზრი. გაზ. „საბჭოთა აგრონომი“, 27 თებერვალი, 1981.

მარქსისტული ფილოსოფიის დამკვიდრებისათვის ბრძოლა საქართველოში. ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, №5, 1983, გვ. 44-49.

რუსეთის უმაღლესი სასწავლებლები – ქართველ მეცნიერთა აღზრდის კერა. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 10 სექტემბერი, 1983.

გეჭირდება ამდენი ბრძოლა? გაზ. „თბილისი“, 22 ივლისი, 1986.

დიმიტრი უზნაძე ყოფნა-არყოფნის პრობლემის შესახებ და ქართული ხალხური პოეზია. „ცისკარი“, №8, 1986, გვ. 151-156.

ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XXს. 10-30-იანი წლები). მონოგრაფია. რედაქტორი ბ. ლუტიძე. თბ., 1986, 234 გვ.

მეთოდური მასალები ასპირანტებისა და მაძიებლებისათვის დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში. შემდგენლები: ლ. ანტონოვა, ა. გონიაშვილი, ბ. კარტოზია. თბ., 1987, 126 გვ.

ჯოგი თუ ჯორი? [„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის შესახებ]. „კრიტიკა“, №4, თბ., 1988, გვ. 6.

მოგვენატრეთ, მეზობლებო! ღია წერილი ბანძიდან წასულ გბრაელებს. გაზ. „სამშობლო“, აპრილი, 1990, გვ. 6.

ილიას გზით. გაზ. „თბილისი“, 7 ივნისი, 1990.

ერის იდეის მებაირახტრე [სერგი დანელია]. გაზ. „ჭყონდილი“, 12 იანვარი, 1991. იგივე სტატია დაიბეჟდა კრებულში – „ერის იდეის მებაირახტრე“ (ედღვნება პროფ. სერგი დანელიას 130-ე წლისთავს), ქუთ., 2018, გვ. 162-167 [რედაქტორი ი. კეკელია].

ერი, ეროვნული უწინარეს ყოვლისა. გაზ. „თბილისი“, 22 ოქტომბერი, 1991.

ახალი გამოკვლევა [კარლო ბლაგიძე, „სერგი დანელიას გნოსეოლოგიური შეხედულებანი“, თბ., 1997]. თანაავტორი ი. კეკელია. გაზ. „ახალი ქუთაისი“, №98-99, 4 დეკემბერი, 1998.

„არა სიცოცხლე, არა სიკედილი, არამედ რაღაც სხვა“ (ცოტა რამ ტერენტი გრანელის შესახებ). გაზ. „ახალი ქუთაისი“, 18 დეკემბერი, 1998.

სიმაღლიდან [დეკანოზი ანტონ კეკელია და პროფესორი სერგი დანელია: მასწავლებელი და მოწაფე]. გაზ. „მარტვილის მაცნე“, მაისი-ივნისი, 2000. იგივე სტატია დაიბეჟდა კრებულში – „ერის იდეის მებაირახტრე“ (ედღვნება პროფ. სერგი დანელიას 130-ე წლისთავს), ქუთ., 2018, გვ. 144-146 [რედაქტორი ი. კეკელია].

ნათელი ნიშბით შემოსილი [სერგი დანელია]. თანაავტორი ი. კეკელია. გაზ. „მახარია“, №4, 2001.

სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი. თანაავტორი ი. კეკელია. რედაქტორი დ. ნაჭყებია. თბ., 2008, 76 გვ.

ისტორიამ არ იცის ისეთი ფაქტი, რომ ერი ერთდროულად ორ ენაზე ლაპარაკობდეს!.. [თანაავტ. ი. კეკელია]. გაზ. „მარტვილი“, №5, 30 ივნისი, 2011, გვ. 6, 8.

ერის ზოგიერთი არსებითი ნიშნის შესახებ [თანაავტ. ი. კე-

კელია]. გაზ. „მარტვილი”, №6, 30 ივლისი, 2011, გვ. 3, 8.

ერი და ეროვნული მოძრაობა (სოციოლოგიური ანალიზი). თანაავტორი ი. კეკელია. რედაქტორი პროფ. ნ. ნათაძე. ქუთ., 2011, 32 გვ.

სერგი დანელია ქართველი სამღვდელთა შესახებ. გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის – სერგი დანელიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი VII რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, 23 მაისი, 2014, მუშაობის პროგრამა და მასალები. მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი და ქუთაისის საკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთ., 2014, გვ. 36-37 [თანაავტორი ი. კეკელია].

## **ბ. კარტოზიას შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურის სია**

შ. ადვიშვილი, წიგნი ისტორიულ მატერიალიზმზე [რეცენზია: ისტორიული მატერიალიზმი. სარედაქციო კოლეგია: გ. ასათიანი, პ. გუჯაბიძე, ლ. ესაიაშვილი, ბ. კარტოზია, ბ. ლუტიძე. თსუ გამომცემლობა, თბ., 1957]. „მნათობი”, №1, 1959, გვ. 174-176.

გ. ასათიანი, მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებაში [ბ. კარტოზია, „კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია და თანამედროვეობა”, თბ., 1969]. „საქართველოს კომუნისტი”, №12, 1969, გვ. 85-86.

ს. არველაძე, საყურადღებო ნაშრომი ლენინური თეორიის საკითხებზე. გაზ. „ქუთაისი”, 18 მარტი, 1970.

პ. ხმალაძე, წიგნი გამოჩენილ ქართველ მეცნიერზე [ბ. კარტოზია, სერგი დანელია, თბ., 1970]. გაზ. „კოლხეთი”, 24 სექტემბერი, 1970.

ი. ცანავა, წიგნი გამოჩენილ ქართველ მეცნიერზე [ბ. კარ-

ტოზია, სერგი დანელია, თბ., 1970]. გაზ. „შრომის დროშა“, №114, 26 სექტემბერი, 1970.

ბ. ურიდია, მეცნიერთა სოციოლოგიური შეხედულებანი [რეცენზია ბ. კარტოზიას წიგნზე, „ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XXს. 10-30-იანი წლები)“, თბ., 1977]. „თბილისი“, 30 მაისი, 1978.

ც. ბრეგვაძე, სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან [რეცენზია ბ. კარტოზიას წიგნზე, „ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XXს. 10-30-იანი წლები)“, თბ., 1977]. „წიგნის სამყარო“, №3, 1979, გვ. 3.

ვულოცავთ ლაურეატებს [1978 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში: ფ. თოდუა, კ. ცაცანიდი, დ. იოსელიანი, ი. პეტროსიანი, ი. ბახტაძე, ვ. ლორთქიფანიძე, ს. სიტნიკოვი, ო. ხომერიკი, ბ. კარტოზია]. „თბილისი“, 9 ნოემბერი, 1988.

დ. ნაჭყებია, რედაქტორისაგან, წიგნში: ბ. კარტოზია, ი. კეკელია, „სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი“, თბ., 2008, გვ. 3-6.

ი. კეკელია, ქართული ფილოსოფიის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი (პროფესორ ბონდო კარტოზიას დაბადების 100 წლისთავის გამო). სამეცნიერო კრებული „პავლე ინგოროყვა 130“, ქუთ., 2024, გვ. 152-160.

ი. კეკელია, ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი. გაზ. „მარტვილი“, ოქტომბერი, 2023.

პატივცემულო ბონდო!

ვერ შევძელი გაზეთის ნომერი გამომეგზავნა. საქმე იმაშია, რომ მე ერთი ნომერი აღმომაჩნდა, რაც ჩაკერებული მაქვს და ვერ გავიმეტე, ხოლო რატომღაც სკოლის ბიბლიოთეკაში ეს ნომერი არ აღმოჩნდა. მისი ძებნამ ამონაწერის გამოგზავნაც დამიგვიანა. დიდ ბოდიშს გიხედი დაგვიანებისათვის.

აღნიშნული წერილი მრავალხმრივ საინტერესოა ბანძის შესახებ. ამიტომ გირჩევთ „ივერიაში“ წაიკითხოთ. სკოლის შესახებ გარკვეულია, რომ ერთკლასიანი სკოლა 1879 წელს დაარსებულია, ხოლო სამრევლო სკოლა კი ჩანს 1890 წლის ახლოსაა გახსნილი. ეს წერილობითი ცნობაა და ამდენად წყარო და დასაყრდენია. გადმოცემები ბევრ შემთხვევაში არ არის სანდო და იგი, თუ გვაქვს საშუალება, წერილობით წყაროს უნდა შევუფარდოთ.

ბანძის სკოლის იუბილის შესახებ, როგორც ხედავთ, საკითხი დავაყენე, აწ ბანძელებზეა საქმე. რატომ უნდა დარჩეს უყურადღებოდ! ამ საქმეში თქვენ შეგიძლიათ სათანადო წვლილი შეიტანოთ.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

ღრმა პატივისცემით შალვა ჯღარკავა

18.02. 70

ს. ლეხაინდრაო

P. S. მზად ვარ გემსახუროთ, თუ რამეში დაგჭირდით.



## პატივცემულო ბონდო!

ერთ საინტერესო საკითხზე თქვენი აზრი მაინტერესებს. საკითხი ბანძის სკოლის ისტორიას ეხება.

1891 წელს გაზეთ „ივერიის“ №97 დაბეჭდილია თეიმურაზ ჭიჭინაძის წერილი. იგი ეხება სოფელ ბანძის იმდროინდელ მდგომარეობას. სკოლის შესახებ შემდეგს წერს: „ორიოდე სიტყვა სკოლაზედაც. აგერ თორმეტი წელიწადია, რაც ბანძის საზოგადოებამ დააარსა ერთკლასიანი სასწავლებელი. აქამდე სწავლის საქმე კარგად მიდიოდა. ყმაწვილი უკან არავინ დაუბრუნებიათ, ვინც კი მისაბარებლად მიუყვანიათ, ხოლო ამ უკანასკნელს წლებში კი საქმე ცოტა არ იყოს გაგვიჭირდა. მრავალს ყმაწვილს დააბრუნებენ ხოლმე უკან ადგილის უქონლობის გამო. ადგილობრივმა მღვდელმა ცალკე გახსნა სამრევლო სკოლა, რაკი დაატყო, რომ ეს ერთ კლასიანი სასწავლებელი არა კმაროდა. მაგრამ ჩემის აზრით ეს ცოტაოდენი უხერხული საქმეა. უკეთესი იქნება მღვდელმა და სოფლის სკოლის მასწავლებელმა ამხანაგურად იმუშაონ და ერთი ორკლასიანი სკოლა იქონიონ ცალ-ცალკე შრომის მაგიერ. ეს მით უფრო ადვილი და მოსახერხებელია, რომ საზოგადოება დიდად თანაუგრძნობს ამ საქმეს და მზად არის შეძლებისამებრ დახმარებაც აღმოუჩინოს, თუკი მოთავეობას იკისრებს ვინმე“.

ბატონო ბონდო! ეს ტექსტი 1969 წელს ჩვენი რაიონულ გაზეთში დავებეჭდე და ავღნიშნე, რომ ბანძის სკოლის 90 წლის თარიღის აღნიშვნა რაიონის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება (გაზ. „შრომის დროშა“, 4 ოქტომბერი, 1969). ბანძელები არ გამოხმაურებიან.

წელს სრულდება 100 წელი. მაინტერესებს თქვენი აზრი. ჭიჭინაძის გადმოცემა ეჭვს არ იწვევს, რომ ბანძაში ერთკლასიანი სასწავლებელი 1879 წელს დაუარსებიათ. 1891 წელს მეორე სკოლაც ყოფილა, რომელსაც სამრევლო სკოლა რქმევია. აქ უთუოდ ანტონ კეკელია იგულისხმება მის დამაარსებლად. ჭი-

ჭინაძის ცნობა არის თუ არა საკმაო საფუძველი თარიღის დასადგენად?

გთხოვთ ამ საკითხზე ბატონ იური კაჭარავას ესაუბროთ, სხვა ბანქელ მეცნიერებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც მშობლიური სოფლის აგკარგით არიან დაინტერესებული. მე არა ვარ ბანქელი, მაგრამ გულით მსურველი ვიყავი ათი წლის წინ და ვარ ეხლაც, სინამდვილე არ დაიკარგოს და მით ისარგებლოს სოფელმა. ეს ხომ დიდი საამაყო საქმეა. საქმე დაინტერესებაზეა. ბანქელებმა შარშან სკოლის შენობის გახსნასთან დაკავშირებით რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში სკოლის დაარსების თარიღად 1896 წელი (!) უჩვენეს. ასეთი უცოდინარობა საწყენია.


სიტყვა თქვენ გეკუთვნით, პატივცემულო ბანქელო მეცნიერებო, ამ სკოლის აღზრდილებო!

ღრმა პატივისცემით შალვა ჯღარკავა  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი  
სოფ. ლეხაინდრაო  
28/III - 79 წლის





ბ. კარტოზიას სახლი სოფელ ბანბაში (ამჟამად არ დგას). 1964 წ.



ბ. კარტოზიას მიერ ფოტოზე შესრულებული წარწერა. 1965 წ.



ბ. კარტოზია თავის დასთან - ქეთო კარტოზიასთან ერთად



პროფესორები – ბონდო კარტოზია და ვახტანგ  
კალანდარიშვილი



**ბ. კარტოზია და ისტორიკოსი ჟორესი ბანძელაძე**



**მეუღლესთან ვენერა ცანავასთან ერთად**



ბ. კარტოზია და ფსიქოლოგი ვლ. ნორაკიძე. 1980, თებერვალი



შვილებთან - მერაბთან და ანასთან ერთად. 1960 წ., იანვარი






დედასთან - ანა კარტოზიასთან ერთად. ფოტო გადაღებულია ბანძაში. 1958 წ., აგვისტო.



ბონდო კარტოზია მეუღლესთან - ვენერა ცანავასთან (1928-1993 წწ.) და შვილებთან - მერაბთან და ანასთან ერთად. 20 ივლისი, 1966.



ბონდო და ანა კარტოხიები. იანვარი, 1970.



ბონდო კარტოხია შვილიშვილებთან – გიორგი ბანძელაძესთან და ნიკა კარტოხიასთან ერთად. 1981.



სექტემბერი, 1958.



ისტორიკოსი ფარნა ლომაშვილი, ფილოსოფოსი ბონდო კარტოზია,  
ფილოლოგი ბეჟან ბარდაგელიძე. თბილისი, 1989 წ.



ლებარდეში. 1954.



პირველ რიგში: ბონდო კარტოზია და ბიძინა ლუტიძე.  
მეორე რიგში: პროფესორი არჩილ გონაშვილი, გრამიტონ  
ჯოლოსხაგა, გაბრიელ ბაჩულაშვილი, გურამ ასათიანი, 1957.



მარცხნიდან მეოთხე გ. ასათიანი, მეექვსე - ბ. კარტოზია.  
ნოემბერი, 1961 წ.



მარცხნიდან: სხედან - არჩილ გონაშვილი, ბონდო კარტოზია,  
მესამე დგას - ვახტანგ კალანდარიშვილი.  
ფოტო გადაღებულია სოფელ კახში, მდინარე ქურმუხთან.  
ივნისი, 1959.



ექსკურზიაზე, ჩარგალში. 10 ივნისი, 1967.



ბონდო კარტოხია (წინა პლანზე), ურთის მთაზე, ხობის რაიონი.  
აპრილი, 1961.



მარცხნიდან მეორე – ბონდო კარტოზია; მეექვსე – გურამ ასათიანი;  
მერვე – ვახტანგ კალანდარიშვილი. ხობის მონასტერი,  
აპრილი, 1961.



ბონდო კარტოზია, გურამ ასათიანი და ვახტანგ კალანდარიშვილი  
ხობის რაიონში. აპრილი, 1961.





**ვერეს ხეობაში. მარტი, 1986**



**ვერეს ხეობაში. მარტი, 1986**



**ბონდო კარტოზია, შოთა ქისტაური, ზურაბ აბაშიძე და  
ბორის წოწონავა. 1978.**



**მარცხნიდან მესამე - ფსიქოლოგი რეზო ნათაძე,  
მეოთხე - ფილოსოფოსი ოთარ გაბიძაშვილი,  
მეხუთე - ბონდო კარტოზია. იანვარი, 1982**



დიმიტრი კალანდაძე - ფილოსოფოსი, რევაზ გრძელიძე - ფილოლოგი, ბონდო კარტოზია - ფილოსოფოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ბიჭიკო დიასამიძე - ბათუმის პედაგოგიკური ინსტიტუტის თანამშრომელი. ბათუმი. ნოემბერი, 1982.



**პროფესორები ბონდო კარტოზია და თეიმურაზ ფანჯიკიძე  
ჩარგალში, გაყა-ფშაველას სახლ-მუზეუმის ეზოში. 10 ივნისი, 1967.**



**კონსტანტინე მკურნალი და ბონდო კარტოზია**

## ავტორის შესახებ

**იგორ კეკელია** – მეცნიერი, პუბლიცისტი, პედაგოგი; დაიბადა 1979 წლის 23 მარტს, მარტვილის (ყოფილი გეგეჭკორის) რაიონის სოფელ ბანძაში. 1996 წელს წარჩინებით დაამთავრა ბანძის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა სოხუმის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში, ისტორიის ფაკულტეტზე, რაც დაამთავრა 2003 წელს. მუშაობდა გაზეთ „ჭყონდიდის ხარის“ რედაქტორად. 2007-2014 წლებში იყო მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი. 2008 წლიდან არის ფაზისის საერო აკადემიის წევრი. 2014 წელს დაიცვა დისერტაცია, თემაზე – „სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია“, და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებთა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2014 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით (ოქმი №44) მიენიჭა ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 2019 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ფოთის №15 საჯარო სკოლაში (ასწავლის ისტორიას და სამოქალაქო განათლებას). 2007 წელს არჩეულია ბანძის საპატო მოქალაქედ.

მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებაა ქართველური ონომასტიკის, ისტორიული გეოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, მხარეთმცოდნეობისა და თეორიული ფილოსოფიის საკითხები. გამოქვეყნებული აქვს 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და სტატია, და შემდეგი წიგნები:

*„წარსულის ჩრდილქვეშ“ (2005 წ.), „ღვაწლათათვის ფრიად განწირული (გიორგი ჭყონდიდელის ბიოგრაფიისათვის)“ (2005 წ.), „ბანძის ტოპონიმი“ (2007 წ.), „სერგი დანელია – კანტის ფილოსოფიის მკვლევარი და კრიტიციზმის ზოგიერთი საკითხი“ (2008 წ. თანაავტ. კ. ბლაგიძე), „სერგი დანელიას ეროვნუ-*

ლი მრწამსი” (2008 წ.), „მარტვილის რეული გეოგრაფიული სახელწოდებანი” (2008 წ.), „მარტვილის ტოპონიმია” (2009 წ.), „ნაგვა ზუს ტოპონიმია” (2008 წ.), „აბედათის ტოპონიმია” (2008 წ.), „პირველად იყო მუსიკა... (მარტვილის სამუსიკო სკოლა 50 წლისა)” (2009 წ. თანაავტ. დ. ბუაღაევა), „ათასი ჭყონდიდური ტოპონიმი” (2009 წ.), „მარტვილის რაიონის ოიკონიმია” (2010 წ.), „ღებარდეს ტოპონიმია” (2010 წ.), „აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი” (2011 წ.), „სეფიეთის ტოპონიმია” (2011 წ.), „მარტვილის რაიონის ტყისა და საძოვრების ზონის ტოპონიმია” (სამ ბროშურად, 2011 წ.), „ერი და ეროვნული მოძრაობა” (თანაავტ. ბ. კარტოზია, 2011 წ.), „სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი” (2012 წ.), „აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში” (2012 წ.), „ტეხურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში” (2012 წ.), „ნაქალაქევის გეოგრაფიული სახელწოდებანი” (2013 წ.), „თანამედროვეობისა და მომავლის სამსახურში” (2012 წ.), „იმერეთის ტოპონიმია სამუზეუმო და კარტოგრაფიულ მასალებში” (თანაავტ. კახაბერ ქებულაძე, 2014 წ.), „პაატა ცხადაია – ქართველური ონომასტიკის მოჭირნახულე” (2017 წ.), „დრო და მკითხველი” (2017 წ.), „ღეჩხუმის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ინვერსიული ლექსიკონი” (2018 წ.), „სამეგრელო ედუარდ აიხვალდის სამოგ ზაურო ჩანაწერებში” (2018 წ.), „სამეგრელოსამურზაყანოს ტოპონიმია რუსულენოვან კარტოგრაფიულ რუკებზე და ორთოგრაფიის ზოგიერთი საკითხი” (2018 წ.), „სულეთის ფარდის მიღმა” (2018), „აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის საკითხები პაატა ცხადაიას შრომებში” (2019 წ.), „გნებული სული კონსტანტინე კაპანელისა” (2019 წ.), „ნათელი დაუღამებელი (ანტონ კეკელიას ცხოვრება და ღვაწლი)” (2020 წ.), „ბანდა – ესკიზები სოფლის წარსულიდან, I” (2020 წ.; II, 2021; III, 2022 წ.), „აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია” (2022 წ.), „სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორი-

*ული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია” (2023 წ.), „ბორის ურიდია (ცხოვრების გზა და მეცნიერული მემკვიდრეობა)” (2024 წ.).*

არის არაერთი რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ინიციატორი და ორგანიზატორი მარტვილსა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე რედაქტორი და რეცენზენტი არაერთი კრებულისა. არის სამუზეუმო საქმის მოამბე. მის არქივში დაცულია რამდენიმე ათასი უნიკალური საარქივო-სამუზეუმო მასალა - ხელნაწერები, ფოტოები, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების უიშვიათესი გამოცემები, პროფ. სერგი დანელიას, აკად. გიორგი დანელიას, მსახიობ ლეილა აბაშიძის, პროფ. კონსტანტინე კაპანელის, სხვა მწერლებისა და მეცნიერების პირადი არქივები და მემორიალური ნივთები. მის სახელს უკავშირდება დიდი ქართველი ფილოსოფოსისა და ლიტერატურთმცოდნის, პროფესორ სერგი დანელიას სახელმუზეუმის დასაარსებლად რამდენიმე ათასი სამუზეუმო მასალის მოძიება.

## სარჩევი

ქართული ფილოსოფიური აზრის კვლევის მიმართულებანი XX საუკუნის II ნახევარში და პროფესორი ბონდო კარტოზია _____	3
ბონდო კარტოზია – ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი _____	9
ცხოვრების გზა _____	9
მეცნიერული მემკვიდრეობა _____	34
ბონდო კარტოზიას ძირითადი სამეცნიერო შრომების სია _	136
ბ. კარტოზიას შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურის სია _____	142
დანართი _____	144
ავტორის შესახებ _____	168



წიგნში გამოყენებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული  
ბიბლიოთეკის ფოტოები

**იგორ კეკელია**

**ბონდო კარტოზია**

(ცხოვრების გზა და მეცნიერული მემკვიდრეობა)